

ნიკოლე ქადგოგიური და სალიტერ. ქურნალი

86

82

ბანათება

(წალიწმდი მუჰოთხე)

თეატრები

1911 წ.



რიცხვ სახალხო ცეკვების მასწავლებლების და მოწაფეთა ექსკურსი.

(ନୀଳିନୀରୁ ଧେଇବକୁ)

VII

ଶେଷତାଗାନ

1911 G.

კურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით . . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს
კურნალი დაეთმობათ წლიურად
ორ მაცნეობად.

ପ୍ରାଣ୍ୟ ନେମ-
ରିସ ଫାସି

ხელის მოწერა მიიღება ტულიდეში წერა-
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და
„ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და
უურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ აღ-
რესით: თიფლის დვორის გრძინის გიმნაზია.
Л. Г. Бочвардзе.

ღ-რი მაქს ბრანი

ბავშვის ზნეობრივი გრძნობა

ლემდის საკითხს ბავშვის ზნეობაზე
ეხებოდენ უმეტესად მხოლოდ კრიმინა-
ლისტები და პსიჩიატრები: დაშნაშავე
ბავშვს ისე უყურებდენ, როგორც უზნეო
ტიპს და მთელი საკითხი ცალმხრივად
მიმართული იყო დანაშაულობრივ მიზეზის
გამოკვლევისკენ. ფსიხოლოგისათვის და-
ნაშაულობა — მხოლოდ გარეგნი სიმპტო-
მია, რაც ყოველთვის უზნეობას არ ამ-
ტკიცებს. ფსიხოლოგი ყურადღებას აქ-
ცევს მოზრდილ ადამიანის შინაგან გან-
ცდას, რასაც ზნეობა ან უზნეობა ჰქვიან
და თავის თავს ასეთს კითხვას აძლევს,
როგორ განუკითარდა ბავშვს ესა, თუ ის
ზნეობრივი თუ უზნეო თვისებები? აქაც

ფიხოლოგი ყურადღებას აქცევს საზოგა-
დო ფსიჩიურ პროცესებს, წარმოდგენა-
ლებათ,, გრძნობებს, აფექტებს, აღმძრე-
ლობას, მსჯელობას და იკვლევს საკითხს
თუ რა სახით ღდებენ ყველა ესენი იმ
ფორმას, რასაც ჩვენ ზნეობას ვუწოდებთ.
შემცდარი აზრია, ვითომ ბავშვს მემკვიდ-
რეობით თან დაყოლილი ჰქონდეს „ზნე-
ობრივი გრძნობა“. ბავშვს თანდაყოლი-
ლი აქვს მხოლოდ გონება, სჯა და შეტ-
ყველების, ნიჭი. ყველა ეს ხელს უწყობს,
ან უშლის ომის განვითარებას, რასაც
ჩენ ზნეობრივს საქციელს ვუწოდებთ,
მაგრამ თავისთვის არც უზნეობას წარ-
მოადგენდა და არც ზნეობრივს. მს

მიხედვით საკითხი იმის შესახებ, რომ
ბავშვი თვესის ბუნებით კარგია თუ არა,
ისეთი საკითხია, რომელზედაც ავგუს-
ტინი და რუსსო სულ ხევა და სხვა
გვარად უპასუხებდენ. ამ საკითხის გადა-
წყვეტა იმის გამოკვლევაზეა დამყარებუ-
ლი, აძლევს თუ არა ბავშვს განმავითა-
რებელ გრძნობებს ისეთი ღირებულებანი,
რასაც ჩვენ ვუწოდებთ ზნეობრიობას, თუ
უზნეობას. მკვლევართა უმრავლესობას
ამ საკითხზე საზოგადო პასუხი ჰქონდათ:
იმათის აზრით ყველა ბავშვები ქვეყანა-
ზე ერთნაირი ზნეობრივის საწინდრით
იბადებიან და ზნეობრიობის გზიდან გა-
დახვევის შიზეზს ეძებდენ ბავშვებს გარშე-
მო არსებულს პრეზრებში და აღზრდაში.
თუ არ დავვთანხმებთ, რომ არსებობს ერ-
თგარი სპეციფიკური ზნეობრივი გრძნო-
ბა, თან დაყოლილი მიღრეკილებანი ზნე-
ობრივი ცხოვრებისა და თუ აღვიარებთ,
რომ ზნეობა თითოეული აუგმიანი-
სა შეიკრიბება ყველა მიღრეკილებათა
ჯამისაგან მისს გარშემოარსებულს ქვეყა-
ნასთან შეხებით, მაშინ, რასაკვირველია,
ყველა თან დაყოლილი სხვა და სხვაობა
ხასიათისა, ნებისა და გონიერისა შეაღეგნენ
ინდივიდუალურ მიღრეკილებათა საფუძ-
ველს, რაც ავითარებს ზნეობრივს გრძნო-
ბებს და მსჯელობას. საერთოდ ისეთს
შთაბეჭდილებას განვიცდით, თითქოს
მათს ღირებულებას რაღაც უნდა აკლ-
დეს.

ზოდებთ ბავშვს, თუ მას თავისი მშობლები, ძმები და დები უკვარს, იჩენს სიმპატიას სხვა ბავშვებთან და უფროსებთან. განძრას არ აწეალებს ცხოველებს, არ სტყუის, არ ქურდობს, საზოგადოთ გამგონეა, არ ჰქოლობს განსაკუთრებულ სიამოვნებას იმაში, რომ სხვებს ჭიანი რამ მიაყენოს, არ აფუჭებს ნივთებს და თუ შურიინიც არ არის... არ შეგვიძლია უარ ვჰყოთ, რომ მოზრდილები ბავშვებთან უფრო მეტს სისასტიკეს იჩენენ, ვიღრე თვისთავთან: მოვიგონოთ თუნდა ბავშვის სიცრუე, მორჩილების მოიხოვნა, ხშირად ბავშვებში როგორ იწვევენ ნეკს წინალუდენენ განსაცდელს რომლისამე ტკბილი საჭმლით პირის ჩატკბარუნების წრნაალმდეგ. უფროსები დარწმუნებული არიან, რომ ბავშვში შეიძლება ამოიფხორას ყოველგვარი ნაკლულევანება, ამიტომაც მას მეტს ყურადღებას იქცევენ, ვიღრე ამავე ნაკლულევანებას მოზრდილებში, მაგრამ ამავე დროს სრულიად უყურადღებოდ სტოკინენ ბავშვის უპირატესობას მოზრდილების წინაშე, რადგანაც ეს ბუნებრივად მიაჩნიათ. ბავშვის მცირე ურჩობაც კი ხასიათის დიდ ნაკლულევანებად მიაჩნიათ და ის კი, რომ ბავშვმა ყოველ დღეს უნდა უარჲყოს მისთვის ძვირფასი ჩვეულებანი და სურვილები და ამას ბავშვი, მოზრდილთან შედარებით, ხალისიანად და აღვილად შვრება, ყველას ივიწყდება: ამის გამო მოზრდილებს ბავშვის სულის სურათი სინამდვილესთან შეუფერებლიდ ეხატებათ თვალწინ. ამ შეცდომებისა და გზის არევისაგან გვიხსნის მხოლოდ ხანგრძლივი დაკვირვება ბავშვის ფსიხიური ცხოველების ყველა თავისებრივი თვისებისადმი. ამ სტატიაში ჩვენ შევეხებით მხოლოდ ბავშვის სულიერ ცხოვრე-

ბრს ზოგიერთ საოცარს და ფსიხოლოგიურად საინტერესო მხარეს.

საკათხს, იმის შესახებ თვისის ბუნებით ბავშვი ზნეობრივია თუ არაო, ხშირად ურვედენ სხვებთან: ეგოისტია ბუნებით თუ არა? უეგოისტო ბავშვი სიცოცხლის ნიჭეს მოკლებული იქნებოდა, რადგანაც თავდაპირველად მან უნდა დააქმაყოფილოს ყველა თვისი მოთხოვნილებანი, რაც დამოუკიდებლად ხელს უწყობს სიცოცხლეს: ალტრუზიზმის მოთხოვნა ბავშვისაგან იგივეა, მთხოვარის რომ საშორისალო სთხოვო. როგორ შეუძლია ბავშვს გამოიჩინოს სხვებთან სიმპატია, როცა არ იცის, რომ სხვები არსებობენ? ამიტომაც სიმპატიური გრძნობა მხოლოდ შემდეგში ვითარდება. მაგრამ მისი ძირი კი ბავშვში ღრმად არის გადგმული. თუ კაცი ხშირად კეთილ საქმეებს აკეთებს, იქსნის სხვებს გაჰქირვებისაგან, ამისთანაც პატან ბავშვიც მრავალი კრაიტილებისა და სიამოვნების გრძნობით არის დაკავშირებული. ის ბავშვისათვის პირველად სასიამოვნოა, ვიდრე სიმპატიური გახდებოდეს მისთვის, და ყველა მორალური გრძნობანი ვითარდებიან არა პირველოფილ მორალური თუ ანტიმორალურიდან, არამედ ამორალულ გრძნობათაგან. მაგრამ ერთსა და იმავე დროს აღმოცენდება თვისი და სხვის „მე“-ს გრძნობა: ბავშვი თავის „მე“-ს შეიგნებს სხვების გასარჩევად. როცა ბავშვი შეიგნებს, რომ სხვებიც განიცდიან იმ სიამოვნებას და ტანჯვას, რასაც თვითონ განიცდის, მაშინ იგი თითქოს სხვებთან ერთად გრძნობს ამ ტანჯვა-სიამოვნებას და აქედან იღვიძებს ბავშვში სხვებისაღმი თანაგრძნობა. ბავშვი გრძნობაშიაც ისე ჰბაძავს მისს გარშემო მყოფ პირებს, როგორც მოძრაობაში. ამიტომაც მის გარ-

შემო მყოფნი უფრო და უფრო ხდებიან მისივე ნაწილად. ყრუ-მუნჯი ლაურა ბირჯმენი თვალებს უხვევდა თავის დედოფლებს ისეთისავე შესახვევით, როგორიც თვითონ ჰქონდა; ცხადია თავის გრძნობებს დედოფლებსაც აწერდა და მათს ტანჯვასაც გულით თანაუგრძნობდა. ეს თანაგრძნობა ძლიერდება და მტკურიდება ბავშვის მინდობილობის გრძნობებს გავლენით; იგი ეჩვევა ხალხთან ყოფნას და საჭიროებს კიდეც, როგორც სხვა საჭირო ნივთებს. დედის დაბრუნება მის-თვის აღდგომა დღეა, მით უფრო თუ დედა მხარულის სახით მიეგება. ეს გრძნობა ხელს უწყობს ჩვეულებას შეუყვარდეს, ხალხი და მათი საზოგადოება და ამ სახით მტკურიდება სოციალური გრძნობები. მართალია, ჩვენ არ შეგვიძლია ვსთვეათ ეს სხვათა გრძნობათა მიმბაცველობა და სასიმპატიო კავშირი როდის გარდიქნება, დამოუკიდებელ განცდის შემდეგ, პირველ შეგნებულ სიმპატიად, მაგალითად შეგნებულ თანაგრძნობად. ყველა ეს გრძნობანი ბავშვში ძლიერდება და მაგრდება თუ კი მიიღებს ალერსიან პასუხს და სიტყვებს, მაგრამ თუ ამის ნაცვლად ბავშვმა განიცადა დაღვრემილი ან გულგრილი დამოკიდებულება, მაშინ ეს გრძნობებიც ჩამოქვეითდებიან. ამიტომ არც შრომას, არც სიყვარულით მოვლას არ შეუძლია შეუცვალოს ბავშვს სიყვარულის ხილული თვისებანი: იმას, რომ უნდა მოუარონ, ბავშვი შეჩვეულია; რომ ზრუნვა და მოვლა ძალის მოკრებას თხოულობს, — ეს მას არ ესმის, — მხოლოდ სიყვარულის გრძნობით გამოხატვა აძლიერებს მისს სიყვარულს. ას სახით წარმოშობილი სიმპატია ძლიერ ადვილი ასახსნელია, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ ბავშვების

გრძნობათა ძლიერს აღმძვრელობას. იქ, სადაც ასეთი სიმპატია არ არსებობს (მაგალ. გრუებსა და ბნედიანთ შორის), სოციალური გრძნობა მეტად სუსტია; იქ იწყება აღტრუისტული გრძნობის მოდუნება, რაც აძლიერებს ანტისოციალურს გრძნობებს. ძლიერ განვითარებულს და პატალოგიურად არა საქმარის გრძნობათა შორის არსებობს მთელი ოიგი გარდამავალი საფეხურებისა,—ამიტომ პირველი მიღრეკილება სხვათა გრძნობათა განცდისა საფუძველია ამ გრძნობათა სხვა და სხვა ფერობისა. თითქმის საღი ბავშვიც ხშირად აოცებს მშობლებს. და მეთვალყურეთ ისეთის თვისების გამოაშეკრავებით, რაც ეჭვს ჰბადებს მნახველებში, რომ ბავშვებს ჰქონდეთ თანაგრძნობა და სიყვარული. თუ დაუკვირდებით ბავშვების სპეციფიურ თვისებებს მათს სულიერს ცხოვრებაში, ალვილად ავხსნით ამგვარ მიღრეკილებას. უწინარეს ყოვლისა ბავშვებს ხშირად იზიდავს გაღიზიანება და დანალვლიანება, ამის გამო მათში რამდენიმე ხნით თითქოს ჰქრება სიყვარულის გრძნობა; ამ მხრით მათგან უფრო ბევრსა მოითხოვენ, ვიდრე მოზღიულებიდან. შემდეგ ისინი სრულიად უგრძნობნი არიან რამე უბედურობის დროს. მაგალ. მახლობელთა სიკვდრლის ან ავალმყოფობის დროს და სხ., მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბავშვის მხედველობა ნივთისგან იღებს მხლოდ ერთს რომელსამე მხარეს, ან რაც სასაცილოდ ეჩვენებათ, ან რაც წვრილმანი რამდე და იპყრობს მათს გულისყურს; მწუხარებისა და ტკივილის გრძნობა ან არ გამოიხატება მათს გონებაში, ან სრულიად უცნობია მათთვის. ამას ყოველთვის აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, როცა ბავშვები ცხოველებს აწვალებენ, ასე

რომ ლაფონტენმა გამოთქვა აზრი— ბავშვის წლოვანებამ სიბრალული არ იცის. მაგრამ უფრო მოზრდილი ყაზვილი, რომელსაც უკვე შეუძლია ადამიანისა და ცხოველების გარჩევა: უფრო იღვილად ცდება და შეუძლია ცხოველები ნივთებს დაუახლოვოს და არა ადამიანს. ბავშვი რაიმე მსჯელობას გრძნობათა შესახებ შეადგენს სახის გამომეტყველებით, ან სიტყვების საშუალებით, რომლითაც არ შეუძლიან მსჯელობა იქონიოს ცხოველებზე. რა მცირე ცოდნა აქვსთ ცხოველთა ბუნების შესახებ სამი წლისა და უფრო მოზრდილ ბავშვებსაც, სჩანს იქიდან, რომ ისინი დაედევნებიან. ცხოველებს დასაჭრებად, ცხოველებიც ჰკბენენ მათ. ბავშვი იქერს ცხოველს, აწვალებს, ჰკლავს ბუზს, კატას კუდზე ფეხს დააჭრეს, ხელმძღვანელობს იმ აზრით, როცა ნივთებს იტაცებს, სახელდობრ: უნდა გაიცნოს, გაიგოს მათ ბუნება. თუ ბავშვი ამტკრევს და აფუჭებს თავისს საყვარელ სათამაშოებს იმ მიზნით, რომ უნდა გამოიჩინოს თავისი მოქმედება და ახლო გაიცნოს საგანი, მასში არ გაიღვიძებს იმის შეგნება, რომ ცუდად იქცევა, თუ ცხოველებსაც ისე ეპყრობა, როგორც უსულო საგნებს; მაგრამ რაკი ბავშვი წამოიზრდება და გაიგებს, რომ მისი უდიერი მოპყრობა ცხოველებს მწუხარებას და ტკივილს აგრძნობინებს, იგი ხელს იოღებს უდიერობაზე და მხოლოდ ხან და ხან ცნობის მოყვარეობა ძალას დაატანს ჯერ კიდევ შებრალების სუსტს ჩვეულებას.

ამ თანაგრძნობის მიღრეკილების სოციალურს ცხოვრებაში უპირდაპირდება ანტისოციალური მიღრეკილებანი. წყრომა, სიფიცე, — ეს სრულიად დასაწყისი აფექტებია. ბავშვების პატალოგიურ

ჩაკლულევანებათა შორის უმთავრესი ადგილი საშიშარ გულბრაზიანობას უჭირავს; ხშირად იგი საერთო თვისებაა მთელის ოჯახისა, რაც აშეარად ხდის მიიღოს პატალოგიური ხასიათი. სიფიცხე, თუ განსაზღვრულს ფარგალშია მომწყვდები, ნაკლულევანებას არ ზეაღგენს: კეთილშობილი ვნებაა დიდი ხნიდან ცნობილია, როგორც მაღალი თვისება და ბოროტების წინაშე გალაშქრება სოციალურის მხრით პროგრესის აზარმაცად ითვლება. ბავშვი ამ ვნებას ყველაფრისკენ მიმმართავს, იდამიანისა და ნივთებისაკენ, რაც მას ხელს უშლის სიამოვნებაში, აგრძნობინებს ტკივილს და წუხილს. თავდა-პირველად ბავშვში იღვიძებს „გაბრაზების“ ინსტიკტი, თავისს სიბრაზეს იჩენს ყვირილოთი იატაკზე გორვით, დაჯახებით, დაფხავნით, ამასთან პირველად თვითონ ბავშვივე ისჯება. აქ უკვე, ამ აღრიან საფეხურზე თავს იჩენს სხვა და სხვაობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ცხოვრებაში: ზოგი ბავშვი თავისს სიბრაზეს იჩენს უფრო აკტიურად, მეორე—უფრო პასიურად. თუ ბავშვს უკვე შეუძლია მოახდინოს საჭირო მოძრაობა, ჩქარა იქამდის მიგა, რომ ჯავრს იყრის რომელსამე განსაზღვრულს პირზე, ან ნივთზე, დაუწყებს მათ ცემას, ფხაჭნას და მტკრევას. ძლიერ მალე აქედან განვითარდება იქვიანობის გრძნობა იმ ხალხთან და ცხოველთან, რომელსაც ბავშვმა უნდა გაუყოს რამე. აქედან კი ძლიერ ჩქარა ვითარდება შური და აგრეთვე სურვილიც დაისაკუთროს ესა თუ ის ნივთი მხოლოდ იმიტომ, რომ სხვისი არ გახდეს. ბავშვები ხშირად ჭამის დროს ლორმულობას იჩენენ და ესეც ხშირად ჰბადებს გაუმაძლრობას ნივთების დასაკუთრებაშიაც. ყველა ამ

შემთხვევაში ბავშვები ძლიერ ჰგვანან ცხოველებს და ველურებს. მაგრამ რაკი მათში თვითშეგნების ნიჭი გაიღვიძებს, ეს აფექტები სულ სხვად იქცევა, ვიდრე ცხოვრებისა, რადგანაც ამას თან ემატება დასჯილ „მე“-ს გრძნობა, რაც ხელს უწყობს ბავშვს, რომ მან უფრო ცხადად გაუსვას ხაზი თავისს „მე“-სა და გარეგან ქვეყნის განსხვავებათა შორის. ამას დაერთვის შეურაცხყოფის გრძნობა, გრძნობა იმისა, რომ შენ ქვევით ჩამოგაყენეს, მთელი რესენტიულ-ი—შმინდა კაცობრიული გრძნობათა კომპლექსი, რომლიდანაც ვითარდება ბევრი ანტისოციალური გრძნობანი.

ერთის მხრით თანაგრძნობა და მეორეს მხრით ტკივილი და შიში წარმოადგნენ ტალღას, რომელსაც ეხეოქებიან გულის-წყრომა და ყველა შესაბამი აფექტები; მოფიქრება და მოაზრება მხოლოდ ბოლოს მოქმედებენ. უან-პოლი საშაროლიანად ამბობს ამის შესახებ, რომ არასოდეს არ უნდა ცდილობდნენ ძალის შესუსტებას, პირიქით საჭიროა გამაგრება ძალისა, რომელიც წინააღმდეგობას უწევს მას. სხვა ხალხის თანაგრძნობით მოყრობაც ხელს უშლის გულის წყრომის გამოჩენას, როგორც ფიზიკური ანუ სულიერი ტკივილი; პირველ შემთხვევაში ბავშვი დასთურებვნის თავისს გულის წყრომას, როცა სახეში სხვა ხალხი ეყოლება, მეორეში კი — თავისთავს. შიში კი ნიშნავს ტკივილების დახსოვნებას. ძნელი გადასაწყვეტია როგორ უნდა მოუარონ გაბრაზებულ ბავშვს, სიტყვებით იმოქმედონ მასზედ, დასტოვონ განმარტოებით, თუ დასაჯონ: ფსიხიურის თვალსაზრისით ყველა ეს საშუალებანი წარმოადგენენ სხვა და სხვა გვარ დასჯას, ამასთან სხეულის დასჯა ყოველთვის მძიმე სასჯელს

არ შეადგენს ბავშვისათვის. ბევრი ჰედა-გოგები ხახს უსვამენ, რომ მერძნობიარეს და ადვილად გასაღიზიანებელს ბავშვებს საჯელი უფრო უარესად აბრაზებს: ბავშვი მოზრდილებსა ჰპაბავს ბრაზიანობაში. ისინი ამტკიცებენ იგრუთვე, რომ ბავშვის გარშემო მყოფნი ხშირად ბავშვს იმით უვითარებენ სიბრაზეს, რომ ეუბნებიან სცემე სკამს, კუთხებს, კედელს, ასზედაც შემთხვევით მიეჯახა ბავშვი. ძნელია სათქმელად თუ რავდენად შესაძლებელია, რომ აღზრდამ დასჯის, დამუქ-ტების და სიტყვიერის შთავონებით იმოქმედოს ბავშვის გონებაზედ იმდენად, რომ მოუსპოს მას სიბრაზისაღმი მიღრეკილება: ზოგიერთების აზრით გაბრაზებულ ბავშვს არ უნდა მიაქციონ ყურადღება და შემდეგ საბრაზე ნაკლებ მკვეთრ ფორმას მიიღებსო, რაც, ყოველ შემთხვევაში, არ არის სანუგეშო.

ასე თუ ისე არც მშობლებისთვის და არც აღმზრდელებისათვის არ არის სასიამოვნო, როგორც ნაკლებ მკვეთრი, აგრეთვე სუსტი წინააღმდეგობის ფორმებიც; ისინი ყველა ამ ფორმებს ერთის სახელით ნათლავენ ურჩობით და მიაჩნიათ ბავშვის ნაკლულევანების ტიპურ ფორმად. მაგრამ შეხედულობა ამ საკითხზე უკანასკნელ ხანებში ძლიერ შეიცვალა და მშობლებიც ეხლა უფრო შემბრალე არიან, ვიდრე წინადაღის იყვნენ. ამერიკაში, მაგალითად, ამბობენ, რომ მორჩილების ჯამი საუკუნის განმავლობაში ერთი და იგივე დარჩა, მაგრამ წინად ბავშვები ემორჩილებოდნენ მშობლებს, ეხლა კი მშობლები ბავშვებსაო. იმაზე უფრო ბუნებრივი არა არის რა, როგორც ბავშვის ურჩობა. ბავშვებისაგან თხოულობენ ისეთს რასე, რაც ხელს უშლის მათს ინსტიკტიურ მზიარულებას და სამა-

გიეროდ არაფერს აწვდიან, ბავშვი კი იმის სარგებლობას ვერ გრძნობს, რის გაკეთებასაც უბრძანებენ. ამიტომ პირველ აღმზრდელებათ აქ გამოდიან ტკივილი და შიში. ესენი, როგორც ბრძანება, განსაზღვრულ პირთაგან წარმოსდგება, ვინც ბავშვის მახლობლად არიან და ამათ უგდებს ბავშვი ყურს და არა ბრძანებასაც ეს—წმინდა პირველულ მორჩილებაა, რასაც საზოგადო კანონის ხასიათი არ აქვს. მხოლოდ განსაზღვრულ ხმას, თავისებურს მოძრაობას შეუძლიან დაამშვიდოს ბავშვი ან წაიყვანოს დასაძინებლად. მეორეს მხრით არის კიდევ რაღაც, რასაც ბავშვი ყოველთვის ეწინააღმდეგება. ბავშვის ეინიანბაზე ხშირად ავტორიტეტი უძლებულია: ამ შემთხვევაში მცირე ხნით დაცდა უფრო შესაფერისია, ვიდრე სასტიკი ბრძანება, რომელიც მხოლოდ აღიზიანებს ბავშვს და უქრობს მას მოგონებათა და ნაზს გრძნობებს. ზოგიერთი დასჯა და აგრეთვე შიშიც, თუ ძლიერია, —უსუსტებს მოზრდილ ბავშვს გონებას და შეგნების ნიჟს იმდენად, რომ ყველა წარსული მოგონებანი ჰყარგვენ ძალას და წინააღმდეგობის ინსტიკტი კი იღვიძებს. მაგრამ მაინც დასჯის საშუალებით შეუძლებელი იქნებოდა ბავშვის დამორჩილება, რომ მასში არ ყოფილიყო ჩანერგილი ისეთი ინსტიკტები, რაც ხელს, უწყობს მორჩილებას და მოგონებას. ეს არის მიმბათველობის ინსტიკტი და ჩვეულება. ეს რომ არ ყოფილიყო ბავშვს ყველაზერი ძალატანებით უნდა გაეკეთებინა, მაშინ როდესაც ბევრს შემთხვევაში ბავშვები ყურს უგდებენ უფროსებს და იშვიათად ურჩობენ. ბავშვი ძალადაუტანებლად აკეთებს იმას, რასაც სხვები აკეთებენ; ამ სახით იგი ეჩვევა ისეთს რაზებას, როგორც მის გარშემო

მყოფნი ცხოვრილენ და არ არის არც
გამგონე და არც უჩჩი. ხშირად შეჯახე-
ბა, მოხდება გაშინ, როცა მოზრდილები
მოელიან ბავშვებისაგან იმ მოძრაობას,
რასაც ისინი მოზრდილებში ხდევნ, ან
მოითხოვენ გადაჩევევას. ბავშვისგან მოით-
ხოვნ, რომ რემდენისამე ხნის განმავლო-
ბაში უძრავია იჯდეს და მისი მოძრაობა
ურჩობათ მიაჩინათ. ბავშვს აფრთხილე-
ბენ, სჯიან იმისთვის. რომ „არ უნდა“
გადაეჩიოს ზოგიერთს უმნიშვნელო ჩვეუ-
ლებას, მაგალ. ფრჩხლების კვნეტას და
სხ., რასაც ბევრი მოზრდილე იც სჩადიან.
რასაც პატარები ლიღებში ხდევნ, ეს
მათვეის ცხოვრების წესი და კანონია;
ამ ნიადაგზე აუცილებლად ხდება შე-
ჯახება. ბავშვი იმას ჰპაძეს, რაც სასურ-
ველი არ არის, მაგრამ თუ სასჯელი
აუცილებელია ასეთის მიმბაძველობისათ-
ვის, ამას ბავშვი უსაპართობად ჩასთვ
ლის. ბავშვისთვეს ძნელი გასაგებია--- რად
უკრძალავენ მას ცველა იმის ჭამას, რასაც
დიდები მიირამევენ, მაშინ როდესაც
სხვა შემთხვევებში ბავშვებს აქებენ, თუ
მოზრდილებს ჰპაძევნ. ამ სახით ბავშვის
მიერ შეძენილი გამოცდილება ხელს უშ-
ლის მისს მორჩილებას, რადგანაც მოუხ-
დებ, შეჯახება შისთვის გაუგებარ უსა
მართლობასთან. გაგონების ინსტიტი,
კბუნებრივი მორჩილება და დათმობა რომ
ავტორიტეტს დაუმორჩილოთ--- ეს მეტად
და მეტად საეჭვოა. ზოგიერთები ამტკის
ცებენ, რომ განათლებული ხალხის შვი-
ლები უფრო გამგონე არიან, ვიდრე ვე-
ლურების შვილები. მაგრამ სოციოლო-
გია გვამცევს, რომ იმდენად მეტად
მოითხოვება მორჩილება, რამჟენადაც
კულტურა მაღლა სდგას და რამდენადაც
აღზრდის ხარისხი მაღლა იწევს; მაგრამ
ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ

რამდენადაც ცოდნა წინ მიდის, თავის-
უფლებაც მეტია. შემდეგ ჩვენ შეგვიძ-
ლია წარმოვიდგინოთ, რომ ველური
ხალხის ბავშვები ძლიერ აკტიურ იფექ-
ტებს იჩენენ და ამიტომ მათი აღზრდა
ძნელია, მაგრამ ეს ხომ ხარისხშია განს-
ხვავდბა და არა არსებითად.

უნებლიერი. მორჩილების მეორე წყა-
როს შეაჯგენს ჩვეულება, რომელიც
გავონებას, მორჩილებას კანონს უქვემ-
დებარებს. ბავშვის მეცნიერება ერთის
მხრით სასტუკ მექანიკურად მუშაობს,
იგი სინამდვილით იმეორებს ცველაფერს,
რაც დაასხვენდა და სხვებისაგან ითხოვს
გამეორებას, მეორეს მხრით ბავშვის ფან-
ტაზია ჰაერში საოცნებო კოშკებს აგებს.
ამალთანავე. თავისს გრძნობითს ცხოვრება-
ში ბავშვი ჟინიანია, ხშირად რყევაშია.
მაგრამ ამასთან ერთად მუდ: მ ჰედანტიუ-
რად იმეორებს თავისთვის. სასიამოვნო
ნივთებს, ან ისეთს რასმე, რაც გამეორე-
ბით ძვირფასია ბავშვისთვის, ყოველთვის
იმეორებს და უნდა რომ მეორდებოდეს.
ამიტომ თუ მან ერთხელ შეასრულა
მშობლების ბრძანება და შემდეგაც ხში-
რად უგონებდა გათ, ისიც მოელის ხვე-
ბისაგან, რომ ამ გარემოებაში ისე მოიქ-
ცნენ და მაშინ ისიც სასტუკად ასრულებს
მიცემულს კანონს. როცა პირველი კანო-
ნის შესრულების შემდეგ ბავშვი მოისმენს
ქებას, შეიძლება პირველადვე გაუღვივ-
დეს გულში სიკეთის იდეა, რაც მისთვის
შეერთებულია იმ საქმესთან, რისთვისაც
ქება შეასხეს. რომ შეგნება საჭიროებისა
და ემორჩილოს კანონს ბავშვში განმტკიც-
დება, ამაში არავითარი ეჭვი არ არის:
თვითონ ვარჯიშობა, თაქციელი ღრმად
ამაგრებენ ამ შეგნებას და გაატარებენ
ბავშვის სისხლსა და ხორცში უკეთ,
ვიდრე სიტყვიერი დარიგებანი. ასეთი

კანონები ბავშვისთვის გამოიხატება შემ-
დეგს სიტყვებში: „ვტედავ“, „შემიძლია“,
და ამ სახით ამ მოთხოვნილებას თან შე-
უტოდება გრძნობა იმისა, თუ რა შეუძ-
ლია მას და რა არა, რა უნდა ჰქმნას და
რა არა, — გრძნობა, რომელიც წარმოად-
გნენს ძევლად დამოუკიდებლად დასჯის,
ან მუქარის გაფართოებას, საზოგადო
მიღებული „შეიძლება“ და „არ შეიძლე-
ბა—ეს არის უფროსის მხრით ძალდატა-
ნება, ან ბავშვის ნებაყოფლობით მიმდაბ-
ვლობა, რაც მისთვის გახდება შეორე
ბუნებად, ერთის მხრით შინაგანი ჩვეუ-
ლების გამო, მეორე მხრით ბავშვის გარ-
შემო მყოფთა ქებისა და ძაგების გამო.
ასეთი ჩვეულებრი შეძენის ინსტიკტი და
მისი კანონად გადაქმნა პიროვნების მი-
ხედვით სხვა და სხვა ძლიერებით გამოი-
ხატება; არიან ხუთი წლის პედანტები და
ხუთი წლის მსაჯულები, რომელნიც კრი-
ტიკულად უყურებენ ზნეს, არიან ისეთი
ბავშვებიც, რომელთაც არ სწამთ არავი-
თარი კანონები.

როცა ბავშვმა კანონი თავისთვის სავა-
ლდებულოდ დაისახა, ამით ის ისე წინ წა-
ვიდა, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ მისს
შინაგან ზნეობრივს საქციელზე, თუ კი
ის ემორჩილება მის მიერ აღიარებულს
კანონს: კველა დანარჩენი არ შეიძლება
ჩაითვალოს საზნეობრიოდ. მაგრამ ბავშ-
იც წამოიზრდება, სოციალური დამოკი-
დებულება, რომელთანაც მას ექნება კავ-
შირი, თხოულობს მისგან ასეთს წესებს
და მასთან ერთად კიდევ მკვიდრად ხდის
მას. სხვა ბავშვებთან თამაშობის ცროს,
რომლებიც თხოულობენ თავისთვის თა-
ნასწორობას, წესი გამოცხადებულია და
ჭითარდება თვითონ ბავშვების მიერ, ან
მოზრდილების მიერ, რომელთაც წესში
შეაქვთ შემრიგებელი ელემენტი და ბავშ-

ვაც იცავს უფრო ამ წესებს, ვიდრე
მაზრულები. თავუაპირველად ყოველი
წესი აინტერესებს ბავშვს, როგორც მისი
პიროვნებითი ინტერესის დამცველი, თა-
ვისი საკუთარი მოთხოვნილების დამაქა-
ყოფილებელი უზრუნველყოფობა, მაგრამ
შემდეგ იგივე წესი თვითმიწნად შეიქნე-
ბა და ბავშვებიც სასტიკად ასრულებენ
მას და სხვებისაგან მოითხოვენ მისს შეს-
რულებას. ბავშვი, როგორც ველური,
სასტიკად მისდევს შემოლებულს ცერემო-
ნიებს და მეტად თავილობს უფლების
დარღვევას. ცნება კანონის შესახებ ათა-
ჯერ ცლიბეჭდება ბავშვში, უახლოვდება
თან და თან უფრო გაძლიერებულს
ინსტიკტს მიმდაბელობისას და ქების
გავლენით, რაც მას ესმის ამ კანონის
მორჩილების გამო, იმდენად ფსიანი
შეიქნება, რომ 3—5 წლის განმავლობა-
ში ის იქნება მისთვის ცენტრალურ ცნე-
ბად და ამასვე მოელის სხვებისაგანაც
არ ამიტომ ბავშვებიც საჭიროდ სცნობენ
იმათ დასჯას, ვინც ურჩობს, მაგრამ არ
ერთს მათგანს დასჯა გასწორების მიზნად
არ მიაჩნია. აქედან იმისი დასკვნა, ვითომ
ბავშვებს თან დაყოლილი ჰქონდესთ
ზნეობრივი გრძნობა, რაც ზოგიერთებს
გონიათ, ცრუმორწმუნეობაა. ბავშვები
იმას ამბობენ, რაც უფროსებისაგან გაი-
გეს, აღმზრდელის ზნეობრივი თვალსაზ-
რისი თეორიულად ბავშვის თვალსაზრი-
სად ხდება.

ჯერ ჩვენ არა გვითქვამს რა სიცრუეზე,
ბავშვის ზნეობის უძნელეს საგანზე. უან-
პოლი ამბობს: „ბავშვები პირველი ხუთი
წლის განმავლობაში არ ლაპარაკობენ
არც ერთს სიტყვას ტყუილს და არც
სიტყვას მართალს, ისინი მხოლოდ ლა-
პარაკობენ“. შეიძლება ეს გადაჭარბებუ-
ლიც იყოს, მაგრამ ეს აზრი კეშმარიტებას-

თან უფრო ახლოა, ვიღრე აზრი ძველი ფსიხოლოგების უმრავლესობისა. მართალია, სწორი განმარტება შეიძლება და-ფუნქციული იყოს მხოლოდ ცნების სწორ განსახლებაზე. ტყუილი მსჯელობაა, როცა შეგნებული იქნება მისი შეცოომილება, რასაკვირველია, აქედან უნდა გამოვრიცხოთ ხუმრობით სიცრუე, ან გამოჯავრებით, რადგანაც ის არც თხოულობს, რომ აღიარებულ იქმნას ქეშმარიტებად. გარდა რამდენისამე შემთხვევებისა, ესრედ წოდებულის პატალოგიურის სიცრუისა, ჩვენ შეგვიძლია აღიაროთ, რომ ტყუილს ამბობენ იმ შემთხვევაში, როცა უნდათ თავის თვის რამე სარგებლობის. მოტანა, ან თავიდან აიცილონ რამე მარცხი, ან აიმალონ თავი, დააინტერესონ სხვები. სულ სხვა სიცრუე. ეს მჯელობაა სინამდვილეს მოკლებული. როგორც დიდები, ისე ბავშვებიც ხშირად ლაპარაკის დროს ტყუილ—სიცრუის საზღვარზედ დგანან, მათი მსჯელობის მოწესრიგება აღვილი არ არის, როცა ვმსჯელობთ მომავლის შესახებ, ჩვენ გულუბრყვილოდ ქეშმარიტების არშიით მოვქარგავთ იმას. რის შესრულებაც გულით გვწადიან. როცა პირველად ვსაუბრობო, მოვყვებით რამე ამბავს, ვგრძნობთ, რომ შეიგ სიცრუეც ურევია, მაგრამ გამეორების დროს იგი წარიხოცება ჩვენის მეხსიერებიდან. კიდევ უფრო ხშირად იღვიძებს ჩვენში სიცრუის სუსტი შეგნება, მაგრამ ცხოველი უანტაზიის დროს იგი ჰქონება შემთხვევაში. ბავშვებს ხშირად შეგნება ისე აქვთ ავსებული, რომ მათ აზრიც კი არ გაუჟღვებსთ ხოლმე თავში ნათქვამის ქეშმარიტებისა თუ არა ქეშმარიტების შესახებ.

ბავშვების მსჯელობა იშვიათად იქნება მართალი, რადგანაც დაკვირვების ნიჭის

სისუსტის გამო, ისინი მოვლენათ მიიღებენ შეცდომით, და მეხსიერების სისუსტის გამო, შეცდომითვე გაღმოგვცემენ ნახულ-გაგონილს: მიაქციეთ ყურადღება ბავშვის პირველს ნახატებს, რომელზედაც კაცის სხეული გამოსახულია. მხოლოდ თავით და ფეხებით და ნურც გაგიკირდებათ თუ მათი მსჯელობაც შეესაბამება ამ სურათებს. რაც თვალწინ არ არის გადაყრილია, რაც თვალწინ არ არის, შეკმნება ფანტაზიით და მხოლოდ ბოლოს ბავშვს იქცევს საგნების, არევ დარევა ან რამე ახალის მოგონება. როგორც ხუხულებით და სურათებით ერთობა ბავშვი, ეს იგი თამაშობს სიტყვებით და ლაპარაკებით, წამოიტიობინებს თავისთვის და უფროსებთანაც ყველაფერს, რაც ენაზე მოადგება. ხან და ხან დიდები სიამოვნებით უსმენენ მას, ხან და ხან ისინი სერიოზულად ეკურობიან ბავშვის ნალაპარაკებს და უბრძანებენ სიმართლე ილაპარაკებს: ბავშვი კი ამ შემთხვევებს ვერ არჩევს და იბნევა. თუ დიდებს შეგნებული არ იქნება, რომ მსჯელობის ან ლაპარაკის უმეტესი ნაწილი სიმართლეს მოკლებულია, და ეს ქეშმარიტებათ მიაჩნიათ და უნდათ გააგებინოს, ეს ქეშმარიტების შეგნებაც გადაეცემა ბავშვს, ასე რომ იგი დაუბრკოლებლივ განაგრძობს იცნებას, დიდები, რომელთაც სჯერათ ბავშვის ფანტაზიური მოთხრობის პირველი ნაწილი, შეუგნებლად ჩააგონებენ მას განაგრძოს მოთხრობა, რაც უფრო და უფრო ფანტასტიური ხდება. ხშირად ისიც მოხდება, რომ მოზრდილები თვითონ აღიქურვებიან ბავშვურის ფანტაზიით, კითხვით ჩააგონებენ ბავშვს ვანაგრძოს მოთხრობა და ამ სახით მივიღებთ გაწყობილს ლოლიკურ შენობას: მან მისცა რგოლები ლოლიკურად, სიტყვის

შეუბრუნებლად ნაწილების შესაერთებლად, ბავშვი კი ჩასდო პირველი ქვა და შეამკო, შემდეგის წვრილმანობით. ამის გამო ხშირად სრულიად უმნიშვნელო წვრილმანობაც კი საკმარისია მიზეზად, რომ ბავშვმა უსაშინელეს ბრალდება მიცილი დასწამოს გამტელს, ამხანაგებს, მასწავლებელს, მით უფრო, რომ მშობლებს შიშით ჩვეულებრივად აღვილად სჯერათ ბავშვის ნალაპარაკევე, და ბავშვებიც, რაკი დაინახევნ მშობლების აღშფოთებას მათს ნალაპარაკევზე, სრულიად აწმუნდებიან ჩათი ნათქვამის სინამდვილეში. თუ ბავშვი არ უზიარებს ხევებს თავისის ამბებს, მაშინ მისი ფანტაზია ყოველთვის სცვლის მოთხოვობის შინაარს, მაგრამ თუ შეუძლია სხვას უამბოს, რაც მან განიცადა, ამას ემატება კიდევ შთაგონების დიადი ძალა და მედილურობა. ამის გამო თუ სამართლიანი მოითხოვნ, რომ სამსჯავრომ სარწმუნოდ არ უნდა მიიღოს ბავშვის ჩვენება, ჩვენ უფლება გვაქვს მოველოდეთ, რომ ბავშვებს დანაშაულობათ არ უნდა ჩაგთვალოსთ ყოველგვარი, თუ გრძლ ტლანქი სიცრუე და ამის გამო ბავშვები არც უნდა ისჯებოდნენ. მაგრამ ეს იქას არ ნიშნავს, რომ საქირო არ იყოს დაუმტკიცონ ბავშვებს. სიმართლის მოყვარეობა. კველა შეტყიდარი ჩვენებაა, რომლის დროსაც კეშმარიტების შეგნება არ არსებობს, შეიძლება, აიხსნას ბავშვის ფანტაზიის, აფექტების და შეგნების შეზღუდვის ძალით. როცა მოზრდილი ადამიანი აუქტის გავლენის ქვეშ არის, მაგალითად ცხარე კამათის დროს, მას ისეთი სრუცვები წამოცდება, რომლის სრული კეშმარიტება მას არ სწამს: განა სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა იმის დამტკიცება, რომ რომელიმე მოკამარე თავის თავის

ეწინააღმდეგება? გრძნობათა ნამეტნაობით ენა აღრე იმეტკველდება, კიდრე გონება შეამოწმებდეს სიტყვებს და ბავშვსაც ხშირად გარდამეტებული გრძნობებები აქვს; რადგანაც მისი წარმოდგენილება უფრო ცხოველია, გრძნობანი უფრო აღმრული, ინტერესებიც უფრო დაწყეუიდებელი. მაგრამ ამით მხოლოდ ერთის მხრით შეიძლება ავხსნათ ბავშვის მიერ შეუმოწმებლად, სწრაფად აზრის გამოთქმა, არსებითს როლს აქ ბავშვის შეგნების შეზღუდვა ასრულებს. სიმართლის თუ ტყუილის ლაპარაკი გრძნობა—ეს მისი სულის შინაარსის ნაწილია, მაგრამ საკმარისია რამდენიმე ერთს დროს არსებული შინაარსი, რომ ბავშვის თავში არ დარჩეს იდგილი სხვა არავითარ ახლისათვის. აღზნებული ბავშვი: ხშირად სტოვებს რასმე, რჩდგანაც გრძნობები მცირე იდგილს აძლევენ წარმოდგენილებათა; როცა ბავშვს უყურებს მამა, ან მასწავლებელი, მის თავში იმდენი სხვა და სხვა აზრი და გრძნობანი გაირჩენენ, რომ კეშმარიტება ხშირად შეიძლება დამახიჯებული გამოდგეს.

ამ მიზეზებს კიდევ უფრო შეეძლოთ გამოეწვიათ კეშმარიტების დამახიჯება, თუ მას წინ არ უდგებოდეს ზემოთ აწერილი მიღრეკილება კანონის ასრულებისა. ყოვლის უწინარეს ბავშვის მექანიკური მეხსიერება და მისი მიღრეკილება გიგონს ნიეთები ერთგვარიდ კეშმარიტების გრძნობისათვის საუკეთესო ვარჯიშობაა, რომელიც გაღმოგვცემს ზემთხვევებს ისე, როგორც მომზადა. შემდეგ მობლების ბრძანება, რომ სიმართლე ილაპარაკონ, კეშმარიტების დამყარება და დაგონბა ყოველ გვარის სიცრუისა ხელს უწყობს, რომ ბავშვებმა სიმართლე, ჩასთვალონ მოვალეობად, რაც შედის

მორჩილების ფარგალში. იმის ჩეცნება, რომ მოზრდილები არ სტუიან ერთის მხრით ზეობრივად მოქმედებს და მეორეს მხრით ბავშვი ხალისით ჰაძავს მოზრდილებს ქცევაში.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი საქციელი ყოველთვის არ ზრდის ბავშვი სიმართლის გრძნობას: პირველს ცნებას ტყუილზე, პირველ მაგალითს ტყუილების ლაპარაკისას ბავშვებს ჩვენ ვაძლევთ, როცა, მაგალითად, ჩვენვე ვსტურობთ ზრდილობიანად უსიამოვნო პირთან და სხ. ზემოთ ჩვენ დავასახელეთ თუ როგორ არ უყვარს ბავშვს საზოგადო წესის განდგომა: ამიტომ იგი მიერჩდება მატყუარას და ცდილობს გაიგოს მისგან თუ რისთვის იცრუა. ცრუა არ შეუძლია მისცეს სრული განმარტება, ან და რომ უკუაგდოს კეშმარიტებისაგან ბავშვის გულისუფრი. ჰესნის სიცრუეს ზრდილობისათვის საჭიროდ. მაგრამ, საზოგადოთ უნდა გამოვტყოთ, რომ ყველა ამ მოვლენათა მნიშვნელობა ძლიერ გაზვიადებულია, ის ისეთი ხშირი მოვლენა არ არის და არც ისეთი მკვეთრია, რომ შედგენდეს სიცრუის საზოგადო მიზეზს. ხშირად მოხდება, რომ ბავშვში ტყუილის ლაპარაკი ფეხს იდგამს ძალდატანების გამო; მაგალითად ბავშვის დასჯის შემდეგ მოითხოვენ, რომ მან გაიცინოს, ცრემლები შეიმაგროს, სთქვას. რომ ის მხიარულია ან და მაღლობა გადაუხადონ სასარგებლო დასჯისათვის. ამით სიცრუეს უფრო ღრმად ჰნერგავენ ბავშვში, რომელიც ეჩვევა უძლიერესი გრძნობანი გულში ჩაიქროს და ჩამალოს.

კვეიანი პედაკოგი ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ნახავს სიცრუის ამოსაფხვრელად, მაგრამ მას ძლიერ გაუჭირდება საქმე, როდესაც საქმე შეხვდება ბავშვის

სიცრუის ერთს უძნელეს მიზეზთან, წახელდობრ დასჯის შიშთან, რასაც ბავშვი განიცდის, თუ გულახდილად და სიმართლით აღიარა ყველაფერი. აქ იწყება უსასტიკესი მოედანი სიცრუისა, რადგანაც აქ ბავშვი ცდილობს როგორმე ვამძერეს და ტყუილები სასარგებლოდ გამოიყენოს. რაკი ბავშვი გაიგებს, რომ მართლის თქმა, ზოგიერთ შემთხვევაში, ავნებს მას, და სიცრუე კი სასარგებლოა, მაშინვე ის შიში მოელის, რომ ეშირად მიჰმართავს ტყუილებს. ამბობენ, რამდენადც სწავლება თავისუფალია, ბავშვიც იძღვნად უფრო მართლის მოყვარეოა; ეს—მართალია, მაგრამ იშვიათად იქნება რომ ვინმე დასთანხმდეს და არ მიჰმართოს სასჯელს, ბითქმის იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბავშვი გულაზრდობად აღიარებს თავისს ცოდვებს? აქ პედაგოგიურმა აღლომ უნდა უკარნახოს, როდის შეიძლება ბავშვი დასტოკონ დაუსჯელად და როდის უნდა დასაჯონ დაარცა, ერთს პედაგოგიურს თეორიას არ შეუძლია აქ რამე წესი დაადგინოს. როგორ შეიძლება დაუძრაველობა . და დაუსჯელობა, თუ თვითონ აძლევენ ბავშვებს პირველ ცნებას უზნეო ტყუილზე? მაგრამ, უექველია, ბავშვი მით უფრო გამბედავი და თავისუფალი იქნება და მასთან მართლის მოყვარეც, რამდენადც მშობლებს და აღმზრდელებს შეეძლებათ დაიფარონ იგი უველა სულის დამახინჯებელ ჩეკულებათაგან და შეზღუდონ ძალდატანების საზომი. სიცრუის განვითარების შიში გაორკეცდება მაშინ, როცა ბავშვი გრძნობს, რომ ტყუილის აღსარებას ორკეცი სასჯელი მოჰყვება: მაშინ იგი ცდილობს მეორედ მოტყუებით დაამტკიცოს პირველი ტყუილი და დგას თავისს აზრზე, თუმცა აღვილად შეეძლო

სიცრუუის ალმური მოეშორებინა თავისის სინადისიდგან. ამას თან დაერთვის კიდევ შემდეგი გარემოება: მოტყუების ნიჭი ისე ახალისებს ბავშვს ტრაბახობით თავისს ტოლ-ამხანაგებში, როგორც კიდაობის დროს ერთი ერევა მეორეს. ყველაზე უფრო კი თავშესაფარში, სადაც თავი მოუყრია ზნეობრივად გახრწნილ ბავშვებს, განცყიფრებით შეჰყურებენ მატყუარს, რომელიც ამის გამო უფრო ვარჯიშდება ტყუილის თქმაში და შეიქმნება მოურჯულებელი მატყუარა. ამიტომ სიცრუუ გადამდებია, იგი, შეიძლება ესთქვათ, მოარული სენია; ეხლა ჩენ ვიცით, რომ ბავშვს სრულიად არ გაუჭირდება სხვა მოატყუოს, ასე რომ, თუ რამდენამე ბავშვიც კი უჩენებს რასმე მასწავლებლის წინააღმდეგ, ეს სერიოზულად დასაჯერებელი არ იქნება. ძველმა ხალხურმა სიბრძნემ იცის, რომ სიცრუუ და სისულელე უფრო გადამდებია, ვიდრე კეშმარიტება და გონიერება. ამხანაგების ქება დიდებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვი სიცრუუს განვითარებაზე და უკვე პატარა ბალლიც კი წარბ შეუხრელად სცრუობს, რომ სახელი დაიმსახუროს ამხანაგებში და თავი მოაწონოს მათ. სიცრუუს დანერგვას ბავშვი ხელს უწყობს მაგალითათ ასეთი საქციელიც: ქება რომ გაიგონოს დედისაგან ბავშვი უფრო ალერსიანად მიეგებება მას, შეხვედრის დროს იმაზე მეტს მხიარულებას იჩენს, რასაც მართლა გრძნობს. აქედან კი ერთი ნაბიჯია იქამდის, რომ ბავშვება თავისი საქციელი დაანახვოს სხვას უკეთესად, ხშირად მაცდურის სახით და ყველა ეს იმის გამო ხდება, რომ დაიმსახუროს ქება-დიდება მოზრდილებისაგან. და აქ ხშირად ადგილი აქვთ ისეთს გარდამავალ შემთხვევებს, რომ ძნელი გადასაწყვეტია რას

მოელის ბავშვი, დაუჯერებენ, თუ ხუმრობს; ამას ჩვენ ვხედავთ, მაშინ, როცა ბავშვი აჯავრებს ვისმე, ხუმრობს მოზრდილებთან და ერთობა ამით. ამ მიღრეკილებას სიცრუუს თქმას იმ აზრით, რომ იმიაღლოს თავისი საკუთარი „მე“ ბავშვი მიჰყავს ტრაბახობამდის, კვეხნამდის და აგრეთვე უპატიოსნებამდის, რაც დასაბამია ყველა ბიწიერებისა. ამ მკვეთრი სიცრუუს გავლენის გამო ბავშვები ცდილებენ გააშაონ თავიანთი ამხანაგები, უფრონებენ მათ სხვა და სხვა ხრიკებს იმ მიზნით, რომ უფროსებმა არ მიეალერსონ მათ, ან და რითომე ავნონ თვალ აწუნებულ ამხანაგებს. ხშირად ბავშვი არ შეიმჩნევს ცხადად თუ რა ვნება მოაქეს მას თავისი ტყუილებით და თუ შეიმჩნევს, მაშინაც კი უჭირს თავი შეიკავოს ბორიტის ტყუილებისაგან. გასაოცარია ის, რომ 3—4 წლის ბავშვიც კი ხშირად ნანობს სიცრუუს გამო, რაც მას ჩაუდენია ღიდი ხნის განმავლობაში (ეს მოვლენა აიხსნება ბავშვის გრძნობათა სიტიცხით), მაგრამ ბავშვმა რომ გამოიჩინოს ასეთი სინანული, საჭიროა, რომ ამ წლოვანობაში მას შეგნებული ჰქონდეს თუ რა არის ტყუშლი და მართალი; ამას ის გაიგებს უფროსების ლაპარაკიდან და მათის საქციელისაგან.

ამიტომ 12—14 წლის ბავშვებში (გარდა გიუებისა) ერთსაც ვერ იპოვით ისეთს, რომელმაც არ იყოდეს, რომ სიმართლე საიდეალო სათნოებაა; პირიქით, არიან მრავალი ბავშვები, რომელნიც ყოველ კეშმარიტების აკედენის დროს ისეთს პატალოვიურს შიშსა გრძნობენ, რომ ყოველს ამბავს თან ჩაურთავენ: „მგონია“, „შეიძლება“. ასეთი ბავშვები მოლად არიან ფორმალურ კანონის გავლენის ქვეშ, ისინი მისდევენ კანონს და ასე

რომ ესთქვათ ძლიერ დაშორებულნი არიან მეორე ჯგუფის ბავშვებს, რომელნიც ვერ არჩევენ კეშმარიტების განძრახ დამახინჯებას შეუგნებელად მოხდენლუსწორ-მასწორობისაგან. ამიტომ ბავშვის გონების უმოძრაობისა და განუვითარებლობის გამო უკანასკნელი მოზრდილს უდიდეს მორალისად, ან ძლიერ უზნეო არსებად მოტვინება, მაშინ როცა ორსავე შემთხვევაში ბავშვი იტანჯება არა ზეობრივ გრძნობათა ნაკლებობით, არა მეღდ მსჯელობის განუვითარებლობით. ასეთს მოზრდილს ბავშვებში სიმართლე ხშირად ერმება სხვა სათნოებათ და ყოველთვის ვერ იმარჯვებს. მაგალითად მოზრდილ ბავშვებს წესიერად მიაჩნიათ მოატყუონ უფროსები იმ მიზნით, რომ ამხანაგის დანაშაულობა თავს იღვან; ამისთან „გმირობასთან“ ტყუილს კი არ ივიწყებენ, სასურველადაც მიაჩნიათ. სწორედ ასე ბავშვებს ხშირად საქებრად მიაჩნიათ მოატყუონ სხვები, ან არა საყვარელი მასწავლებელი. ყველამ იცის მშობლებთან პატიოსანი და მართლის მოყვარე ბავშვები, სიჭამუკის ხანაშიაც კი ატყუებენ მასწავლებლებს. აქ მეორდება ის, რაც უკვე კარგად ცნობილია პირველ ყოფილ კულტურის ისტორიიდან: ყველა სათნოება თავს იჩენს თავდაპირველად მახლობელ მოყვასთან, — გრძელია გზა, ვიდრე ბავშვი თეორიულად შეიგნებდეს თითოეულის სიყვარულის ხასიროებას, დაუსრულებლად გრძელია — ვიდრე გამოცდილებით დარწმუნდებოდეს ამის სინაშევილეში და ბავშვის მიერ ამ იდეის ცხოვრებაში განხორციელებამდის. მაგრამ ეს სიცრუე მასწავლებლთან, გამოწვეულია არა მარტო საენებლად, არსებითად იგი წარმოადგენს ეგოიზმის ნიშანს, მოტყუებას გამორჩენის მიზნით.

ამნაირად სტატისტიკურად დამტკიცებულია, ამ წლოვანებაში ბავშვები ხშირად სტყუიან სპორტის ან თამაშობის დროს, რადგანაც ამ ტყუილით მათ შეუძლიათ თავისთვის შესამჩნევი სარგებლობა შეიძინონ. ამ სახით ცდებრის ან შეგულრანების დროს, როცა რამე საკირო საქმე ეხებათ ბავშვებს, ისინი სიმართლის გრძნობას უგულობელს ჰყოფენ; სიმართლის გრძნობის სრული განვითარება ეს ისეთ ამოცანაა, რომელიც მხოლოდ თან დათან გადაწყდება ადამიანის თვით აღზრდით.

ბავშვებისაგან არ უნდა მოველოდეთ განსაზღვრულ ზეობრივი თვისების ასეთს სიმტკიცეს, ფანტაზიისა და სიცოცხლის გრძნობათა . აღძებრის გამო ზეობრივი მსჯელობა მათ ხშირად ეცვლებათ.

ბავშვებს ხშირად მოეშლებათ ხლომეჯანმთელობა, საჭმელი აღძრავს მათ და ცუდს გუნებაზედაც აყენებს, ამას, რასაკვირველია, გავლენა აქვს ყოველგვარ გადაწყვეტილებაზე. უჩვეულო რამ ძლიერ მოქმედებს ბავშვზე, და ამის გამო გარშემო არსებულ პირობათა შეცვლით ნერვებ აშლილი, უინიანი და სმის გამო ურჩი და აუტანელი ბავშვი მშვიდედად და გამკონე ხდება, თუმცა, მართალია, ბავშვი ასე იქცევა იმ დრომდის, ვიდრე მისს გარშემო არსებული შეცვლილი პირობები კარგად მოქმედებენ. სულ განზე რომ დავსტოვოთ სხვა და სხვა გვარი საქციელი ბავშვისა ზეობრივის მხრით, რასაც ზეობა რყევაში და ცვალებაში მოჰყავს, ჩვენ ვპოულობთ კიდევ ერთს ასმე, რაც არჩევს მზა დასრულებულ ზეობას თან და თან შესაქმნელ და გასავითარებელ ზეობისაგან: ეს არის მთლიანობა. მხოლოდ მოზრდილს აქვს მთლიანი ერთიანი ხასიათი; ასეთს ხასიათს იგი

იძენს მაშინ, როცა მას შეეძლება განსაზღვრულ იძულებათა შორის დაამყაროს სათანადო დამოკიდებულება და მთელს თავისს ზნეობრივს ცხოვრებას მისცეს განსაზღვრული ცრთვები ფერი. ბავშვს არ შესწევს ზნეობრივი ძალა, რაც ვის თარდება მხოლოდ მოქმედებით და მისს პრინციპებთან შეთანხმებით. პატალოგიური მოვლენანი ბავშვებში ხშირად გვიჩვენებენ, როგორც გამადიდებელ შუშაში, იმას, რაც შეესაბამება აგრეთვე ბავშვის ნორმალურ ზნეობრივს საქუიელს: ერთსა და იმავე დროს ჩვენ ვხედავთ სხვა და სხვა გვარ ზნეობრივს მიღრეკილებათა, საქუიელს, მსჯელობას და დაფასებას. გათანასწორება ამ უსწორ-მასწორობისა, ჩაყენება ისეთს პირობებში, რომ სასურველი თვისებანი ხასიათისა ვითარდებოდეს და არა სასურველი მოკლებული იქმნას ვარჯიშობას, რომ ამაყნი და ამ პარტავანები ძნელი ამოცანების გადაწყვეტის დრო დამარცხენ და მშეიღთაცის შეიქმნას თვითმოქმედების ილუზიები იქაცკი, სადაც მათთვის ყველაფერი უკვე გა-

კეთებულია — ეს არის არსებოთი დანიშნულება აღზრდისა. აღზრდას ბევრი საჭირო საქმე მოელის წინ, თუ უნდათ მიაღწიონ, რომ არსებული ნაწილები მოწესრიგდეს ერთმანეთთან განსაზღვრულის დამოკიდებულებით, განვითარდეს მოწაფის შინაგანი ძალები, და განისაზღვროს ის მიმართულება, რომლითაც უნდა განვითარდეს მისი გრძნობანი. მართალია, უნდა გამოვტყდეთ, რომ მოწაფეს შეუძლია შესცვალოს მხოლოდ ერთი ნაწილი თვისი ფსიხიკისა, რადგანაც ჩემი აღმზრდელები აღამიანსა და უსულო ბუნებაში არღვევები ყველა მისს გეგმებს და სწორედ თვისი წინასწარ განუზრახველობით ხშირად იმაზე უძლიერესად მოქმედებენ. ამ სახით იმ მრავალ ნაწილთა შორის, რაც განსაზღვრულენ ადამიანის გზას, ის უნდა დაკმაყოფილდეს ერთის უფრო არსებოთის ნაწილის როლით. და ბოლოს. მათზედ სდგეს ის, რაც ყველაზედ უძლიერესია, რომ გარდაქმნას აღამიანის ბუნება: ეს არის ცხოვრება.

ლ. ბოცვაძე.

სოციოლოგია

V

დარვინის გავლენა სოციოლოგიაში.

ლარვინის მოძღვრების გამოქვეყნებამ და დი გავდენა იქნია საერთოდ მეცნიერულ აზროვნობაში. დარვინის მიერ სათლად დამსტკიცებული იყო, რომ თრგანიული და არა თრგანიული ბუნება, მისი შემადგენული ნწილები, ბუნების სხვა და სხვაობა, შცენარების და ცხოველების მრავალფეროვანება შედეგია

შეუჩერებელი, თან და თანური შეუწევეტელი ცვლილებისა. მაშისადმე, ბუნება იმ სახით, რომლითაც იგი დღეს ჩვენ თვალწინ არის, არ ყოფილა ამნარით თავიდანებე, არამედ მისი სახე შედეგია ცვლილებისა, ევოლუციისა. ამ ევოლუციას, ამ მსოფლიოს, ბუნების ცხოვრების ცვლილებას თავისი კანონები, თავისი

შიზეზი აქვსთ, რომელსაც იგი ემთხოილება. ამ მიზეზებს შორის დარგინმა განსაკუთრებული უურადღება მიაქცია ორს. უპირველეს უფლისა მცენარეების და ცხოველების აგებულებაშა, მთხოვნილებაში ცვლილების მიზეზი არის ის გარეგანი შირობები, რომელიც შიც სტერეოტიპებს ცხოველია ან მცენარე. ამ გარეგან შირობების ცვლა, სცვლის მცენარეს და ცხოველის ასებას შეცვლილი აგებულება კი სტერეოტიპი შერჩევის ზედ-გა-ჭლენით გადადის შთა მომავლობაზე და ასე იცვლება ორგანიზმები. ორგანიზმების ცვლაში და ზრდაში ძლიერ დიდი გავლენა აქვს ბრძოლას ასებობისათვის; ეს ის უძლიერესი ძალა არის, რომელიც ამოძრავებს უცვლელერს. თითეულ წევრს ცხოველებს, შირეტივებს შორის ბუნებიდან აქვს ცხოველებისადმი, კეთილ-ბედნიერ ასებობისადმი მიღრებისა, მაგრამ მიზანს მიაღწიეს და გამარჯვებული ის რჩება, რომელიც უფრო ძლიერი და მოხერხებული აგებულების არის. მართალია, შემდეგ ბეგრი რამ შეაწორეს დარგის მოძღვრებაში, ბეგრი რამ უკუაგდეს; ბეგრი ასაღი აზრებიც დაამატეს დარგინის მოძღვრებას. (ი. შაგ. ღოლლანდიელი ბოტანიკოსის დე-ფრიზის გამოკვლევანი), მაგრამ მიუხედავათ ამისა უმთავრესი აზრები დარღინის მოძღვრების შეურეველი დარჩა.

დარღინის მოძღვრება ისარგებლეს ისეთს შეცნიერულს დარგებში, სადაც მგრძნი მას ადგილი არ უნდა ჰქონებოდა. მაგალითად — ისტორიკოს-მეცნიერების დიდი დახმარება აღმოგჩინა დარგინის მოძღვრებაში. ისტორიკოსებმა ისარგებლეს იმ აზრით, რომ ცხოვრება მუდმივ ცვლილებაშია და შესაძლებელი შეიქმნა კაცობრიობის ისტორიის შესწავლა, როგორც განუწყვეტელი მთლის, რომელიც თავისი კანონები. აქვს; ასეთი შრომა გასწიოს რერისტრისაც.

მსოლოდ სოციოლოგიაში დარგინმა განსაკუთრებული გავლენა იქნია. წინა წერილში

უკვე განვითარეთ სპეციალის შესედულება შესახებ საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მისი ეფექტურისა, მხრივოდ დარღინის მოძღვრების შეძლებები სოციოლოგებმა უფრო თავისუფლად დაიწყეს მსჯელობა და მაღალი ისე შრომის წავიდნენ თავის მსჯელობაში, ისე გადაჭრებით იქნეს აზროვნება, რომ სწორ, აბიექტიურ ნიადაგს ასციოლდება. დარღინის აზრი შესახებ მუდმივი ცვლილებისა აღიარებული იქმნა სოციოლოგების მიერ, როგორც უტეუჯრი ჭეშმარიტება. თუ ევოლუციის კანონები მსოფლიო კანონებია, მასისადამე ისინი საფალდებულონი არიან. სოციოლოგიისათვის, ვინაიდგან სოციოლოგიის უმთავრესი მიზანია შეიგრძის საზოგადოება, მისი ცხოვრება. ვინაიდგან საზოგადოებრივი ცხოვრებას შექმნის ადამიანთა კრება, და გინაიდგან ადამიანი იგივე ცხოველია, მაშასადამე, საზოგადოების ცხოვრების მსვლელობას, ისე როგორც მცენარეების და შირეტივების ცხოვრებაშიდ დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა გარეგან შირობებს, გეოგრაფიულს, ჰქონს და სხვას და მასთან ერთად სქესობრივს შერჩევას და ბრძოლას ასებობისათვის. ამ კანონების ზედგავლენით იცვლებოდა საზოგადოების აგებულება, მისი ცხოვრება; იცვლება საზოგადოების შემადგრენელი ნაწილების, ე. ი. ადამიანის ფიზიკური და გონიერი ბუნება. ცხადია საზოგადოებრივი ცხოვრება მუდმივ ცვლილებაში იყო, ისე როგორც იცვლებოდა თრგანიული ბუნება; საზოგადოებრივი ცხოვრება; საზოგადოება ექვემდებარება ეფექტურისა, მის კანონებს. ამ აზრების მიხედვით სოციოლოგებიც ცდილობდენ გაეთვალისწინებიათ საზოგადოების ცხოვრების ზრდა, კართულება, მისი თან და თანური, შეუწევეტელი ეფექტურია. სანამდის სოციოლოგია ამ გზას ადგა, მანამდის სწორებაზრდობდა და მისი გვჯევა ძიებას დიდი ნაყოფიც ჰქონდა, მაგრამ მაღალი გზას ასციოლდა და შეცდომები მოუვიდა. დარღინის აზრები

ბით გატაცებულში სოციოლოგებმა გააქრთვეს საზოგადოება და ორგანიზმი, ორგანიზე ერთი ცოცხალი რამ და საზოგადოების ცხოვრების და ორგანიზმის ცხოვრების შედრის განსხვავების აღარ ბოლობადები; ჭეშმარიტი თრგანიზმის შესახებ ჭეშმარიტად იქნა აღიარებული შესახებ საზოგადოებისა. ამის შემდეგ დაუშირდაპირების თრგანიზმი და საზოგადოება, რათა ასეთი დაუშირდაპირების შემცუბობით გაერკიათ საზოგადოების ცხოვრება. შეფლენი, დეივიგელდის, კანისკუთებულით რენეგადოსმის შრომებში შეგვიძლია გაყიდვით ამ ასაფ შილმართულების, რომელია უწდებენ „თრგანიულ თეორიის“ სახელს.

ადამიერებულ იქმნა რა ერთნაირობა თრგანიზმის და საზოგადოების ცხოვრების შესახებ, შემცხავებული იქმნა ასაღი სახელები, უპრ კოტება ის ტერმინები, სახელები, რომელისაც აქვს ადგილი თრგანიზმის ავთ თუ პრეგათ უთვენის შესახებ, გადატანილ იქმნა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. დაიწეს დაბარავი საზოგადოების თერაივაზე, პატროლოგიაზე და სხ. რ. გორმისი კი ისე შრომისავიდა, რომ დაუშირდაპირა თრგანიზმი საზოგადოებას და სოქვა, რომ თრგანიზმის ძარღვების საზოგადოებაში უდრის რეინის გზებით, ბირებს—ადამიანის გულით და სხვა. მე-იმ წლების დასასრულ ამ მოძღვრების

წინააღმდეგ ბეკრძა გაიღაშქრა და ჭეშმარიტად აღიარეს ის, რომ ასეთი გარეგანი დაშირდაპირება, ერთობის აღიარება მხოლოდ დასხვადებული მსგავსებით ძლიერ სუსტი და არა მეტნიერული გზა არით და ასეთი უერეული დასაღვევება, როდესაც გაგრევაველი რჩება შინაგანი აგებულება, შინაგანი ძალები არასოდეს : რ უნდა ჩაითვალოს ჭეშმარიტ მეტნიერულ გვდევა-ძიებათ. თრგანიულ თეორიით გატაცებას მოჰყება დიდი სარგებლობა, — სოციოლოგების უკუ აგდეს ასეთი გარეგნული დასხვადება, ასეთი გარეგნული შეგვისება, ჩაუკითხორეს სოციოლოგიურ მოვლენების შინაგან აგებულების შესწავლა, გამოკვლევებს და ამას კი დიდი შედეგი ჰქმისდა. ესეს არ განიულ თეორიას ძიირ წოტა თაუგანის მცირებელი ჰყავს. შინა მოძღვრება ძლიერ შეიცველა და უბრალი სენის შეცნებული ძიება სისხს. ამხადრა თრგანიული თეორიის შეცდოშების დიდი ღვაწლი მიუძღვის სოციოლოგიური ასტროსობის განვითარებაში. თრგანიული თეორიის გარეგნულმა შედარებამ თრგანიზმის და საზოგადოებისამ სოციოლოგების ასწავლა თუ როგორ არ უნდა მსჯელოდეს და იძიებდეს ჭეშმარიტებას შეცნიერი სოციოლოგი.

სიმ. ავალიანი.

დ—რი დიტმარი

სინათლის სამკურნალო გავლენა

კანის აფალმუთოების მცნიურებაშ, ღრმატლურაგაშ, შესამჩნევი ნაბიჯი წარსედგა წინ სინათლის გამოსახულით განის ზოგიერთ სიულეებათა მორჩენაში. ბეკრის შეითხეველთაგანის უმტკველია თავზე უუმჩნევია, რომ

მზან ღდეს გასეინხების ღროს, ან ზაფხულუ ში მზის განების მიღების შემდეგ, პირისას უწითლდებათ და საზოგადოათ მთველი განს საურთო სიწოლის ელიური გადაემგრის, ან განი უბურცელდებათ, ნიდება შაწაწა წელით საგ-

სე ბუშტები, რამელიც ქაფილი იწყებს და შემდგრ ჭირება. პალის იმ ადგილის, რამელისაც მზე ხვდებოდა, მისაგის იქნი გადაეპვრებოდა.

ასეთი მოვლენა წნევება არა სითბოს გამო, არამედ სინათლის ქიმიურ სოქტედების წერდაბით, მასის იმ სხივების გამო, რამელებიც, მოგლე დალეგით, ანგრის სპეციალის მოდურულ ფერს და ზეგვერ სპეციალის საზღვარსაც გადაცილდებათ ხლოშე და თვალთაგას უხილავნი არიან, მაგრამ მათი ადმიჩენა შესაძლებელია საფოტოგრაფიო ფირფიტის შემწერადით.

განის სიწითლე და ქაფილი წინააღმდეგობას უშეგუნ სინათლის გადაზისხებას; ხლოშის ამ გვარ დაზისხებაში უფრო ძლიერ მოსაწილეობენ სისხლის მატრაცებელი სარდები. რამდეხოვაში სით დარტეხილი ქნის მისაკის ფერი აისხება კანის ზემო საწილში შემდებავ წიგთავების მისამის შეგვების კროს გვარის სისახლის გვარის გვარის სისხლებას, რომ სისათლისაგან დაიღვაროს კანის ქვეშ ღრმად მოთავსებელი დრგასოდება, — ეს ხერხი, როგორც გორით, უფრო სრულად შემუშავებული აქვთ ზანგებას.

მაშასადამე სად კანში ჩენ შეგვიძლია, სისათლის გაფლებით, გამოვიწით ასთების მსგავსი მოვლენა, ასთებულ კანში კი შეიძლება ასთების გაძლიერება. ამით რომ განაკუნებასაც მიყვალწევთ, ეჭვი არ არის ბირის გამოვლენის შემძებელ, რამელმაც დამტოცია, რომ ასთება საჭირო პროცესია, რომლის გაძლიერებაც სისრად საჭიროა.

სისათლის შექმნა რომ სასარგებლოდ გამოვიყენოთ კანის ავადმეულობის დროს, უგრდასე უმარტივესია დამოუკიდებლად მიკართთ მზის სხივების, მაგრამ მზის სხივების გამოშექნა შეზღუდულია იმ გარემონით, რომ მზე უგველოვის და უოველგას არ არის. ამიტომ მიმართეს ისეთს სხივებს, რასაც იმ-

დეგა ელექტრონის რეალი და რაც შეიცავს ბევრს სხივებს ქიმიურის მოქმედებით. მაგრამ ამგვარი სხივებით უფრო მდიდარია ესრედ წრდებული ჰიბისის სისათლე, რასაც მიღებუნ ელექტრონის რეალიდა, რომლის ელექტროდა ში რეინის ფხებიდა ხურიდა.

მანქანა, რომლის საშეადებითაც მიღებუნ ასეთს სხივების, როვენია. სხივებს თან ასევეს სითბოს მოსამორებლად სხივების გატარებუნ წერდში; ბოლოს კანის უნდა მოამორონ სისხლი, რადგანაც მხრებოდ ამ შემთხვევიში შეიძლება სისათლეში თავისი მოქმედება დროში გაატაროს სხეულში. გვლობის რეალის პროცესორი უსარგებლოდ სხივებით მკრნალობის დროს, რადგანაც სითბოს აჩენს და ამიტომ მას სმარტებს იქ სადაც საჭიროა სითბო სტერილის რომელისამე საწილები — მაგ. კულტურულების ტეგით ჭრილობის დროს და ან საჭდომანებულის ტეგილის დროს.

ტეგით რეალის ფაზების ნაცვლად რამდენიმე წლის გრძელებიაში ურჩევდნენ ებმართ სხევა დამშებიც, რეგორც მაგალითად კრომეირისა, შეტრასი და გერცხვის წელის თორქებიანი დამშება; უფრო ამ დამშებით მაქმედება შეიძლებოდა ას კანის ზედაპირზე, ას ცოტად თუ ბერად დომადაც, მაგრამ უკულა ასათი მიზანი იყო გაეჩინათ ძლიერი მოქმედების სისათლე.

სედ სხევა სხივებს მიფილებთ, თუ სისათლეს გავატარები რენტგენის დეჭაში. ამ სისათლით გამოწვეული რეაქცია იმით განიჩევა სხივებისაგან, რომ მისი მოქმედება თავს იჩენს უფრო გვიან. 8—14 დღის შემდეგ მაშინ გამომგარევება, რომ გატოზნის სხივების თას ასლავთ კანის მომშენები მოქმედება. ასევების პროცესის გარდა, რაც ჩენ აღვნის შევარცხვა, შევარცხობი იმის დაცვისას, თუ დღის გარემონის დაზისხებას და ფრენის გვიანის.

ეხდა უკვე ცხადიდეს დამორჩილებული მისრობენ,

როგორც წყაროს სინათლისას, ას უკეთ რომ გვთქვათ, როგორც სხივების წყაროს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნივთიერება ძლიერ ძვირია და უველავათვის არ არის ხელმისაწვდენი, ამასგარდა შედარებით იგი უფრო სუსტადაც მოქმედებს, ასე რომ იმის რეაქციის უფრო დიდს ხასს უდა ველოდინოთ, ვიღრე რენტგენის სხივების მოქმედებას —ზოგჯერ ერთს თვესაც სხვაფრივ უხილავ სხივთა მოქმედება ისეთივეა, როგორც რენტგენის ღულიდან.

მხერებულე დამშები სხივებით სამკურნალოთ არ ვარგა. ხშირად სახმარ ელექტრონულ ვანებში (მხერებულე დამშებიდან) ჩქარა გამოიყენება სასარგებლოდ საჭირო სიახლ, რასც დამშები იძლევიან და აქედან წარმომშობილი ძლიერი გათვლიანება ძლიერ საჭიროა ზოგიერთ ავალმეოთვობის მოშორებისათვის, როგორც არის მაგ. ქარები, სიმსუქნე, სხვა და სხვა გვარი წყალმანები და სხ.

პირველი, რომელმაც ფართოდ ისარგებლა კანის ავალმეოთვობის, კანის ტებურკველზის წინააღმდეგ (*lupus vulgaris*) ელექტრონულის რკალით, იყო ფინზენი კოპენგაგენში. კანის ერთგვარი ავალმეოთვობა (*lupus vulgaris*) ისეთი ავალმეოთვობაა, რომელიც უფრო ხშირად ჰირისას აფუტებს, ჭმლის და ამას ხინჯებს და სამწუხაროდ ხშირად მკურნალობაც გვრ აღწევს თავისს მიზანს. ამ სენის მკურნალობა იმაში მდგრაжობის, რომ გააქროს კანში ბაზარი ვეტვის მარცვლის თევნა ნასკები, ტებურკველები, რომ დარჩეს სადი ხორცი და მიიღონ ამ სახით წმინდა ნაკვეფი. იქაც სინათლის სხივები ისე მოქმედებენ, რომ სად ხორცშიაც აჩენენ სად ანთებას, იმავე დროს დაავალებული ხორცი, რაც სუსტს სიცოცხლეს იჩენს, მთლად ჭრება სინათლის გაფლენის გამო. წინად ეგრძნათ, რომ ამ პროცესთან ერთად ბაკტერიებიც იხოცებანთ, ეხლა კი ეს დებულება ჭერ კიდევ საქვერა.

შედეგები, რაც ფინზენმა მიიღო, ჩინებული გამოდგა და საზოგადო უურადღება დაიმსახურა. თუ ეს მეთოდი ჭერ კიდევ საუკველ-თად გავრცელებული არ არის, ამის მიზეზი სანგრძლივი მკურნალობა და სიძვირე, რაც დარიბთათვის, რომელიც უფრო ხდებან ავად *lupus vulgaris*-ით სელსაურელია არ არის.

ამასგარდა სინათლის სხივების საშუალებით მორჩენილან კანის ანთებული ნასკვები, რაც უფრო ხშირად ჩნდება სახეზე, ან ზურგის ზემო ნაწილზე. ამგვარივე საშუალებით თმის გაცვინისაგნაც, ესრულ წოდებულის *Vera Celsi* თმა ისევ :მთლითდა, უფრო ჩქარა ვიღრე ამ საშუალებას იშმარდნენ. ამავე საშუალებით არა ერთხელ იშორებული ანგიომას (ძალვების სიმისიენეს); ბოლოს ამ საშუალებითვე არსებითად სუსტდება უსიამოვნო მოვლენა — ცხვირის სიწილე, რასაც უსაფუძვლოდ სხნას და უსიამოვნოდ მათვების, გისაც ასეთი ცხვირია აქეს.

მნელია განსაზღვრა უკეთა შემოხვევებასა, რომლის დროსაც შეიძლება გამოიყენონ რენტგენის სინათლის მკურნალობა იმ შემთხვევისაგან, რომლის დროსაც საჭირო შეიქმნა ვოლტის რეალის სინათლის სინაოლის ხმარება. კატოდურ სხივებსაც კარგი შედეგი ჰქონის *lupus vulgaris* და კეზების, სირსეველის ზოგიერთ ფორმების სამკურნალოდ. შემთბიარობის ნიშანი და შეკვეწები, რაც ამასინჯებს სხეულს, ჰქონებოდნენ იმავე სხივების გაფლებით. განსაკუთრებით მკურნალობა უფრო ნაუთვიერი იყო კანის ერთგვარ ავალმეოთვობის კანკრიდის შესახებ, რაც დროს კანმაგლობაში იქცევა კუდ: ეს ავალმეოთვობა საუკველანად ჰქონებოდა და რჩებოდა კრგი ნაკვედები.

ზოგიერთებს იმედი ჰქონდათ გუს ავალმეოთვობის სხვა და სხვა ფორმებისაც შეიძლებოდა ხმარება რენტგენის სხივებისათ, რომ ჯარა კეიმობას არ მიმართოს, მაგრამ ეს იმე-

დი ვერ გაშართდა. და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ჭარა ექიმითა არ არის საჭირო, შეიძლეს რამდენადმე სიმისივნის გავრცელების შეუენება.

სისხლის გადაგვარების დროს, სისხლის თეთრი უფრედების გამრავლების გამო, შეიძლება შევამჩნოთ თუ როგორ მცირდება ლეიკოტიტების რიცხვი სინათლის გავლენის გამო, არა ჩვეულებრივი გაბერილი ტეილში პატარავება და ავადმყოფი უკეთესს გუნგბაზედ მოდის. სამუდამოდ განგურება შაინც შეუძლებელია. რაც შეეხება სხვა შინაგან ავადმუოფებას, როგორც მაგალითად თეოდორით ავადმუოფებას და ქოშინის, გულზე ხელინის ზოგიერთს ფორმებს, ეტეკბოდღათ საუკეთესო შედებები. დასასრულ სინათლის საშუალებით განკურნებას კარგი შედები მოჰკვება მღიერიან და ქეციან ავადმუოფებზე.

რეტიტინის სხივებით წამლობის დროს დაღი სიღრთხილეა საჭირო. ძლიერი სინათლის სმარებით თავდაპირველად ვერაფერს შეამჩნევა, მაგრამ რამდენისამე სნის შემდეგ ჩნდება ბუშტი და სიმინე, რაც იწვევს ძლიერს ტერავილს და ძნელი მოსაშორებელიც არის. ექიმიც კი, რომელიც სამკურნალოდ სმარიბს რენტიტინის სხივებს, ფრთხილად უნდა იუგეს და ხელებზე უნდა ეცვას ტევიის სარჩელიანი სელოთათმები.

რაც შეეხება რადიის სხივებს, მისი გამოუქნება დაახლოებით ისეთივეა, როგორც რენტიტინის სხივებისა. აღსანიშნავია გადევისიც, რომ თბილ წელებში და ცნობილს სამ-

კურნალო ტალახებში,—განსაკუთრებით. სანძრების ტალაპტში, რასაც სასედად ფანგი ეწოდება, ურევია რაღიოკტიული ნივთიერებანი, რომელიც დიდხანს უშვებენ სხივებს: ამას მიაწერენ იმ კარგს შედეგებს, რაც მოჰკვება ამ სამკურნალო საშუალებას.

სულ სხვანაირია ის მოქმედება, რასაც იჩენს წითელი სინათლე შავს უგავილზე. აქ წითელი მინები აშორებენ სინათლეს იმ ნაწილს, რომელიც აღზიანებს ტანზე და სახეზე გამოურილ მუწევებს. ამის წეალიბით მუწევებია არ ლაპება და ავადმუოფებასაც ადგილად იტანენ. ამას გარდა წითელ სხივებს აღმძრელ მოქმედებას მიაწერენ, მტრედის ფერს კი, შირიქით,—დამძმშვიდებელს, დამძინებელს.

ბოლოს მოვისტენებით მკურნალობის ორს სხვა საშუალებასაც, რომელსაც საფუძვლად შარიალია სინათლე არ აქვს, მაგრამ ცნობილი სხვა გვარი სხივებია. უპირატესად ფრანგთა ავტორების ეგონია, რომ უოველგვარ სნეულობის დროს კარგს შედეგს იძლევიან ცვალებადი ძლიერი ნაკადები, რაც მიჰყევება ერთმანეთს მცირე სნის განმავლობაში. მაგრამ ბერმანელ ექიმია სერიოზულის და ფხიზელის გამოვლევით სჩანს, რომ ეს შეთოდი მოქალებულია სერიოზულს საფუძველს. უპანასენელ ხანებში ბევრს ლაპარაკობდენ ფულგურაციის, ანუ ელვის მოქმედების შესახებ კუს-მაგვარ სიმსივნეზე,—ესეც ისეთი მკურნალობაა, როგორც ცგალებადი ნაკადები, რაც სშირად მიჰყებიან ერთი მეთრეს. მაგრამ ამ შეთოდის შემოწებას გერმანიაშა არ მოჰკვა სასურველი შედეგებია. კასაბერი.



სამშობლო ქვეუნის მოღვაწენი

† დ. ზ. სარაჯიშვილი

ულმობელმა სიკვდილმა 20 იუნისს ქართველებს გამოსტაცა საუკეთესო მამულისშვილი, ცნობილი ქველმოქმედი და ყოველის ღირსებით შემქული იდამიანი დ. ზ. სარაჯიშვილი. განსვენებულის ცხოვრების რომელი მხარეც გინდათ აიღოთ, ყველაფერში ეტყობა სრული ადამიანობა, კაცურ-კაცობა, მამულისა მოძმის სიყვარული; იშვიათი ქართველი ყოფილა ჩვენს დროში ისეთი, რომ ღირსებით განსვენებულის შესაძარებელი ყოფილიყოს. ამიტომაც ჰგლოვობს მას ქართველი ერი, რადგანაც ცხადად ხედავს, რომ მეორე დ. ზ. სარაჯიშვილი მას არ ჰყავს და ოდესმე ეყოლება თუ არა არც ის იცის. კეშმარიტად სამწუხაროა ჩვენისთანა პატარა ერისათვის ისეთის ადამიანის დაჲქარგვა, რომლის ცხოვრების მიზანს ქვეუნის სამსახური შეადგენდა და თავისის ქველმოქმედებით ვაჭრობის აყვავებით დიდს სამსახურს უწევდა ყველას და გაძვალტყავებულ დარიბ-ლატაკ ხალხ-საცფეხზე აყენებდა.

ძლიერ კარგად ვიცნობდი პირადად განსვენებულს დავითს და მისი აზრი ხალხის სწავლა-განათლების შესახებ მუდამ საგულისხმიუროთ მიმაჩნდა. განსვენებული ამბობდა: უბრალო, გაუნათლებელი, წერა-კითხვის უმეცარი მუშა არც თავისთვის ვარგა და არც პატრონისთვის. მან დაარსა კავკავში მუშებისათვის საკეირაო სკოლა, ათი წელიწადი ვმუშაობდი იმ სკოლაში და მუდამ თვალ-

ყურს ვადგენებდი, როგორის სიხარულით ეგებებოდა განსვენებული, როცა მუშები სწავლაში წარმატებას იჩენდენ; წერა-კითხვისა და ანგარიშის მცოდნე მუშას ჯამაგირსაც უმატებდა და ამით აქეზებდა ყველას, რომ წიგნი ესწავლათ. უყიდა მუშებს საუკეთესო ჯადო ფარანი ბუნ-დოვანი სურათებისათვის სახალხო კითხების გასამართავად და იქვე დაუარსა მათ ბიბლიოტეკა სამკითხველო ქართული წიგნებისა. განსვენებული ხელს უწყობდა ყველას, ვინც კი, ქარხანაში სამსახურის შემჯეგ, საკუთარ ვაჭრობას გამოიწყებდა. სწორედ ჩვენს დროში იშვიათი ადამიანი იყო განსვენებული დავით ზაქარიასძე. მას გულის ფიცარზედ ეწერა:

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დაჭრგე;
უველ დღეს შეს თავს ჭყითხო;—
ამა მე დღეს გის რა ვარგე?“

აუწერელია ყველა ის ქველმოქმედება, რაც განსვენებულს მიუძლოდა სიკოცხლეში და რაც სიკვდილის შემდეგაც გზას უნათებს, ამათში ყველაზე უფრო თვალსაჩინოა ურიცხვი შემწეობა. სტიპენდიების სახით და ერთდროულის დახმარებით ჩვენის ახალგაზღიულისათვის. ამ დახმარებით განსვენებული ეუბნებოდა ჩვენს ახალგაზღიულბას: დახმარებას გაძლევ, ისწავლე და ქვეყანას გიმოადექიო. განსვენებულის დავით ზაქარიას ძის გულში ღრმად იყო ალბეჭდილი პოეტის სიტყვები ახალგაზღიულისადმი:

„ისტავლეთ ძენთ, ნუ დაზოგავთ ღვეწელს
და შრომას,
ნათლის თვალითა ერიდენით ცრუ გზას და
ცორმას.
თქვენის სამშობლოს თქვენების რბის გული
და თვალი,
ასწავლეთ, ძენთ, თქვენს სედთ არის მის
მომავალი!“

და თუ რომელიმე ძე, სამარცხვინოდ,
მამის ანდერძს ლირსეულად ვერ ასრუ-
ლებდა, თავისის სწავლით ქვეყანას არას
არგებდა, და მხოლოდ თავისს კუჭე მუდაშ
ჰუკრობდა, მაშ განსვენებულიც, რო-
გორც მზრუნველი მამა, მწარე ფიქრებს
მიეცემოდა. დიალ, ნეტარ ხსენებული



დავით ჭ. სააკაშვილი
† 1848—1911.

დავით ზაქარიას ძე მთელს თავისს სი-
ცოცხლეში სულ მუდამ იმას ჰუკრობ-
და,

„რომ ჩვენ განვახლდეთ
სულით ავმაღლდეთ
და განჭქრეს ბნელი უშეცრებისა“

ის იყო საუკეთესო მოამაგე ჩვენის
ხალხისა, ის ხელს უწყობდა, რომ ჩვენი
ქვეყანა

„აღსდგეს ძლიერი
და დადგეს ერთ სხვათ ერთა შორის;
წმიდით საედარით,
ენით შდიდარით,
სწავლისა შუქით განთუბული“.

ასეთი ძვირფასი კაცი დაპარგა ჩვენმა
ქვეყანამ, ძვირფასი მით, რომ რასაც
სხვები ლიტონი სიტყვით ჰქადაგებდენ
ჩვენში, დავით ზაქარიას ძე მარტო სიტ-
ყვებს არ სჯერდებოდა და ყოველ ძველ-

ნის სასარგებლო საქმეს რეალურად ახორციელებდა, ეხლა არა გვყავს დავით ზაქარიას ძე! დაობლდა ქვეყანა. ძაბა მოისხა არე მარემ, ყველა გრძნობიერი არსება საგონებელს მიეცა. საქართველოს ყოველის მხრიდან მოსულმა აუარებელმა ხალხმა გულწრფელი ცრემლის ნაკადული ასხურა უკანასკნელად მისს გაციებულს გვაძლი. ყველას გულში განურჩევლად ერთსა და იმავეს ჰკითხულობა: მოკვდა დავით ზაქარიას ძე! მოსწყდა სამშობლოს ცას ერთი უბრწყინვალესი ვარსკვლავი, მაგრამ იმედი ეს ყოვლის შემძლე აზარმაცი, ინუგეშებს ყველის ჩვენის ერთს ცხოვრების გულშემატკირს.

დავით ზაქარიას ძე არ მოკვდარა, საქმენი მისნი, სახელი და ხსოვნა უკვდავია და უკვდავივე დარჩება ქართველი ერის ხსოვნაში. საიმედოთ განსვენებულის მეულლე, პატივცემული ეკატერინე ივანეს ასული, რომლის მწუხარებას შუა იყოფს ქართველობა, იმდენად მრავალ ღირსებიანი და სათნოიანი ადამიანია, რომ სანუგეშოდ ჩვენთვის მისი მრავალ უძმიერი სიცოცხლე ფრიად სანატრელია, რასაც წრფელის სულით და გულით ვუსურვებთ მას. ხოლო განსვენებულს დავით ზაქარიას ძეს—საუკუნო ხსენებას.

ლ. ბოცვაძე.

დ. ზ. სარაჯიშვილი

(ბიოგრაფიული ცნობები)

განსვენებული დ. ზ. სარაჯიშვილი დაიბადა ქ. ტფილის 1848 წელს, 28 ოქტომბერს. იგი იყო ტფილისიდან ჩამომავლობით, საპატიო მოქალაქე. სიყმაშვილე საყვარელ ოჯახში გაატარა. სასკოლო ჰასაკისა რომ გახდა, ტფილისის 1 გიმნაზიაში მიაბარეს. 1866 წელს დაამთავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. იქ მხოლოდ ერთს წელიწადს დაპყო და გერმანიაში გამგზავრა. მაუნხენის უნივერსიტეტში შევიდა, მერე ჰერიდელბერგის უნივერსიტეტში გადავიდა, სადაც 1871 წელს სწავლა დაამთავრო და ქიმიის დოქტორის წოდება მიიღო.

ამის შემდეგ 1878 წლამდე სასოფლო-სამეურნეო მცუნიქრებას სწავლობდა ჰო-

გენეიმსა და გალლეს 1878—1879 წლებში კი საფრანგეთში სწავლობდა მევენახობის ყველა დარგს. როგორც სჩანს განსვენებული სასოფლო სამეურნეო მოღვაწეობისათვის ემზადებოდა და საფუძვლიანადაც შეისწავლა, მაგრამ ისე დატრიალდა საქმე, რომ სულ მოულოდნელად არყის საქმეში ჩაება და კავკავის მახლობლად არყის სახდელი ქარხანა შეიძინა. ეს ქარხანა მეტად პირველყოფილ მდგომარეობაში იყო, რაც ვერ იკავიათ განსვენებულს; ამისათვის ხელახლა გადააკეთა გაუმჯობესებულ ტეხნიკის მიხედვით, ხოლო საქმისა და ბაზრის გასაფაროთვებლად ტფილისშიაკვეთა გახსნა დილი საწყობი. აქვე შემოიღო მან კავკასიაში ჯერ უცნობი რამ—რექტიპიკაციის აპარატი. 1887 წ. ტფილის

შიგე გახსნა ლიკიორის ქარხანა, რისთვისაც მცდნე ოსტატები საფრანგთიდან დაიბარა. დავით ზაქარიას ძის ასეთ ცოცხალ მუშაობას სააქციზო უწყების გამგე აქცევს ყურადღებას და გაუწერელ ხარჯთა დეპარტამენტში წარმოდგენილ ყოველ-წლიურ ანგარიშში აუცილებლად იხსენიებს ამ ახალ ფირმის საქმიანობას.

მაგრამ ღ. ზ. მაინც ვერ ისევნებს, არყისა და ლიკიორის წარმოება ვერ აკმაყოფილებს, მისი დიდი ხნის სურვილი იყო კონიაკის წარმოება, რომელიც რუსეთში ჯერ არ არსებობდა. ამ საქმეს გაცილებით დიდი თანხა სკირდებოდა და მეტად საძნელო საქმეც იყო, მაგრამ განსვენებულს მიღებულ ცოდნის გამოყენება არ ასვენებდა. ამ საქმისთვის ხარჯის გარდა, სასმელების მთელი რაიონის ცოდნა იყო საჭირო და სხ. მან კარგად იცოდა, რომ ამ ნაბიჯით მთელ თავის ქონებას განსაცდელში აგდებდა, მაგრამ დიდი ხნის სურვილს ვერ ეურჩებოდა. ამისათვის 1888 წ. პირველად ტფილისში დასდგა კონიაკის აპარატი, რომლის შემწეობითაც სხვა და სხვა კუთხის ღვინისაგან კონიაკის ხდა დაიწყო. გამოცილებამ დაანახვა, რომ კონიაკის დასამზადებლად საჭიროა ყველა კუთხის ნაყოფი, მათი სარდაფებში დაყენება-შენახვა და მერე ისეთის სასმელისა, რომელსაც საფრანგეთში „კონიაკს“ უწოდებდნენ. ამ საქმისათვის აღგილობრივ შესაფერ შენობათა აგება იყო საჭირო. ღ. ზ. სარაჯიშვილიც ნელნელა შეუდგა მათს აშენებას 1889 წ. ააშენა ყიზლიარში. 1894 წ. ერევანში, 1895 წ. ბესარაბიაში კიშინიოვის მახლობლად დაბა კალარსში, 1901 წ. ბაქ. გუბ. გეოგჩაში; ამისდა მიხედვით ტფილისში მთავარ საწყობსაც აფართოვებდა. საქმე წინ მიდიო-

ღ. 1890 წ. სააქციზო ვადასახადთა გამგეს ანგარიშში ნათქვამია : „ბ. ნი სარაჯევმა, როგორც გამრჯემ და ენერგიულმა ადამიანმა, ბევრი იშრომა კავკასია. ში სამშობლო ქვეყნის მრეწველობის სალორძინებლად: მაგ. 1885 წ. მან კავკავში იყიდა არყის ქარხანა, რომელიც წელიწადში ვ--4 მილიონ გრადუს სპირტს ამზადებდა, ეს რიცხვი ბ-ნმა სარაჯევმა 8 მილიონ გრადუსამდე იყვანა. 1885 წელს მან ტფილისში გახსნა კავკასიაში პირველი რეკტიფიკაციის ქარხანა, 1887 წ. დაარსა კავკასიაში პირველი არყის ქარხანა. ამ ქარხანაში დამზადებული სასმელი იმდენად კარგია, რომ სულ მცირე ხანში გაიწია არა თუ კავკასიაში, შიდა რუსეთშიაც და თვით პეტერბურგშიაც კი. 1888 წ. ღ. ზ. სარაჯევმა ტფილისში გახსნა პირველი კონიაკის ქარხანა რუსეთში, რითაც მაგალითი მისცა სხვებსაც კავკასიაში ასეთ ქარხების გახსნისა. სარაჯევის კონიაკი თავისის ღირსებით თამამად უწევს მეტოქეობას სხვა კონიაკებს მთელი რუსეთის ბაზარზე“.

ათის წლის შემდეგ 1901 წელს, სააქციზო ხარჯთ-აკრეფის გამგემ, გაუწერელ გარდასახადთა მთავარ სამმართველოს უფროსს შემდეგი მოხსენება წარუდგინა. (1 ივნ. 1901 წ. № 7293): „მიმდინარე წლის აგვისტოში ტფილისში ისხნება კავკასიური გამოფენა სასოფლო-მცურნეობისა და მრეწველობისა, საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის თავის აღსანიშნავად. ამ გამოფენაზე თვალსაჩინო აღვილს დაიკერს არყისა და სხვა მაგარ სასმელების განყოფილებაც. ამისათვის შესაფერად მრმაჩნია თქვენს მაღალკეთილშობილს მოვახსენო. რუსეთში ცნობილ და აღგილობრივ მეტად გავრცელებულ დ. ზ. სარაჯიშვილის მრეწველო-

ბა შეიძლება თქვენმა მაღალ-კუთილშობილებამ საიუბილეო გამოფენის გამო (აქ აღნუსხულია დ. ზ. ქარხნის თანდათანი განვითარება) იგი ყურადღების ღირსი გამარტინს; რადგანაც ამ ძეირფას დარგში, როგორიცაა ეხლა კონიკის წარმოება, დიდი ღვაწლი შეიძლება და დიდი სახელიცა აქვს დამსახურებული სარაჯიშვილის ფირმას, რომელიც 17 წელი რაც არსებობს. სამართლიანობა მოითხოვდა იგი წაგეხალისებინათ და კომერ-

ციის სოეტენიკობა გებოძებინათ. ეს ჯილდო უფრო შეეფერებოდა იმ საპატიო მდგომარეობას, რომელიც უჭირავს ბ-ნ სარაჯიშვილს ტფილისის სავაჭრო და საზოგადო საქმეში“.

1902 წ. 1. იანვარს დ. ზ. სარაჯიშვილს „სამშობლო ქვეყნის ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში სასარგებლო მოღვაწეობისათვის“ უმაღლესად ებოდა ხახარისხი „კომერციის სოეტენიკისა“.

(ს. 8.)

დ. ზ. სარაჯიშვილის ანდერტინის ნიაწილი

გამოქვეყნებულ ანდერტის ნაწილიდან სჩანს, რომ განსკენებულს დ. ზ. სარაჯიშვილს წერა-კითხვის საზოგადოებისათვის დაუტოვებია 300.000 მანეთი შემდეგის პირობით. ამ ფულის ნახევარი უნდა მომხმარდეს ქართულ ეროვნულ მუზეუმის აგენტის. მეორე ნახევარი კი—სტიპენდიების სხვა და სხვა უმაღლეს სასწავლებელში რუსეთში და საზღვარ-გარედ. თვით ეს თანხა უნდა იყოს ხელუხლებელი, სტიპენდიებისათვის კი უნდა იხარჯებოდეს მარტო სარგებელი.

სანამ ეს თანხა სრულიად გადაეცემა წ.-კ. საზოგადოებას, იმ დრომდე გაგრძელდება ყველა უკანასკნელ წლებში დაარსებულ სტიპენდიების ძლევა. უკეთურომელიმე სტიპენდიატი სწავლას დამთავრებს ამ ვადაზე აღრე, მაშინ ახალ სტიპენდიების დანიშვნა უნდა შეჩერდეს.

შეწირული თანხა უნდა შედგეს უძრავ ქანების იმ ნაწილის გაყიდვის შემდეგ, რომელიც სავაჭრო საქმეებს არ შექმნება.

გადაცვალების შემდეგ სამი წლის გან-

მავლობაში უნდა ეძლეოდეს ყოველწლიური შემწეობა ყველა იმ სკოლებს, რომელთაც ეძლეოდათ აქამდინ.

ტფილისის პირველ სავაურ გიმნაზიას, სადაც სწავლა დაამთავრა განსვენებულმა, უანდერტი ერთდროულად 10,000 მან.

აგრეთვე დაუტოვა 5,000 მან. ერთდროულად თბილისის მართლ-მაღიდებელთა სასულიერო სემინარიას.

განსვენებულს გამოუცხადებია სურვილი, რომ მისი სახლი სერგიევის ქუჩაზე, სადაც ის მუდამ სცხოვრობდა, გადაეცეს ქალაქის თვით-მართველობას თავის მშენებირი მოწყობილობით იმ პირობით, რომ ამ სახლში ქალაქმა მოწყოს ან სამხატვრო გალერეია, ანდა შინა-მრეწველობისა და ხელოსნობის მუზეუმი, ანდა ორივე დაწესებულება ერთად. ეს შეწირულება ღირს ნახევარ მილიონამდე. აღგილი და სახლი ღირს 300.000 მანეთა; მოწყობილობა კი 100.000 მანეთზე მეტად.

არ დაივიწყა განსვენებულმა თავის ქარხნების მუშები და მოსამსახურები:

ყველა იმ მუშებს და ოსტატებს, რომელთაც უმსახურნიათ არა ნაკლებ ორის წლისა და რომელნიც პატრონის გადაცვალების დროს სამსახურში იქნებიან, მან უანდერა 25 000. მ. ხოლო დანარჩენ მოსამსახურებს—100.000 მან.

ეს უკანასკნელი სურვილი განსვენე-

ბულისა უტყუარად ამტკიცებს, თუ რა-ოდენი სიყვარულით და ყურადღებით იყო აღქურვილი იგი მუშებისა და მო-სამსახურებისადმი. ასეთი იშვიათი მზრუნ-ველობა განსაკუთრებით მაღლა იყენებს ჩვენს დაუვიწყარ მრეწველს დანარჩენებ-ზე.

(„თემი“).



ღ. ზ. სარაჯიშვილის საფლავთან

მშვილობით, იშვიათო მამულიშვილო და დაუვიწყარო ადამიანო! რომ ქარველი საზოგადოების ხსოვნაში შენი სახელი სამუდამოდ აღბეჭდილია და ის მადლი და ჟიკეთე, რომელიც ჩვენთვის გი-თესწია, არას დროს არ დაივიწყება,—ეს, ალბად, შენც გეცილინება, რადგან არც ისე უძალურად გვივლიდი, რომ საზოგა-დოების მზრით მაღლიერი ხსოვნის მო-ლოდინიც არ გქონდა. მაგრამ ეს კი შეიძლება არ გცოდნოდა, რომ ყველა შენ პირად ნაცნობთა გულშიაც აღმო-უფხვრელი და სიყვარულით მოსაგონე-ბელი ხარ და იქნები.

რათა? იქნებ იმიტომ, რომ უხვი იყავი და ლარიბისთვის დახმარება მოვალეობად მიგაჩნდა? ან იმიტომ, რომ პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდი და ჩვენთვის აღმზრ-დელ მაგალითს წარმოადგენდი? ან იმი-ტომ, რომ უსაზღვრო სტუმართ-მოყვარე იყავი და ქართული მასპინძლობა ოჯახის წესად გქონდა მიჩნეული?

ან, იქნებ, იმიტომ, რომ სამშობლოს

სამსახურს მოვალეობად სთვლიდი, მის აწინდელ სავალალო მდგომარეობას მწვა-ვედ განიცდიდი და უკეთესი მერმისის მოსაპოებლად სწავლა-განათლების შეძე-ნას გვიადვილებდი?

ნუ შემოგვწამებ ასეთ „ანგარებას“, ასეთ საფუძველსა და ნიადაგზე მადლო-ბისა და პატივისცემის გრძნობა აღმოკენ-დება და არა—სიყვარული!

ან, შეიძლება, შენი ნაცნობ-მეგობარ-ნი დღეს იმიტომ სტირინ და სულის ობლობას იმიტომ განიცდიან, რომ შენ მათი გული თბილის სიტყვებით და გა-რეგნულის სამტკბილობით მოინადირე მაგრამ... ძვირფასო ადამიანო, ეს ხომ ქარგად გვახსოვს, რომ, არა თუ პირფე-რობა, ხშირად, კამათის დროს, „დურა-კის“ სახელიკ ჩვენთვის გამარჯობასავით მოგირომევია.

კეშმარიტად შესანატრი ხარ, რომ შენ არ გეჭირებოდა პირფერობა ადამიანის გულის მოსანადირებლად. საერთო გულ-წრფელის სიყვარული მოიპოვე არა იმით,

რაც არ იყავ, არამედ იშით, რაც ნამ-
ჭვილად იყავ, მთელს შენს არსებას ახლ-
და განსაკუთრებული მადლი, რომელიც
შენს მწარე სიტყვასაც ტკბილად აქცევ-
და და შენს ნაცნობ მეგობარს უფრო და
უფრო გრახლოვებდა და სულიერად გრ-
კავშირებდა.

ეს მადლი იყო შენი სულიერი თვისე-
ბა, რომელიც ყოველ შენს მოღვაწეობას
და ნაცნობ-მეგობართან ურთიერთობას
აღმატებულ ლირსებას ანიჭებდა და თვით
შენ საყვარელ ადამიანად გხდიდა. შენი
ქველმოქმედება, თავის-თავად დიდი და
ჩვენს მდგომარეობაში დიდად დასაფასე-
ბელი, თვით შენ მცირედ და უზნიშვნე-
ლოდ მიგაჩნდა, გაცემას ყოველთვის ისეთ
ხასიათს აძლევდი, თითქოს იგი თავის
თავად მიმღებს ეკუთვნოდა და შენს პი-
როვნებასთან არავითარი კავშირი არ
ჰქონდა. თავდაბლობა, გულ-კეთილობა
და გულწრფელობა გამოსკვივოდა ყოველ
შენს მოქმედებაში და ყველა ეს ჩვენ
გვხიბლავდა და შენს თავს გვაყვარებდა.
ძაგებაც კი შენის მხრით ყოველთვის
სიყვარულითა და სიკეთის სურვილით
იყო გამოწვეული და შენს პესიჩიშა და
უიმედო გოდებას ქართველობის მდგომა-

რეობის შესახებ მხოლოდ ის გაიგებდა
საკვებით, ვინც სამშობლოსადმი სიყვა-
რულს შენსავით განიცდიდა და ჩვენს
ეკანომიურ ულონობას შენსავით გაითვა-
ლისწინებდა.

ეს პესიჩიში თან მიგყვება, —ნაღვლია-
ნი მიღიხარ ამა სოფლიდან. ამ ოთხი
კვირის წინად მითხარი კიდეც უცხოეთ-
ში: „ვკვდები. რა დამშვიდებით მოვკვ-
დებოდი, რომ სამშობლოს იმედი მიმყვე-
ბოდეს!“ მაგრამ, ჩვენო დაუკიტარო
მოამაგვა, ვულს მაინც ნუ გავიტეხთ.
თვით შენი ცხოვრებაც თავის თავად იმე-
დის მომცემი არის. იგი ამტკიცებს, რომ
ქართველ ერში უნარი და ვრაქტიკულ
შემოქმედების ნიჭი არ არის გამოლეუ-
ლი. ვინ იცის იქნებ მომავალში მოვიპო-
ვოთ ის ძალა, რომელზედაც შენ მუდაშ
გვითითებდი, და მით დაგიბრუნოთ იმე-
დი და სიხარული!

ამ იმედით გეთხოვებით. გვშორდები,
მაგრამ — ხორციელად: სულიერად მაინც
ჩვენთან იქნები. ამის თავდებია შენი
სურათი, ჩვენს გულში წარუშლელად
აღბეჭდილი. იმედი გქონდეს: სათუთად
შევინახავთ, გაუფრთხილდებით.

ფ. გოგიჩაიშვილი.

დ. ზ. სარაჯიშვილის ხსოვნას

ს მოკვდა! რა ერთი გული ამოიკვ-
ნესებს ამ სამწუხარო ამბის გაგონებით...
და რამდენად აუტანელია და სამწუხარო
შეურიგდე იმ აზრს, რომ ვერასოდეს
ამის შემდეგ ვერ დაინახავ მისს კეთილს
და ალერსიანს თვალებს!

ნახვარი წლის წინად უკანასკნელიად

შევხვდით მოსკოვში ბერლინში საბედის-
წეროდ გამგზავრების დროს. ძველებუ-
რადვე, პირადი მწუხარების დავიწყებით,
მხურვალედ ლაპარაკობდა ჩვენს ბერ-
კულს სამშობლოზე, მიმღინარე პოლი-
ტიკაზე და იმ მრისხანე მომავალზე, რაც
მოელისო ჩვენს თანამემამულებს. მისი

უკანასკნელი სიტყვები ნამდვილის გულ-წრფელობით, რწმენით და გულის გამსერავ მწუხარებით იყო წარმოთქმული. ამ სიტყვებში მთელის სიცხალით და გარკვეულად იშლებოდა მისი დიალი გული, რომელიც იტევდა ყველა საჭირობოტო საკითხებს, რაც რიგა-რიგობით აწუხებს თვითონეულს ჩვენგანს. ამ წუთში ერთმანეთან საუბრის დროს განსვენებული სრულიად გადასხვაფერდებოდა. ჩვეულებრივი მხიარულობის აღილს პესიმისტური შეხედულობა იქტრდა მისს გულში და თვალწინ ეხატებოდა უსიამოვნო სოციალური სურათი ხალხთა დამოკიდებულებისა.

მართლაც, არ ვიცნობ სხვას ისეთს ადამიანს, რომელიც ასე გულმტკივნეულად განიცლიდეს დღიურს ვარამს და მომავალ ბედს ყოველგვარი საზოგადო წარმოებისას. თითქმის საოცრად გეჩვენებოდათ ცხოვრებაზე გულგატებლობის შეერთება დაბეჭავებულის ხალხის და აოხრებული ქვეყნის სიყვარულის დაუშრეტელ წყაროსთან, რაც განსვენებულის სულში ღვიოდა. მოსაუბრეს მხოლოდ ური უნდა ეგდო და გულისხმიერებით მოესმინა მისი ცხარე გრძნობით წარმოთ-

ქმული მწარე აზრები, რაც იყო ნაყოფი მრავალი წლის ცხოვრების გამოცდილებისა და დასავლეთ ევროპის ეკანომიური ცხოვრების თეორიულად ფართო შესწავლისა. ბევრი საგულისხმიერო და სწორი შენიშვნები აღბეჭდილა ჩემს გულში ყოველთვის, როცა განსვენებულს შეხვდებოდი სალაპარაკოდ.

დღეს აღარა გვივს ეს ცხოვრებაში გამობრძმედილი პატიოსანი და კეთილშობილი მოღვაწე. მისი ოჯახის მწუხარებებს მთელი ქვეყანა შუა იყოთს, მისი სახელი, როგორც ქველმოქმედისა უკადაგია საზოგადოების ისტორიაში, კეთილი თესლი მის მიერ დანერგილი ერთობად აღმოცენდება. მაგრამ მისი მეგობრები, რომელნიც შეერთებულნი იყვნენ მასთან გულწრფელის სიყვარულით და გულითადის დამოკიდებულებით, ვერ იპოვიან ნუგეშს, მათს დაცარიელებულ და დაობლებულ გულის კუნჭულს ვერავინ აღავსებს. ცრემლის ნაკადულს დაღურიან ისინი სამარესთან და თავის გულში თან წამოილებენ პისს მუდამ ძვირფასს სახეს, რომელზედაც უფლება აქვთ საქვან შექსპირის სიტყვები: „იგი კაცი იყო“.

ალ. ხახანაშვილი.

დ. ზ. სარაჯიშვილის ხსოვნას

ჭიდევ ერთი დედა-ბაბი გამოეცადა ქართველთა საერთ კეთილდღეობის დასამეგიდრებელსა და განმამტკიცებელს სუნთქმას; კიდევ ერთი, თვალ-საჩინო და წარჩინებული დამიანი მთავრდა იმ მცირე გუნდს, რომელიც წრფელის გულით მთწადინებულია ქართველერის ჭეშმარიტს ბედიერებასა და წარმატებას; კიდევ ერთი იშვიათი მზრუნველი მასა

თბოლთა და დაბეჭავებულთა გამოეთხოვა აშ წევიერს სიღველს, მამა გულ-შემატგვარი მოზარდის თაბიისა, მ.მა, რომელიც საერთო და საერთ საკეთი დღიდებების უოველის მისის წევრისათვის ჭურუნავდა და თავისს უხევს ხელსა და კალთას, წმიდას გულ-შემატგვირთბის კრძნობით შემთხარსა და გაცისკროვნებულს, არ იშურებდა ქართველ ურმათა აღსა

ზრდელად, გასანათლებლად, ქვეუნის პეთილ შორეულნი, მაგრამ ქვეუნის ჭირისა და წუ-
შეშეკთა გასამრავლებლად. მისი სიტყვებია,—
„რას მიქვიან უშვილობა, განა უველა ბავშვი, შეიძლის თანამგრინობელ გონებასთან, საერთო
მომსახულის იმედად აღსაზრდელი, ქვეუნის საკეთილოდ განსაწერთნელი და განსასწავლი, მტკიცედ დაგავშირე-
ჩემი შეიძლები არ არიანთ!“ დაად, შეიძლი და ბულნი!...



ღ. ზ. სარაჯიშვილი მაულილი, არალგაზლობაში.

ასეთი იუთ აწ გარდატებალებული დავით ზა-
ქარიას ქე სარაჯიშვილი!..

ამ უკანასკნელ თცუდა-ათის წლის განმეო-
ლობაში არ აღძრულა არც ერთი საზოგადო,
საერთ დაწესებულება, რომლისათვისც განსკუ-
ნებულს თავისი შეელა და დახმარება არ გაე-

წიოს, რომლისაკენაც თავისი გეთილად მსედ-
ველნი თვალნი არ მიეცერას თანაგრინობითა
და ნუგეშით. ბევრი კეთილი აქვს დათესილი
განსკუნებულს ჩვენს სიღარიბით უბედურ ქვე-
უანაში, ბევრი ასაღვაზდა გამოუზარდა თავი-
სის საფასით ჩვენს დაბეჩავებულს საშობლოს.

ବ୍ରିଜ୍‌ଯୁଣୋନ୍‌କୁ ଏହା ନେଇରେ ଗେରିବା - ମହାତଙ୍ଗାବୀଃ
”ମିଳିଲି ନେବେଳି ନ୍ୟୁଡ୍‌ଜ୍ଵାଲ କୁଣିଲିମନଦାଳ; ମିଳିଲି
ପ୍ରକଳିଷିତାବ୍ୟବିଲି କ୍ଷେତ୍ରି ଅଭିନାଶକୁ ପ୍ରକଳିଷିତ ମିଳିଲି
ଧୂର୍ବଳମ୍ବନ, କଥିଲେନିଲାଟ ଶ୍ରେଣୀରେ ଓ ଦିନମାର୍ଗବାସ
ପ୍ରକଳିଷିତ ବ୍ୟବିଲି ନେବେଳିରେ ଲାଇ ଉନ୍ନତିରେ ଶ୍ରେଣୀରେ-
ତଥିଲିଲାଟ; ଗେରିବା ପ୍ରକଳିଷିତ କଥିଲେନିଲାଟ ଶ୍ରେଣୀରେ
ନେବେଳିରେ ଲାଇ କ୍ଷେତ୍ରି ପ୍ରକଳିଷିତ କଥିଲେନିଲାଟ, ତଥାଲିଲାଟକଥାବୀ-
କଥିଲେନିଲାଟ ପ୍ରକଳିଷିତ କଥିଲେନିଲାଟ ପ୍ରକଳିଷିତ କଥିଲେନିଲାଟ.“

ნურავინ იტუების, ფული ჭერნდა და აძლევ-
დათ. ფულისა და სიმღილრის ქონება აქ არა-
ვერს შეუშია. ფული იმისათვის საშუალება
იყო, სახსარი და არა საგანი, მიზანი. ფულ-
თან განსვენებულს გული ჭერნდა თვისთა
მოძმეთა ჭირისა და გარაშის შესასტუბულებულ
სცერტაკის აზრით აჩქოლებული და აძგერ-
ბული. შორს-შესდგველი, განვითარებული გო-
ნება ჭელნდა და ამიტომ სიმღილრე მისი
შესახური იყო და არა ბატონი; გარგად იცო-
და, რომ ფული მაღლიან ცული ბატონია და
მოსამსახურედ კი—შეტანი გარგი მოსამსახუ-
რე, და მოიმსახურა კიდეც მოძმეთა საკეთი-
ლოდ, თავის ქონებას, ფულს პეტილი გული
და შეენიერი სელი დაუეკნა წინამძღვრად
და მოურავად და ამით უკვდავების ქედია
დაიღგა უველა ქართველის გულში, რაღაც,
ბართაშვილისა არ იყოს,

თვით უკვდავება მშვენიერსა
სულში მდგომარებს,

ა, სწორედ ეს მშენიერი სული იქ მის ზეზი, რომ მისის სიკვდილის ამბავი მთელს საქართველოს და გაგასიაში სიძლილოვართ ზარად გაისმა და ეგელას გული მწესარებით ადავს და გასტევალა, გადაიკითხეთ ქვენის თითქმის უგეგლ კუთხიდან მოსული სიძლილოვართ დეპეშები, თვალი გადააღლეთ მის ჯერ დაუკრძალავ გუბოს წინაშე თვალ-აცრებილანებულს საფლს და დარწმუნდებით, რომ ქართველმა ერმა, ჩემნი, სამშობლოში დიდი შეგრძნებარი და ჭირისუფალი, დიდი ნათესავი და მოგეთე დაჭირება, და არ გაიგირდებათ,

რომ დიდი და მწირე ასე საერთოდ ჰყდოვთ
ვთბის და თვალ-ცრუელიანად დასტირის მისის
უსინაფრენი გვამს. დადა, ჩვენმა ბეზამა, და-
რიძმა, უკაცე ქვეყანაშ ჭიშმარიტი „კაცი“
დაჭარგა, „კაცი“ რომელის მნიშვნელობასაც
ასე ასასიათებს ცოტი გრ. ორბელიანი:

კაცი ის არის, ვის გულსაც ესმის
ციური სიტყვა: „მობა“, „ერთობა“,
და სიყვარულით აღვსილის გულით
დავრდომილთ მოყვასთ მოეხმარება.

საქართვისი იყო ერთხელ დაჭვაპარაკებოდით
განსვენებულს, ერთხელ ჩატევდათ მის „სუ-
ლის სარემი“, ერთხელ გრძასათ მისი ნა-
თელნი და კეთილდღ მშედველნი თვალნი, მოგემინათ მისი გაბედული, დაურიდებელი,
ჩვენის სიღუსჭიროს გამკიცხავი და სიკეთის
აღტაცებით აღმოჩეული სიტუები, რომ
გეთქვათ,—ამ გაცს გულის საუზნე საკეც.
აქეს საიდუმლო სპექტატო, ჰეშარიტად ქვეუ-
ნის ტიგიზილითა სტეფა გული და გაიღების
არა თავისის თავისი განსაღილებლად, არა თავ—
მოყვარეობისათვის, არამედ იშიტომ, რომ
მართლაც გულითა და სულითა არის მოწადია-
ნებული. საშობლოს ბედნიერებასა და ხალხის
სიკეთესა და კეთილდღეობასათ. მისი უფელ
დღიური ზოქრი და ზრუნვა საერთო, საქვეუ-
ნო საქმე იყო. ამ თოთხმეცს წელიწადში,
როდესაც ხშირად ვხედავდი განსვენებულს,
თითქმის არც ერთხელ არ დამდაპარაკებია-
სე, რომ ამა თუ იმ საზოგადო საქმეს, სა-
ზოგადო დაწესებულების ავტორიგანობას არ
შეჭრებოდა და თავისი შორს-შედეველი, გა-
მოცდილი, ნათელი, მართალი აზრი არ გა-
მოიტკია.

ଶାରମଣ ଉପରୁକ୍ତ ଏହି ଭାବରେ ଗୁଣଶାଖାକୁ ପରିଚାରିବା
ଏବଂ ଅନ୍ୟାନ୍ୟ ପରିଚାରିବା ପାଇଁ ଯଦୁକାରୀ କରିବାକୁ ପରିଚାରିବା
ଏବଂ ଅନ୍ୟାନ୍ୟ ପରିଚାରିବା ପାଇଁ ଯଦୁକାରୀ କରିବାକୁ ପରିଚାରିବା

განათლებულის ხალხით და ისე მოწესრიგებული, როგორიც გერმანიაშია?“ და ეს შაშინ, როდესაც უკურნებელს სენს უბრე ბრჭყალები გაექრა მისის მოსიეფარულე გულისათვის, როდესაც საშინების ტკიფილებისაგან ხშირი გვნება ისმედა მისთა ბაგეთაგან და კარგად იცოდა, რომ დიდის ხის სიცოცხლე აღარა ჭირნდა.

ამბობენ, აფალებული, მძიმე სენით შეტერობილი, მომაკვდავი ადამიანი დიდი ეგრისტი ხდებათ. თვალი ტადავლები გასავერებულ დავითის უკანასკნელს სიტყვებს—იმის ანდერის და დარწმუნდებით, რომ ამ მხრივაც ეს შესანიშნავი ადამიანი განირჩედა სხვათაგან, დირსებულის ანდერით დაგირიგინა მან თავისი გეოლიტი და ხაუთფიერი სიცოცხლე და გუბოს კარგის წინაშე შისი უკანასკნელი

სერვიდი საერთო საქაუნიო ჭირის გაზიარება იყო. ჭეშმარიტად იმაზედ არის გამოჭრილი გურაშიშიდის სიტუაცია:

მოკვდა და თვისის ანდერით
ან ისევ საქმობს მკვდარით..

საუკუნოდ იყოს სახელი და სახსენებელი შენი, დადებულო დაგით; და შენს დაობლებულს, ცრემლად ქცეულს თანამთაზე და შენთა გეთილთა საქმეთა მოზრარე შეუძლებეს, პატიგცემულს ეგატერინე ივანეს ასულს ნუბემად ის-და ჰქონდეს, რომ ამ ფამად მის შეწყარე გულთან ერთად შეწყარეთვე სიგრძის მთელის ერის გული და რომ დღეს შეწყარების ძირითას ნაშთის წინაშე მოწიწებითა და შადლობით მუხლს იღრებს მრავალიც სხვა, მისებრ შენის სიკვდილით დაობლებულია..

ა. ახაზაროვი.

აკაკის სიტყვა

წარმოთქმული სასახლის ქუჩაზე.

მთელ საქართველოში კიდითი-კიდემ-დე ზარის ხმად გაისმა თათიკოს სიკვდილი. სიტყვა „დათოკოს“ მე აქ განძრახ უხმარობ, რადგანაც მხოლოდ ამ სახელით იცნობდა ამ განსვენებულს მთელი შეგნებული ქართველობა და ეს სიტყვა „დათოკო“ კინობითი კი არ არის, გულითადი ამოქანილია, სადაც სიყვარული და თანაგრძნობა გამოიხატება. და რომ დაამყარა ასეთი კავშირი მათ შორის? რომე ხარისხოვანებიმ? არა!.. სიძიდიდ-რები?.. არც იმან!.. მდიდრები ყოფილან ჩვენში რომ ეცხოვროთ ოხრად და „ოხ-რად“ რჩენოდეთ „ქონება“.

განსვენებულია ქართველების სიყვარული, მოიპოვა სიყვარულითდევ, იმ სიყვირულით, სადაც ყველრების დროსაც

კი ჭირისუფლის სიყვარული იხატებოდა. მაშინ, როდესაც ღიღილები, რომელთაც ღიღილი მამულები, ჩენი წინაპრების სისხლითა და ოფლით გაეღლენთილები დარჩათ და იმ წმიდათა-წმინდას გულ-გრილად უგდებდენ ხელში უცხოელებს, ეს განსვენებული თავისის ოფლითა და შრომით და ინტელიგენტურის გამჭრიახობით შოპოებულ ქონებასაც ქართველობას უნაწილებდა: ეინ არ იცის, რომ ახალთაობას სწავლა-განაოლების მიღების საშუალებას აძლევდა სტიპენდიებით? ამას უნდა დავამატო ისიც, რომ განსვენებული საიდუმლო ქველმოქმდიც იყო, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა!.. ბუნების კანონს ეერავან შესცელის! ყველანი სიკვდილის შეილები ვართ... ესეკ

მოკვდა... მაგრამ ამგვარი სიკვლილი, რომელიც სამარადისო სახსოვარსა სტუკებს, არა მარტო ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობარის გულში, უცხოელებშიაც კი, მართლაც რომ სანატრელია!.. ძველთაგან სხვათა შორის ერთი ანდერ გვაქვს დაგდებული: „ჭირია შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვით კირსაო“ | საქართველოს ბევრი ჭირი აუტანია და შედარებით იმ დიდ ჭირებთან ეს პატარა უნდა იყოტა-ნოთ, მაგრამ ვუსურვოთ კი რომ დაუ-ვიწყარი იყოს განსვენებულის სახსოვარი

და ჩვენ ქართველობაში სხვებიც გამო-ჩენილიყონ მაგისი მიმბაძევი. საუკუნოდ იყოს სახსენებელი შენი ძმაო დათიკო! ჩვენ, რომ ვერ დაგივიწყოთ ეს გახაცვი-რალი არ არის... მაგრამ არ დაგივიწყებს შენ ჩვენი ჩამომავლობაც და ყოველ ეროვნულ საქმის დროს შენც, როგორც თანამოზიარე ოცნებით გვერდით ეყო-ლები წარმოდგენილი. მშვიდობით, დღეი-დან ველი გიხილავთ, მაგრამ გულის ფიცარზე კი მარად გვეყოლები დახატუ-ლი!..

აკაკი.

ღ. 8. სარაჟი ევილა

19 ₣ 11c.



„ ქართველის ქართველების შიერ მართმული კურტხედის გვირგვინები და ჩატა. განსეგენებულს დ. ზ. სარაჟი მეოდის დიდი ამაგი მიუძღვის კაფეაზის ქართველთა შეეღა კულტურულ დაწესებულებაში

ეპისკოპოს ლეონიდის სიტყვა,

თქმული სიონის ტაძარში ანდერძის წესის შესრულების წინ

ციკვდილი ცრემლისა და მწეხარების წყარო და მიზეზია; კუბო ჩვეულებრივად გულს უკლავს კაცს და შიშის ზარსა ჰგვრის მას. შავი ძაბა, უნუგეშო ოხვრა-ტირილი, მოღუნება სულითა და სასო-ჭარკეთილობის უფსკრულის პირამდე მიღწევა—ესენია ჩვეულებრივი თანამგზავ-რები კუბოსი და სიკვდილისა

მაგრამ რომელიმე მოვლენის სიხშირე და ჩვეულებრივობა ამ მოვლენის ხასია-თის უცვლელობისა და აუცილებლობის ბეჭედი როდია. არა, შესაძლოა, რომ ათას შემთხვევაში ჩვეულებრივი მოვლენა ზოგჯერ განსაკუთრებითი ხასიათის მოვ-ლენად გახდეს, შესაძლოა, რომ ჩვეულებ-რივა მოვლენამ ათასში ერთხელ სულ ახალი, გამონაკლისის თვისება მიიღოს. სიკვდილსაც და კუბოსაც, მიუხედავად მათი საერთოდ საზარელი ხასიათისა, ხან-დისხან სრულებით ეკარგებათ ხოლმე სამძიმო და კაცის გულის შემძრიწუნებე-ლი თვისებანი. ზოგჯერ სიკვდილი კი არ გვაჩანაგებს, კი არ გვაშორებს ერთი მეორეს და არ გვაუძლეურებს, არ გვა-ქუცმაცებს, ჯანსა და მოქმედების უნარს კი არ გვაცლის და არ გვასუსტებს, პირი-ქით უფრო მკვიდრად გვაერთებს, უფრო შძლავრად გვაკავშირებს ერთი მეორესთან, უფრო ცხოველათ გვაგრძნობინებს ხოლმე ერთმანეთს შორის ნათესაობას და სიახ-ლოვეს სისხლით, ხორცით და სულითა, ერთის ეროვნების შვილობის, ერთი მეო-რის ძმობას და მოყვასობას. ზოგიერთი პირების გარდაცვლის გამო ცოცხლებს

უორკეცდებათ ზნეობრივი ძალა და უძ-ლიერდებათ ხოლმე შრომისა, მხნეობისა და მოქმედების უნარი.

ხანდისხან კუბო თითქოს აცისკროვნებს ხოლმე ზოგიერთა მიცვალებულებს; თით-ქოს მხოლოდ კუბო არღვევს ხოლმე იმ შუა კედელს, რომელიც მიცვალებულის სიკოცხლის დროს ჰეთავავდა ჩვენგან მი-სი გონების სიღიადეს, სულის სიმაღლეს და ზნეობა მოქალაქობის მომხიბლავ სი-ლამაზეს. ზოგჯერ მიცვალებულები კუ-ბოდან უფრო მძლავრ, უძლეველ და და-დებულ მძლდვრად გამოიყურებიან ხოლ-მე, ვიღრე სიკოცხლეში გვეჩვენებოდნენ და ასეთ რჩეულ გვამთა დასაფლავებას ერი უფრო დღესასწაულობს ხოლმე, ვიღრე გლოვობს.

ასეთია სწორეთ დავით ზაქარიას ძის სიკვდილი და კუბო.

დავითს მხოლოდ სიკვდილმა ახადა ფარდა და ცხადად წარმოგვიდგინა მისი სულიერი გოლიათობა, მისი გულკეთი-ლობის ბუმბერაზობა, მისი კაცობის დია-დობა! რითია სამგლოვიარო ეს დიდებუ-ლი სანახობა, სადაც უმწეო ქვრივი და ბეჩენი ობოლი, წელში გახრილი მუშა და საცოდავი გლეხი, სახელოვანი სიკ-დაგარი და უბრალო მეწვრილმანე ნო-ქართან ერთად, მასწავლებე-ლი და დიდება მოხვეჭილი პროფესორი, მოხელე და მოქალაქე, რუსი, ქართველი, სომები, ოსე და მუსულმანთა ერები სუ-ლით და გულით შეერთებულნი, თავს ევლებიან ამ ბრწყინვალე კუბოს და არ

იციან, ვინ ვის აჯობოს მიცვალებული-
სადმი პატივცემის გამოთქმაში! კუბომ
ახადა დღეს დავითის საოცარი სულიერი
სიმდიდრის სკივრს თავი და ჩვენ ვერ
დავტკბარვართ ამ სიმდიდრის ცქერით!

როგორც მშვენიერი, ყველაფრით სრუ-
ლი და იდეალური ნაყოფი ხისა იზიდავს
ყველას გულს, ისე დავითის სულიერი
მშვენება ატავევებს კავასის ყველა ეროვ-
ნებათა წარმომადგენლების სულსა და
გულს, მაგრამ ნაყოფი ყველაზე უძირ-
ფასესია თითონ პატრიონისათვის და დავი-
თიც, როგორც იდეალური ნაყოფი ქარ-
თველი ერისა, შეუდარებლად ძვირფასი,
საყვარელი, სასურველი და სასიქადულოა
ჩვენთვის,— ქართველებრთვის,---როგორც
მისი მახლობლებისა, მისი ჩამომავლობის,
მისი სისხლის და ხორცის მქონებელთა,
მის სულიერ თვისებათა მემკვიდრეთა-
თვის.

კვესი რომ ტალს მოხვდება, ნაპტრწა-
ლი გავარდება. შეუძლებელია დღეიდან,
რომ დიდებული დავითის საფლავი არ
გადიქმნას საქართველოს გაგებული შვი-
ლებისათვის ფოლადით ნაწრობდ კვესად
და არ გამოიწვიოს ხოლმე მათშიაც და-

ვითისებური კაცომოყვარებისა, სიქველის,
საქმიანობისა და გონების განვითარები-
სადმი მიზიდულობის ცხოველი ნაპტრწა-
ლი.

დავითისთანა კაცები არასოდეს არ
კვდებიან! მაშ, უკუაგდე უსარგებლო ტი-
რილი, და გაიხარე დავითის უკვდავებით
ჯერ შენ, დავითის სასიქადულო მეუღლე
და ლირსეულო ქართველო მანდილოსა-
ნო, ეკატერინე და მერე თქვენ, დავითის
მახლობელო ნათესავნო; მეგობარნო, ნა-
ცნობნო და პატივისმცემელნო, გული-
თადი მადლობა შევწიროთ ყველამ, ძვირ-
ფასნო მსმენელნო, მეუფესა ლმერთსა,
რომ ჯერ კიდევ ჩვენი მწყალობელი ყო-
ფილა იგი, ჯერ კიდევ საამონი ვყოფილ-
ვართ მისთვის, რადგანაც გამოაჩინა ჩვენ-
ში ისეთი იშვიათი ბუნების კაცი, რო-
გორიც იყო დავითი. ახლა კი საღმრთო
მხიარულებით და მხურვალე ლოცვა-კურ-
თხევით გავისტუმროთ ძვირფასი დავითი
ზეციერი მამისკენ რომელიც სიხარულით
მიელის მას, რადგანაც ლვთისაგან მიღ-
ბული ხუთი ქანქარი კეთილად ამოქმედა
მან სიცოცხლეში და ათ ქანქარად აქცია.
ამინ!

კარლო ჩხეიძის სიტყვა,

წარმოთქმული ერევნის მოედანზე

„De mortuis aut bene, aut nihil“-ო
ამბობდენ რომაელები. ხოლო დავით ზა-
ქარიას ძის სარაჯიშვილის ცხელრის წი-
ნაშე შდუმარება შეუძლებელია, რადგან
მან ყველასათვის თვალსაჩინო კვალი და-
სტოვა ცხოვრებაში. კარგი რამის თქმა
კი ამ შემთხვევაში ადვილია, რადგან მი-

ცვალებულის წარსული იყო ნაყოფიერი
და საგულისხმიერო.

მიცვალებული ეკუთვნოდა იმ პიროვ-
ნებათა რიცხვს, რომელნიც თავიანთ
ნიჭის და ძალ-ლონეს არ მარხვენ ვითარ-
ცა მონარე, არამედ ახმარებენ
საქმეს, რომელიც მათ მიაჩინათ სასარგებ-

ლოთ, როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი ინტერესების მხრივ. უნდა ვსთვეთ, რომ ამ მხრივ მიცვალებული თვის თანამებამულეთა შორის თითოთ საჩვენებელი იყო. და თუ ეს თვისება ძვროფასია ყოველგან, მით უძვირფასებად უნდა ჩაითვალოს იგი ჩვენში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები თითქო განგებ ეწყობა ისეთნაირად, რომ უქმ ბარგათ იქცეს ნიკი და დაახშოს ყოველივე ინიციატივა.

ინიციატივასთან ერთად განსვენებულის თვისებას შეადგენდა ღრმა შეგნება თვისი მოვალეობისა საზოგადოების წინაშე სამსახური შეძლებისადაგვარად იმ საზოგადოებისა, სადაც სცხოვრებდა და მოქმედებდა დავით ზაქარიას ძე, შეადგენდა მის ორგანიულ მოთხოვნილებას და აი სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ წყარო მის საზოგადო საქისათვის გულ-შემატკიცრობა. მაშინ, როდესაც სხვანი ჩვენში უმეტეს შემთხვევაში ასეთ გულ-შემატკიცრობას იჩენენ თითქოს ნაძალადევთ, დავით ზაქარიას ძე აქ პოულობდა სრულს სიამოვნებას და კიაყოფილებას.

საზოგადოების სამსახურის გულწრფელმა სურვილმა განსვენებულს შეუთვისა ერთი აზრი, რომელსაც ჩვენს შორის იშვიათად შეხვდებით: ის დარწმუნებული იყო, რომ საზოგადოების ყოველგვარ პროგრესიულ ელემენტში მოიძებნება რაიმე დადებითი და საგულისმიერო მხარე; ამიტომაც იგი მუდმივის ყურადღებით აღეცნებდა თვალ-ყურს ასეთ ელემენტებს, განურჩევლათ მათი სხვადასხვაობისა და არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც მხარს უჭერდა მათ დადებით მოქმედება მოღვაწეობას. და აი სწორედ ამიტომ იყო, რომ განსვენებულს სრულიად არ ეტყობოდა ის გაბოროტება,

რომელსაც ასეთის ხალისით იჩენენ ერთობეობის წინააღმდეგ ჩვენებური მოღვაწეები საზოგადო ცხოვრების ასპარეზზე.

არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ აქ კიდევ ერთ გარემოებას. იმ წრის და პროფესიის ხალხი, რომელსაც ეკუთვნოდა განსვენებული, დღემდის დარწმუნებულნი არიან, რომ საუკეთესო რეგულიატორს შრომასა და კაპიტალს შორის არსებულ დამოკიდებულების არის მუშტი და ივითნებობა. განსვენებულს უკვე კარგი ხანა საკმაოდ შეგნებული ჰქონდა ის აზრი, რომ კულტურული ფორმები შრომასა და კაპიტალს შორის ბრძოლისა გაცილებით უფრო კარგი და სასრგებლო იარაღია, კინებმ მუშტი და თვითნებობა.

მე ვარ არა მარტო ქართველი, არამედ მთელი ქვეყნის შოქალაქეცო, თურმე იტყოდა ხოლმე განსვენებული. ვფიქრობ, რომ მას მეტი უფლება ჰქონდა ეს ეთქვა თავის თავზე, ვიღრე რომელიმე სხვა მისი წრის კაცს. და მართლაც, მიუხედავათ იმისა, რომ მას ასე შესტკივიდა თავის ქვეყნისა და ხალხისათვის გული და ასე რიგად უყვარდა ეს ხალხი, განსვენებული მოკლებული იყო შეუკავებელ შოვინიზმს. რომელიც დღეს ბევრს მიაჩნია უდიდეს მოქალაქობრივ სამკაულად და ყოველგვარი სიბრძნის სათავედ. დღეს ქვეყანას მოედო თრი ჯურის შოგინისტები. ერთი ჯურის შოვინისტები არამარტული არავინ თავიანთ კაციკამია იბას, არამედ ხმამაღლა ღალადებენ მასზე და იმაყობენ კიდევ იმისა. მაგრამ მიუხედავათ მათი გარეგანი საშინელი სახისა, ასეთი შოვინისტები საშიშარნი არ არიან და მათთან ანგარიშის გასწორება აღვილათ შეგვიძლია. ხოლო არიან შოვინისტები მეორე დარგის, გაცილებით უფრო მავნებელნი. სიტყვით ეს ვაუბა-



№ 8. სარაჯიშვილი კუბოში.

ტონები არიან ნამდვილნი. ოქროპირნი, ნამდვილი მოციქულნი ეროვნული სოლიდარობას, ძმობის, თანაბრობის და ურთიერთ პატივისცემისა. მაგრამ საკმაოა ოდნავ დაუკვირდეთ მათ საქმეს და ცოტა გადაუფხიკოთ კანი და იმ წამსვე თვალსაჩინოთ იხილავთ მათს შოვინისტურს სულს და შინაარსს, მიუხედავთ მათი მცერმეტყველების და ლირიზმისა.

და მე აი სწორედ აქ, დავით სარაჯიშვილის ცხედრის წინაშე, მინდა აღვნიშნო. განსაკუთრებულის ყურადღებით და მოგიწოდოთ თქვენ: უფროთხილდით აი ამ ჯურის ხალხს, ამ ტიპის შოვინისტებს და ორივ თვალი ფხიზლათ გეჭიროსთ მათკენ, რადგან ისინი არიან უსაშინელესი მტერნი ნამდვილი ეროვნული სოლიდარობის და თანაბრობისა, რადგან იგინი ლამაზ და

ჭარმტაც ფრაჩაში მალვენ ძლიერ ულამაზო მიზნებს და შოვინისტურ მისწრაფებებს. განსვენებული იყო მომხრე არა სიტყვიერი, არამედ ფაქტიური ეროვნული თანაბრობისა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ საუკეთესო სამსახურს გაუწევს განსვენებულის ხსოვნას ის, ვინც იქნება მუდმივი გამომჟღავნებელი ასეთგვარ ეროვნულ თანაბრობის მოციქულთა სიყალბისა და ორჭოფობისა.

მე აქ არას ვიტყვი იმ ძირითად განსხვავებაზე პირიციალურ კითხვებში, რომელიც არსებობდა ჩვენსა და განსვენებულს შორის; ამისთვის არც დროა აქ და არც ადგილი და ვიტყვი მხოლოდ: საუკუნო იყოს ხსენება შენი, კაცო, რომელსაც პირალმა კეთილდღეობამ არ დაგავიწყა მხარე და ხალხი, რომლის ძუძუმაც გასაზრდოვა და გამოგზარდა.

* * *

(პ. ტივის მუსიკის ხსოვნას)

გარს შემოევლო მთას ნისლი,
ზედ ჩრდილი გადაეფარა,
მზის სხივი ჩაჰქრა, მიღამოს
წყვდიადი შემოეპარა!

მაღალ კლდეს მოსკდა ნაკადი
და ჩიირბინა ბარადა;
ხალისი გლოვად შესცვალა,
მოლივლივებდა წყნარადა!

— ნაკადო! — რად არ გვასწავე
ჰანგები შენი მღერისა?
— შეილის საფლავზე მტირალის
ცრემლი ვარ, ცრემლი ერისა!

სთქვა და ნიავთან ხევ-ხუვში
ჩაკვდა და ჩიესამარა,
ვარდიც ჩაფერფლდა, ბულბული
დარჩა კვლავ ეკლის ამარა!

ლადო გეგმჷკორი.
ღვნისი. ფოთი.

სიტყვა,

თქმული 1911 წლის ივნისის 24 ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ქარ-ოულ განმანათლებელ საზოგადოებათა მიერ დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად გარდახდილის პნაშვილის წინ.

უკეთე ვინმე თვისთათვის... არა მრღვაწე იყოს,
სარწმუნოებად უარ-უყოფის და არს იგი ურწ-
მუნოხა უძვირეს. (1 ტიმ. 5, 8).

ი მცნება, რომელსაც მსახურებდა თავის სიცოცხლეში დ. ზ. სარაჯიშვილი, ვის გა-
მოც შეკრებილან დღეს ამა წმინდა ტაძარში
ქართველის ერის განმანათლებელ საზოგადოე-
ბათა წარმომადგენელი! უველა თქვენგანმა
უწეს, რომ განსვენებულმა დავით სარაჯი-
შვილმა უერთდებოდის და დაუდალავის შრო-
მით მოკლე ხანში მოიპოვა იშვიათი ქართ-
ველთა შროის სიმძიდრე. ასე მალე შეძნი-
ლი სიმძიდრე კი თითქმის უფლებათვის წარ-
მოშობს არს ცუდს ჩვეულებას: მოძმეთა
შროის ამჟარტავნება-მედიდურობას და ბერძოდ
შირადის ბედნიერებისათვის ზრუნვას. დავით
სარაჯიშვილმა კი თავი წართვა თრსავ ნაკ-
ლულევანებას და მით უკეთა-ჭუთ თავისი სასე-
ლი. ქონებრივად და გონებრივად მაღალის
საზოგადოების წევრებთან გასწროებულს და
მათთან დღე მუდამ საქმის დამკერს, არასო-
დეს არ შეუწევეტია გამშირი დაბალ ხალხთან.
ეპილასათვის ხელ-მისაწვდომი, თავ-დაბალი
და მოსიუვარულე, იგი ხალხის ჭირით იტან-
ჭებოდა და მისის დასინით იხარებდა. არა
სხვა მდიდარზე ნაკლებ ზზრუნველი შირადის
ბედნიერებისათვის, იგი არ ივიწევდა უმრწე-
მესთა ძმათა წაღმართ გზაზედ დაუკენებას.
მუდამ მოგრძნებელი თავისი წარსულის, იგი
სიტყვით და საქმით გვიჩვენებდა, რომ საფუძ-
ველი ერის ბედნიერებისა არის შრომა და
ცოდნა. და სწორედ ამ შრომის სიუკარულის

და ცოდნის გაგრცელებისათვის მშობელს ხალხ-
ში, იგი არ იშერებდა არც საკუთარ ძალდა-
ნეს, არც შრომით შეძნილს ქონებას.

მრავალთ დღეს აქა მდგრადირებანს და
კიდევ უფრო უმრავლესთ სხვაგან მუთხოთ მი-
სის შემწეობით შეძნიათ განათლება და გაუ-
გებელებით გზა ცხოვრებისა.

მაგრამ განსკენებულს დავით სარაჯიშვილის
ეს არ აქმაუთვიდებდა: უნდოდა მისის შემ-
წეობით, თუ საკუთარის მეცადისებითი განათ-
ლების მიმღებთ, განათლება გაეკრცელებინათ
მშობელს ერში, რომლის უდიდესი ნაწილი
კურ კადევ აჩრდილთა სიკუდილისათა
და მკვიდრებულ და ბნელსა შინა მავალ
არს (ისა 9, 2). და რომ შეემსუბუქებინა
მოქმედთათვის მოდგაწეობა, მუდამ დია ჭირ-
და თავისი გულისა და სახლის კარები მათივის
და ამხნებებდა მუშაკი მხერვალე სიტყვით
და უხვის დახმარებით: განსაკუთრებულს მის
უკრადლებას კი იქცევდნენ ის ქართველთა შრო-
მის მოქმედი განმანათლებული დაწესებულე-
ბანი, რომელთაც მიზნად დაუსახავო ძეგლის
საქართველოს დიდებულის სულის კვეთების
ნაყოფთა მესწავლა, შეგროვება, გავრცელება,
თუ აღდგენა, რისი მოწამე უნდა იქმნეს მო-
მავალი წევნის საერთო მუზეუმი, აღსაგებელი
განსაკუნძულის მიერ შემოწირულის-თანხმიდ
და არს და იქნება მცხეთის სკოტი-ცხოველის
და სამთავროს ტაძრები და ამა ქვაშეთის დია

დებული ბეჭნი. ჭეშმარიად, რომ კველა ეს
დაწესებულებანი მას მისწნდა თვისად და,
თანახმად წმიდის მოციქულის მცნებისა, მო-
ლვაწე იყო მათგანის. და შემდეგი ამ
ღვაწებისა: კველა ამ განმანათლებელ საზო-
გადოებათა წარმომადგენელთ მოუყრით აქ
თავი და ცხარის ცრემლით იგლოვენ და სტი-
ლის სასიქადულო წევრისა და უპირო მამუ-
ლის შეიღის დაქარგვის...

საეფარეფნო! მართალია, ჩვენი დანაგლისი

ფრიად დადი და საგრძნობელია, მაგრამ ჭრისა-
ტიათ არ შეშენის მიცვალებულთათვის უნუ-
გეშო ტირილი და გოდება, არამედ მადლობა
და ლოცვა დაფისა. ჩვენც შევწიროთ მად-
ლობა ზეციენს მამასა დაუთ სარაჯიშვილ
აის ქვეწა მოვლენისათვის და შეგევედრნეთ,
რომ მსგავსი მისი კვალად მოჭნილებოდეს
ქვეენასა ჩვენსა არა ერთა და თრი. ამინ.

დეკ. კ. ცონცაძე.

გოლეპა

ოჭ სულ ტექილათ მთას თხემზე მდგარი
გავეურებ ღრუბლით მთსალ ცის ტატანს,
გერ გეღარისები ვეღარასთდეს
რიერაჟს ჩემს გულის შევისა წამტანს!

აწ უფევლივე ამათ არის
გერ მაფრთავენებენ შებრძოლია სმები,
ბედს ვითარც მთნა ფეხ-ქვეშ უბრივა
მის რისხვისაგან დანაშეხები.

დავეარგე ძალა... ბრძოლის უნარი,
გულში მღრღნელ მღლილია დაისადგურა,
სისხლის ქმაზში მირთნეცრებული
იმედი ექვემა გაანადგურა.

დარა მტრვებს მე ბედით გრულსა
შევათ მღელვარი ბედითი ფიქრი,
ბარს მახვევია უტეხი ბინდი
და არ უოზისა ქვეცნეთით მივერი.

ჭე, შეგრძნებო, ჩემს გარს შემოკრით
ნუ შეუდრებელი დღეს შავათ ნადებს,
გამოსიწოდეთ საშეველად ხელი,
კაშანისკან შორს შანდებს.

ვაი, ვაჭმე არ მესწნება
წუთითაც არს შევის კარ,
გონება ფიქრს შეუმსტევალავს
და გული ჰელოეს ცრემლათ მდნარი

შეგობარი გაჭ, ისიც გა
შერიდება გრძნობა ღელვილს,
მხთლოთ გველი მთმისისინებს
და მიჩვენებს შეამიან კითლის.

ჭრა მაცდელო, ბორტებით აღტეინებულო,
სულის დემთნო, ჩემს სასჯელათ მოვლინებულო,
რათ, რათ დახარჯე ჩემზე ესდენ ცდომილებინი,
სისხლის ცრემლებით რათ მიმსხვრი სულის
ებანი.

აწი რადა ვარ სულით შეაგი, ნებით უქლურო;
ვითარ და შეგძლებ ტრიტალებას, ქვეუნის სა-
უვარულს,
აწ საშედამოთ გულ-ხელ კრებით უნდა უმზირო
იმედის წალკოტის შემუსრულსა, უდროთ გამარ-
ცულს!

იერემია, მასწავლე
სულთქმას გოდება, ქვითინი,
რომ ცრემლით დავწევა ბედისგან,
მოძღვნილი ეკლის გვირგვინი.

მასწავლე სხვებსაც ვასწავლი
წამალსა უნებულ გულისას,
შეგობარი ცბიერებისგან
უდროვთ დათრთვილულისას.
დ. თურდოსპირელი.

ნ კ ვ ა ღ უ ლ ი

(ବ୍ୟକ୍ତିଗାର୍ତ୍ତ ଅମ୍ବାଜିତ ବ୍ରଜ ଶିଖିନ୍ଦ୍ରପାତ୍ର)

四

მშვიდობით, ოჯახის კეთილდღეობავ,
მშვიდობით ოჯახის მყუდროებავ, გაპქ-
რა, ყოველივე სამუდამოდ!.. დადგა დრო
გატირვებისა, დრო ტანჯვისა... ვაებისა...
თუმცა დედამ წინანდულებ განაგრძო სა-
კერავები, მაგრამ ამაოდ!.. იმრესი თავდა-
დებული და დაულალავი ენერგია სრუ-
ლიად წაერთვა, დაუძლურდა... ყველა
ფერს ძალდატანებით აკეთებდა. მალე
შემკვეთლებმაც აჲკვეთეს და აღარ აძ-
ლევდენ შას საკერავებს, რადგანაც პი-
რიანად ვეღარ ასრულებდა საქმეს; კეთილ
სინდისიერ მუშაობაზედ მიჩვეული ვეღარ
ასრულებდა საქმეს; კეთილ სინდისიერ
მუშაობაზე მიჩვეული რა ვეღარ იტანდა
მუშტრის; საყველურებს საქმის რიგიანათ
აუსრულებლობისათვის, მაშინვე გული
მოსდიოდა და მკახნე-მკახნე სიტყვებითაც
მიუგებდა, ისე ნერვები აეშალა საბრა-
ლოს.

საკერავი თან და თან შეუმცირდა დედა
ჩემს; ბოლოს ერთიანათაც მოესპო..
მოესპო ერთათ ერთი წყარო ცხოვრები-
სა; ჩვენც იძულებული ვიყავით სკოლი ·
სათვის გავვენებებია თავი, რაღაც დღიუ-
რი სარჩოც არა გვქონდა; მაშ საიდგან
შეიძლებოდა ჩვენი სწავლის ხარჯების
გალება?..

დადგა ცივი ზამთარი. არა გვქონდა
სახლში: არც ფეხილი და არც შეშა.
მთელდღებს, კვირებსც კი, თბილს საჭ-
მელებს სრულებით მოკლებული ვიყა-
ვით. ძალა უნდოურად უნდა აგვირჩია ის

გზა, რაც დედახემს საშინლადა სხულ-
და...—აგველო ვალები... ჰმ... ადვილათ
იტყვის ენა... უნდა მიაღვე ვილასაც კა-
რებს და უცალო, თუ როდეს გალირსე-
ბენ კარის გაღებას. საშინელი წამებია!..
საუკუნეთ გეჩვენება... აგერ იღება კა-
რიც. შენ კი სული გიღელავს... გული
გიძერს.. სახე გიწითლაფება... ენა გე-
მის... როგორც არის ახერხებ და შენს
გაჭირვებას ეუბნევი— ეჩურჩულები. დედის
თხოვნას... მაინც გულ გადალეული და
დაწყენილი შეცყურებ თუ რას გიპასუ-
ხებს... აგერ უცბათ პასუხი გესმის:—
უთხარით, დედა თქვენს, რომ ჩვენთვინაც
არა გვაძესო!.. ასეთ ცივს უარზედ სირ-
ცხვილით იწვი, სად დაიმალები, რომ
თავ-ჩაკიდული არ დაბრუნდები სახლისა-
კენ სრულიად შერცხვენილი!.. ისე გვო-
ნია, გამცლელ გამომცლელნი ყველანი
შენს გაწმილებაზე (უარის თქმაზე) მოუბ-
ნობენ და გრუხვენიან! მოდიხარ გულ-
ტეხილი სახლში; იქ ბავშვები გიცქერიან
შენ აღელვებულ სახეზე, შენ მდგომარე-
ობაში შემოდიან, მიუხედავათ იმისა რომ
ში.თ და ეს მომენტიც ერთნაირს სასო-
ჭარ, კეთილებაში აგდება!..

არას დროს არ დამავიწყდება მე ის
წამები, როდესაც ერთხელ სახლში საკ-
მელი სრულიათ გამოგველია: არც ფქვი-
ლი, არც ყველი და არც ხმელი პურის-
ნატები. ვიკადრე და სხვის კარს მივადევ
დასარეკათ; ერთთან, მეორესთან... მაგ-
რამ ყველასაგან უარი მივიღე. გამოვ-
ბრუნდი ფერმიხდილი და წამოვდელ სახ-

ლისაკენ. სახლის წინ იდგა დედა გულ-ხელ დაკრეფილი და მიცდიდა.

— ვერა იშოვე რამეო, მკითხა და და-აურიულა ტანში!...

— ვერა... მიქავებულის ხმით ძლივას გავაგონე, ჯავრისაგან პირში ნერწყვი მიშრებოდა.

იმ ღამეს უველანი მშიერი დაწევით დასაძინებლად.

მე დიდხანს ვბრუნდებოდი ლოგინში მშიერი, ვშოოთავდი და არ მეძინებოდა. გულზედ ქვასავით რაღაც დამაწვა და სა-მინლად მტანჯავდა.

არც დედაჩემს ეძინა; ისიც ღრმათ ოხ-რავდა; სტიროდა ღამის მყუდროებაში... მე ათასნაირი ფიქრები ამეშალა თავში, რადგანაც უფროსი მმა ვაყავი, სინდისი მაიძულებდა და მამხელდა, რომ ოჯახის პატრონობა მე მეტვირთა დედაჩემის უდ-როვდ გატეხისა და დაუძლუჩების შემ-დევ. აკი ჩემი უმცროსი და-ძმანიც მე მთხოვენ შველას მშიერები; მაგრამ რითი შემეძლო მე მათვინ შველა!.. მათხოვრათ ვერ წავიდოდი და თავს ვერ დავიმოჯა-მაგირებდი?.. ღმერთო, ნუ მიწყენ და, მოჯამაგირობას მე ბევრჯერ მირჩევოდა ტყეში შეშის ჭრა და პობა... და ესევე გადავწყვიტე ჩემ ხელობად.

დედა ჩემს კი გასაგონათაც ეზარებო-და ტყეში შეშის ჭრა და პობა.

— არას დროს, შეილო? — ვინ იცის რა შეგემთხვევა ტყეში და გზაში — მე ბევრად მირჩევნის სიმშილით ამომხდეს სული, ვიღრე იმ განსაცდელში გაგზავ-ნაო! დაუინებით იტყოდა ხოლმე დედა.

როდესაც უკიდურესს მდგომარეობაში ჩავარდა დედა და ოჯახი, მაშინ კი ინე-ბა შეშის ჭრაზე თანხმობა გამოეცხადე-ბია.

მეორე დღლას, გათენებამდის ფეხზე

ვიდეგი და ტყეში, შეშის საჭრელად ვემ-ზადებოდი. შევჯებ ცხენზე, რომელიც მეზობელს გამოვართვი ქირით, რაშიაც მოგების ნაწილი შევპირდი, გამოვემზვი-დობე დედას და გავსწიო. დედაჩემი თვა-ლით მაცილებდა, რომელიც გარეთ გა-მოსული ფუსფუსით ლოცულობდა და ჩემ მომავალზე ვინ იცის რას არ ფიქ-რობდა. აბა და, გამიმეტებდა მე იგი ტყეში სამუშაოდ!..

ქალაქს გარედ მალე გავედი, დავი-მინდვრე. იქიდგან, ერთ ვიწრო ბილიკს შევუდეგ და გავსწიო ტყისკენ, ნისლი იდგა. შორეული მთები ძლივას მოჩანდ-ნენ ნისლის ბურუსში. მე თანდათან გუ-ლი მეშლებოდა. ჩემ თავს ვაშკაცალ ვრაცხლი და ეს გრძნობა ღიღ ნეტარებას მგვრიდა. ჩემი მისწრაფება და გრძნობა ერთად ერთ საჭიროებისკენ მქონდა მიმართული, რომ ტყეში მემუშავნა და მითი მომელო ბოლო ჩვენი გაჭირვებისა-თვის და ტანჯვა-ვაებისათვის და ეს ხსნა დიდად მამხნევებდა, მაძლევდა ენერგიას და სიმტკიცეს.

ხშირად ოკნებაც მაიძულებდა წარმო-მედგინა; აგერ ვითომ ჩვენ თჯახს თვალსა-ჩინოდ ვშველი, და-ძმათ სასწავლებელში ვასწავლიდი და სხ. და სხვა, ღმერთო ჩემო, კიდევ რა გეგმებს არ ვაღენებდი?.. რასაკვირველია, ჩემი ხელ ამაგით, ჩემი ოფლით, რასაც შეშის ჭრა და პობა შეაღგენდა ტყეში და იქიდან ცხენით გაღმოზიდვა ქალაქში გასაყიდადა.

IV

მე შრომით ცხოვრება ასე დავიწყე. ჩემ სამუშაოს, ვერც სუსსიანი ცივი ზამ-თარი და ვერც ზაფხულის სიცხე-ები, ვერ ჯუარავლენენ ხელსა, გარდა

ამ მდინარე ნაკადულისა, რომელსაც ყოველ აქ მოსვლაზე, ჩემთვის მას ენით გამოუთქმელი საშინელებანი მოუყენებია. შეტადრე წვიმებში, როდესაც გადალებამდის გვიცდია ამის ნაპირებზე დამბალ დასველებულებს; შეგვიყურებია, როდის დაჯდებოდა და დამშვიდებოდა ზღვასავით ადიდებული და აშუოთებული ნაკადული, რომლის ალელ-ვებულს ზეირთებს უნდრევია და უნგრევია. მთელი არე მარე, რითაც ჩვენი გული შიშისაგან უწყალებია. საშინელი წამები გვინახავს! იმ დროს ტყეში წასვლაც ხშირად უკუ გვიგდია, რადგანაც საშიშრად გვიცნია აზლვაცებულ წყალში ფონის განება. ზოგჯერაც მომხდარა, რომ დიდების არ დავარდნილა წყალი, მაშინ განსაცდელს მორევშიაც არ დავრიდებივართ და გაგვიფონავს შიგ გაჭირვებით, რადგან სხვა გზით (თუ ასე ამ გზით) შეუძლებელი ყოფილა ჩვენი გაჭირებული ცხოვრებისათვის სახსარის აღმოჩენა. დიალ, შეუძლებელი იყო აქედან ჩვენი განშორება, საიდგანაც ცხოვრების წყაროს ვპოებდით დაუძლეულებული დედისა და პატარა და-ძმათათვის. ხშირად უმცროსი ძმაც გამყვებოდა ტყეში, რომელსაც უხაროდა თავისი შრომითაც ესარგებლებინა რამე ოჯახისათვის. როდესაც უკანასკნელ ხანს გავუდექით ტყისაკენ მე და ჩემი უმცროსი ძმა, საამო გაზაფხული იყო. მაგრამ დილის წყნარი ჰაერი მალე შეიცალა; ლურჯიცა მზაკვრმა შავმა ლრუბლებმა სწრაფად დაფარა. ამოვარდა ძლიერი ქარი. ჩვენ მალე გამოვათავეთ სამუშაო და გამოვეშურეთ სახლისაკენ.

გზაში მალე დაგვასხა წვიმამ. მსხვილი წვიმა თან და თან ძლიერდებოდა და ბოლოს სეტყვათ და ლვართქაფათ გადაიქცა.

ადგა საშინელი ლვარები. მთიდგან ლვარნაშების საშინელი ხმა მოისმა, ჩვენ უზომოთ დასველებული უხმოთ მოვდიოდით...

სრულიად ფერმიხდილი და გაცრეცილი, საბრალო ჩემი ძმა, ცხენს უპნიდან მოაჩანჩალებდა — ფიქრად გადაქცეული. მას ბევრი რამ გაეგონა ამ ნაკადულის ძალმომრეობაზედ, თუ რა და რა საზარელი ვნებანი მიუყენებია ხალხისათვის ადიდების დროს, მეტადრე იმის გაშმაგებულს და ძრიელს ზეირთებსა... ბევრი სხვაც უარესებიც გაეგონა, მაგრამ თავისი ოკალით კიარ ენახა...

ახლა კი თავად თვითონ შეიქმნა პირველი დამსტრე ასეთი შემთხვევისა. ჩვენ ნაკადულთან მივედით უკვე პეტა გამოლეული ბრაზიანივით ლრიალებდა ბნელსა და ლაფხთ. მოცულს ზეირთებში, რომელსაც კლდე ლრე თან მოჰქონდა და თავის როხის ქვეშ ათავსებდა მთელ არე მარეს.

ცხენს საპალნე ჩამოვხადეთ და გადალებას შეუცადეთ. სალამოს ხანს ძლივას დავარდა წყალი.

გადავიწერეთ პირჯვარი და შევტოპეთ ჩვენც. აღიდებული ნაკადული რაოდენიმე ტოტად დაყოფილიყო. ორი ტოტი უკვე გავიარეთ. დაგვრჩა წინ უდიდესი. მე ჩემ ძმას ვაფახილებდი, ვამხნევებდი და ვურჩევდი წყლის მდინარეობისათვის არ ეცემორნა. წინ ცხენი და უკანიდან ჩვენ მივდევთ. წყალი წელამდი გვწვდებოდა. რაოდენი ფეხის გადაღგმაც ვერ მოვასწარი, წყალმა დამმალა და წავიქცეცი, მაგრამ საჩქაროთ წამოვდექი კი. იმ დროს საწყალმა ჩემმა ძმამ ერთი გულგამგირავად დაიყვირა და ჩავარდა... მე სისწრაფით ხელი წავავლე, მაგრამ

წუალმა მალე წარმიტაცა და გამაშორა
მას. მერმე რა მოხდა აღარ მახსოვეს.

როდესაც გონს მოვედი, ნაპირი ხალ-
ხით ავსილიყო. ჩემს ახლოს გაეწვინათ
თავ-გატეხილი და გაშეშებული ჩემი ძმა,
რომლის გაციებულს გვაძას მისი დამპალი
ტანისამოსის კონკები ძლივას ჰფარებიდნ,

ცოტა მოშორებით ჩვენ ცხენს დაელო
თავი და დაღონებული იდგა, დიდხანს
გაშტერებული ვიდექი და ვერ გამოვრ-
კვეულიყავი უბედურ შემთხვევის სინამ-
დვილეში.

უცბად თვალი მოვკარი, მორბას თმა

გაფაფრული და თავპირ ჩამოსისხლული
ქალი საზარელი წივილ-კივილითა, რო-
მელიც გაციებულს გვაძას გულზე დავარ-
და. ეს იყო დედახემი... აქ შესწყვიტა
ამბავი ჩემმა მეგობარმა, რომელმაც საცო-
დავად დახარა ძირს თავი და ორი ნაცთ-
ავრი ცრემლი გადმოაგდო.

გამოთავთხელებულმა ნაკადულმა მხია-
რულად გაიციმციმა და თავისებურად
ჩაირახ-ჩაირაკრაკა.

მესხი კ. გვარამაძე.

თარგმანი „გავების“ № 147-დან 1906 წ.

არწივის დარდი

 ასდევნებიყო მდევრადა
წეროთა გადმომავალთა
მარტოდ-მარტოკა არწივი
გამწკრივებულთა, მრავალთა.

სწყენოდა მათი ნავარდი,
გზას უკეტავდა სავალთა,
საით სად მოთრეულები
ზეიმითა და ზარითა

სთელავდენ მის სამფლობელოს,
მთებს, მოყოლებით ბარითა
და არც-კი ჰკითხეს პატრონსა
სიტყვითა შესაწყნარითა.

„უყურე ჯილაგ გასაწყვეტი!“
შფოთავს ბურვილი აღითა:
„მე არათერსა მკითხავენ
არიან თავის ძალითა.

მე ვითომ აღარ უყოფილვარ
და ჩემის მიწა-წყალითა
ჰსურთ იქეიფონ და მე კი
მაცერინებდენ თვალითა.

მოკვდი, არწივო, მაშინა
გათავდი თავის ბრჯლალითა!“
ამას ამბობდა თან მკერდი
მისდ შოსდიოდა განზედა.

ამონადული გულისა
სეტყვად სცვიოდა თავზედა
არწივის რჩოლა და ქროლვა
შეხად ტყვრებოდა ცაზედა.

შურისძიების შედეგსა
ვხედავდი ქვეყანაზედა.
დაბლა მიწაზე ვხვდებოდი
თავ-პირ დაჩეხილ წეროთა.

ზოგი გზა, გზის პირ ეყარა.
ზოგი გართხმულა მდელოთა,
თავად ცაშია თამაშობს,
მიმოუქროდა სფეროთა.

კოტრიალობდა ცის მკერდზე,
ყაშყაშებს, დიალ, მლეროდა...
საამო თუა მტრის ცემით
რო გული მოვიჯეროთა?!

ვაჟაფშაველა.

პირველი ენკენისთვე

დღიურის ებურიდან

ლილის ნიავმა ჩაყვითლებულ ველს დაუბერა
ნისლი დაშალა მთის კალთაზე წართო ბინა,
შემდეგ წყნარის ფრთით წყლის ნაპირზე რაღაც ჩასწერა
და მინდვრის მკერდზე, ყვავილებში მსწრაფლ მიიძინა.

სკოლის აიგნას დაყრდომილნი შორს გადავსცერი
იდუმალ ფიქრში და ნალველში მოქანცულ სოფელს,
იქ ბნელი მეფობს... იქ წყვდიაღი, სინათლის მტერი
თან დაატარებს რაღაც შავს და მგესლავ სამოსელს.

ხალხო ბედკრულნო! მე მიჭირავს ხელში სანთელი
მე იმის პოენას განუსჯელად სიცოცხლე მივე
არ შეუკრთება საშინელ ხვედრის მასწავლებელი
დე თან სდევდეს უგნურთ მტრობა, შიმშილ-სიცივე.

მე ვიტყვი სიტყვას და გაგითბობთ გაყინულ გულს,
მოგაჯადოებსთ ჩემი ზრუნვა თბილი და წრფელი,
დე თან მდევდეს მუაცრი ხვედრი სულ-დაღონებულს,
არ შეუკრთება საშინელ ხვედრის მასწავლებელი!

— მასწავლებელო! მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?
— ჩამოჰკარ ჩქარა! უფრო ჩქარა... კიდევ დაჰკარი!
— მასწავლებელო, ეს რას ნიშნავს, ხომ არვის ელი?
— ჩამოჰკარ! სწავლად თვისკენ იწვევს მასწავლებელი.

ვხედავ აქ, ჩემკენ მოაბიჯებს პიტარა ბავშვი,
წრფელი ლიმილი დასთამაშებს მხიარულ ბაგეს
რა იღტაცებით მოციგლიგებს იგი სკოლაში..
თქვენ ნუ დასცინით მომავალ გმირს და მოქალაქეს.

— მასწავლებელო, მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?
— ჩამოჰკარ ჩქარა.. უფრო ჩქარა... კიდევ დაჰკარი!
რა სევდიანად იცქირება მოხუცებული
ავადმყოფობით, სიუძლურით ლონე-მიხდილი.

მშვიდ თავ-შესაფარს ითხოვს მისი გული ვნებული,
აქ კი დარაჯად მისდგომია შავი სიკვდილი.
სავსე ოჯახი უპატრონოდ მიტოვებული
წინ ეხატება და არ იცის რა მოგვაროს.

ჩემსკენ მოხუცო! დაიშვიდე მღელვარე გული
მე შევარიგებ ისევ შენთან მტრად ხდილ სამყაროს.

— მასწავლებელო, მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?

— ჩამოჰკარ ჩქარა... უფრო ჩქარა... კიდევ დაჰკარი!

ვხედავ აქ, ჩემკენ მოაბიჯებს გლეხი მაშვრალი
რომ მესაუბროს და იმედი თან წაიყოლოს

მაზე, რომ შავი მისი შრომა, შრომა მართალი

არ დაინთქმება უნუგეშოდ ბოლოს და ბოლოს.

— მასწავლებელო მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?

— ჩამოჰკარ ჩქარა... უფრო ჩქარა, კიდევ დაჰკარი!

ნუ თუ არა სჩანს მტრთალი სევდა მიმქრალის სახის
აჳა, ის მოლის.. მოლის წყნარად, თავ-ჩაქინდრული

განადგურება წინ მეხატვის მისის ოჯახის

გადუტრიალდა ბელის ჩარხი უბედურ მტრული.

მას მეზობელმა გუშინ ცეცხლი რომ გაუჩინა;
შემდეგ მზაკვრულად მის თვალის წინ გადიხარხარა..

სახლი დაეწვა და საბრალოს არა აქვს ბინა.

ჩემსკენ ბედ-შავო! მე მაქვს შენთვის ბინა პატარა.

— მასწავლებელო! მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?

— ჩამოჰკარ ჩქარა.. უფრო ჩქარა.. კიდევ დაჰკარი!

ორნი მოლიან რომ იპოვონ სიმართლე ჩემთან

და გადასწყვიტონ საბოლოვოდ ამტყდარი დავა.

ერთია მათთვის ყველაფერი, რაც სურთ ისა სთქვან,
სიბნელემ მათი მეზობლობა გაანიავა.

— მასწავლებელო! მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?

— ჩამოჰკარ ჩქარა.. უფრო ჩქარა, კიდევ დაჰკარი!

აი შკოლისკენ ახალგაზრდა მოდის ვილაცა,

იმას უთუოდ წიგნები სურს.. იქ კიდევ ქალი

სდგას, უნამუსო უცხოელმა რომ მოიტაცა,

და ეხლა ისევ გადისროლა უგზოდ საწყალი.

გზას მე გასწავლი, ჰე ბედკრულო! სწავლით გამთბარი
ხელში მიკირავს მე სანთელი სიბნელის მქრობი.

— მასწავლებელო, მოსაწვევი ჩამოვკრა ზარი?

— ჴო, კიდევ, კიდევ! ხელავ გათბა ცისა ტატნობი.

მეზნებარე კხივი აიზიდა მხიარულ ცაზე,

ფრინველთა გუნდმა კამარაში გაინავარდა,

ერთი ღრუბელა, როგორც მეზავრი, სევდიან გზაზე

რომ დასცურავდა, მოსწყდა მწვერვალს და ძირს დავარდა.

მე კი ძალას ვგრძნობ.. მსურს სიცხოვლე ავამოძრავო
განავადგურო დაყოლილი შავ ფიქრთა გზნება,

მოშეცი ძალა გევედრები, ჰე ცაო, ცაო!
 რომ შევასრულო წმიდად ჩემი დანიშნულება
 და სიმაღლემდე ავიყვანო მუდმივ მხლებელი
 წრფელი მიზანი, მოქმედებით უხვად გამობარი;
 არ შეუკროება საშინელ ხვედრს მასწავლებელი
 აბა ჩამოჰკარ.. მოსაწვევი ჩამოჰკარ ზარი!

გ. ტაბიძე.

ტარას შევჩენკო დნეპრის ნაპირას

ცდგას დნეპრის პირას ტარასი,
 ხელში უჭირავს ფანდური.
 შეოსანს ნათელსა თვალებში
 ცეცხლი უბრწყინავს ციური.
 გულში რაც ბოლმა დაგუბდა
 ოგი გამოთქმას თხოულობს...
 მლერის ტარისი... და იმისს
 კაეშანს დნეპრი ტყობილობს...
 „ფანდურო, ჩემო ფანდურო,
 ვამოსთქვი გულში ნადები...
 დნეპრო, მომბანე, ეგება
 ვულში ჩავიკლა დარდები!
 ბუნებავ, ველო, ზეცაო,
 ჩემო ძვირფასო მამულო,
 თქვენ განდობთ გულის პასუხებს,
 თქვენ გნახეთ საგულდაგულო!
 პირველად თავისუფლება!
 გულში შთაიდეთ ეს ალთქმა...
 იკვნეს იგოდე ფანდურო,
 დარდებს უკუმყრის შენი ჩმა!
 მამულის ცრემლი და ლხენა
 ჩემ გულმა სრულად შეისვა;
 მისი ბორკილის უღარუნი,
 იმისი დანჯვა და კვნესა;

იმედის მოელვარე მზე,
 უიმედობის ღრუბელი
 აშუქ-აშვიმებს ჩემს გულზე,
 სუყველას ვერ აუველი!
 მისკდება გული ბოლმითა,
 მიშველე ჩემო ფანდურო,
 ამოდენ უსამართლობას
 როდემდის უნდა ვუყურო!?!..
 მწარედ ქვითინებს ფანდური,
 ტარასი გლოვობს და მოსთქვამს,
 დნეპრიც ტალღებსა აგორებს
 და გულში იდებს მისს ნათქვამს...
 მისწყდა სიმღერის ბგერაი,
 მოსწყდა ქვეყანას მგოსანი,
 უდროოთ მოხვდა მტრის კლანჭებს
 ბულბული უცხო ხმოსანი.
 მაგრამ მის წმიდა ალთქმები
 დნეპრმა ლრმათ გულში ჩაიდვა
 და მგოსნის მიმდევრებისოფე
 მათ გადაცემა თავს იდვა.
 დნეპრი დღეს იმავ ალაგსა
 ქვითინებს მწარედ და მოსთქვამს
 და გვაგებინებს რაც მისთვის
 მგოსნის ფანდურსა აღუთქვამს.
 ს. ა—ძე-

ყველაზე უძვირთვასესი

(ლეგენდა)

ცილინში დილხანს ცხოვრობდა ერთი ისრაელი თვისის მშვენიერის მეუღლით, მაგრამ ისინი უშვილონი იყვნენ; ქმარი თან და თან გულგრილობას იჩენდა ცოლთან.

— წავიდეთ, უნდა გავიყარნეთ! უბრანა ერთს დილას ქმარმა ცოლს და ორთავემ გასწიეს რაბინთან.

— რაბინ! — უთხრა მან მასწავლებელს. — ეს დედა-კაცი ჩემი კარგი სარწმუნო მეუღლე იყო. მაგრამ უფალმა და უხშო მას საშო, უშთამომავლოდ დავრჩით. გულგრილად შევიქენ მასთან. მინდა გავეყარო.

რაბინმა გადახედა ცოლს. იგი გაფიტრებული იდგა და კანკალებდა, როგორც ხის ფოთოლი ქარისაგან. ცრემლები აღრჩობდნენ და ხმას ვეღარ იღებდა.

— დედა-კაცო უთხრა, ქმარმა-აი რაბინთან გელაპარაკები — წაიღე ჩენი სახლიდან ყველაფერი შენთვის რაც უძვირთვასესია და შენის გულისაოვის საყვარელი, ის შენი იქნება. დათანხმდი განკორწინებაზედ.

მაგრამ ცოლი ხმას არ იღებდა.

მაშინ რაბინმა სთქვა:

— შვილებო! როგორც გაღყომთ გაყრა ძლიერა ძლიერ გემძიმებათ. ყური დამრგდეთ. თქვენ შეიმსუბუქებთ ამ გასაჲირს, თუ გამართავთ ლხინს, მოიწვევთ მეგობრებს, ნათესავებს და იმხიარულებთ ისე, როგორც ქორწინების პირველ დღეს შეიარაღობდით.

მასწავლებელი ჰუიძრობდა: ეს ლხინი

ქმრის გულში გამოიწვევს ქორწინების პირველი დღის სიაჲტებილობის ხსოვნას და ისიც შესცვლის თავისს აზრებს.

ცოლ-ქმარნი დაეთანხმნენ რაბინს. დაბრუნდნენ თუ არა შინ, მოსამსახურებს უბრძანეს გაემართათ ლხინი, მოიწვიეს სტუმრები. იმედის სხივმა გაუნათა გული დედაკაცს და, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, შრომობდა, რომ ლხინი ჩინებულად დასრულებულიყო. სტუმრებმა ბევრი სვეს, ჭამეს, ყველანი მეტად გამხიარულდნენ. ყველაზედ უფრო ქმარი შექეფირდა, როცა სტუმრები წავიდნენ, დასუსტებულს ქმარს მაგრად ჩაეძინა.

ცოლმა მოიხმო მოსამსახურები და ჩუმად უბრძანა: აეყვანათ ქმარი საკაცით და წაელოთ ქალაქის მეორე უბანში, სიმამრის სახლში, საიდამაც სიძემ ქალწული წამოიყვანა.

მოსამსახურებმა აასრულეს ყველაფერი, რაც ცოლმა უბრძანა, მიიყვანეს ქმარი სიმამრის სახლში და მძინარე ფრთხილად ჩააწვინეს ლოგინში. ცოლი კი დახრილი მიუჯდა ლოგინს და დილამდის უცდიდა ქმრის გაღვიძებას.

— სადა ვარ? — შიშით წამოიძახა ქმარმა, როცა თვალები გაახილა. — რა მემართება?

— ჩემო საყვარელო! — მოეხვია ცოლი ქმარს. — ლხინში ჩაეძინა და მე წამოვიდე საჩუქარი, რასაც შენ მეუბნებიდი.

— როგორი? გაკვირვებით ჰქიოხა ქმარმა.

— გამიგონე! შენ არა სთქვი რაბინ-თან, რომ ნებას მაძლევ შენი სახლიდან წამოვილო, რაც ძვირფასი და საყვარელია ჩემთვის? მაგრამ შენს სახლში მე ვერ ვიპოვვე სხვა რამ შენზე უსაყვარლესი. შენ ჩემთვის ყველაზედ უფრო ძვირ-

ფასი ხარ. მეც აგილე და წამოვილე მამის ჩემის სახლში. ქმარს გული მოულბა და ცოლის დიდებულმა სიყვარულმა ხელის-ლად გაუღვიძა მას ძველი გრძნობა და დაავიწყა ფიქრი გაყრაზე. Ratti.

მკრთალი ჰანგი

ჩანგურს ტლანქად ჩამოვკარი, ჩამოვკარი სევდის წყირა, გასწყდა სიმი... და ჰანგებიც დაიფანტა, ჩაიძირა. და გავკვანდე ჩანგის სიმი, სიმი გრძნების და თილისმის, მაგრამ... მაგრამ! ვაჭმე, ძველებრ ის ჰანგები აღარ ისმის, ბრბო კი ამ ჰანგს, ამ მიმქალ ჰანგს, დაპერარხარებს ბრაზ-მოსული და სატანის ქნარზე ცეკვავს, ეს ბნელეთის ავი სული მაკრამ აშ ბრბოს, ვით ავუხსნა? ვით ჩავაცვა აზროვნების, რომ ამ ჰანგშიც ძალუძს მგოსანს სთქვას გოდება მსოფლიოს.

ი. გრიშაშვილი.

ქართველი კაცი და სისუიტაგე

ცისუფთავე შეადგენს ერთს უუმთავ-რესს პირობას ადამიანის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისათვის. ამიტომ ყველა განათლებულ ქვეყნებში მის დაცუას დიდი ყურადღებას აქცევენ (კხოვრებაში).

სისუფთავე უმეტესად საჭიროა აზამია-ნისათვის დაბადების შემდეგ-პატარობისას: უკეთუ ახლად შობილი ბალლი მოკლე-ბულია სისუფთავეს, მას უეჭველად მაღვე მოესპობა სიცოცხლე. ეს კარგად ესმით განათლებულ მშობლებსა და ბებიებს და ამიტომაც პირებელ დღიულებები დაბადების შემდეგ ყმაწვილს დღეში ორჯერ პბანენ ღფილ წყალში და ახვევენ წმინდა ჩვრებ-

ში. ასრე: იქცევიან პირველი წლის გან-მავლობაში, ხოლო შემდეგ, როცა ყმა წვილი წამოიზრდგბა, დღეში ერთჯერ მაინც აპანაგებენ და შემოსვენ წმინდა საცვალით.

სისუფთავის დაცუას დიდი მნიშვნელო-ბა აქვს, როგორც ბალლის სხეულის აღორძინებისათვის, და გარეგანი გრძნე-ბების გახსნისთვის, ისე სულიერის ძალე-ბის გაღვიძებისთვისა და გაძლიერების-თვის. როცა ყმაწვილს კარგად უვლიან და სუფთად ინახევნ, როცა მას არაფე-რი არ აწუხებს, უფრო ჯანმრთელია, მოსვენებით სძინავს, ყოველთვის უფრო

მხიარულია იგი, ხშირად იღიმება და იშვიათად სტრის; პირიქით, უკეთუ იგი ასეთ გონიერულ მზრუნველობას მოკლებულია, ე. ი. ხშირად არ აბანავებენ, სხეული და საცვალი შეუძინანი აქვს, კენარი და ან სხვა რამე იწუხებს, ის ვერც კარგად მოისვენებს და ვერც მხიარული იქნება. გარდა ამისა შეიძლება თავზე, თვალებში, ყურებში, პირის სახეზე და ტანზედაც რამე სნეულება გაუჩნდეს და სრულებით დაუძლურდეს.

სისუფთავის დაცვის ძრიელ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო პატარებისთვის, არამედ აგრეთვე დიდების ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისათვისაც. ამიტომ განათლებულ ქვეყნებში და რუსეთშიაც ისეთ სოფელს ვერ ნახავთ, რომელსაც საკუთარი აბანო არა ჰქონდეს, სადაც ყოველს კვირაში, როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში, ერთხელ მაინც არ ბანაობდეს დიდი და პატარა, კილი და ვაჟი. მაგრამ ეს კიდეც ცოტაა! ბევრს სახლში აქვთ საკუთარი აბანია (ვანია) და ყოველს დღეს შპანიობენ. იაპონიაში, მაგ., როგორც ვიცით, ყოველს ოჯახში არის მოწყობილი აბანანა და ყოველს მდიდარ ოჯახში ყველა წევრები იბანენ ტანს. ისეთ კარგ ჩვეულებას, რომ თქმა უნდა, ძლიერ დრდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ჯანმრთელობისათვის და სულიერ გამჭრიანებისა და განვითარებისათვის.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი ჩვენ მისთვის მოვისხენთ, რომ უფრო ცხადიდ წარმოვიდგინოთ ჩვენი ხალხის უდიდეს უკლულევანება სისუფთვის დაცვის შესახებ.

II

ქართველ კაცს რომ სისუფთავე არ უყვალს, ეს ჩვენ უვილამ კარგად ვიცით.

ამის შეიძლება რაიმე გასამართლებელი მიხეხი ჰქონდეს, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ეს დიდად სამწუხაოო და მავნებელი მოვლენად უნდა ჩავსთვალოთ და ყოველი ლონე უნდა ვიმართოთ, რომ თავიდამ ივიშოროთ და ხალხი სისუფთავეს შევაჩინოთ.

მთელი თვე და ხშირად წელიწადიც კი გაივლის ისე, რომ ქართველი ტანას დაბანაზე არა ფიქრობს. მართალია, ქართველებს ჩვეულება აქვთ, უფრო ქილებს, დრო გამოშვებით თავი და ფეხები დაიბანონ, მაგრამ აბა ეს არა სისუფთავეა, როცა მთელი სხეული თავსა და ფეხებს შეადაუბანები ჰქონება. ეს, რასაკვირელია, უველაზე არ ითქმის. ქალაქებში, სადაც აბანო ხშირია, ქართველებიც დაიბარებინ დრო გამოშვებით აბანოში, მაგრამ სოფლიდ ეს იშვიათ მოვლენას შეადგენს. მეტ სწორედ სოფლებში მცხოვრები ქართველები მყავს მხედველობაში, როცა ვამბობ, რომ ქართველ კაცს სისუფთავე მეტ ბარგად მიაჩინიათქო. მთელი საქართველო რომ მოიაროთ, ერთს სოფელს ერ ნახავთ ისეთს, სადაც აბანო რყოს და ხალხიც დრო გამოშვებით მაინც ბანაობდეს. მხოლოდ ზაფხულში თუ ნახვით ქართველ კაცს, რომ მდინარეში ტანს იბანდეს.

გარდა ამისა ჩვენი გლოებები, სამწუხაო როდ, იმავე საცვალს მთელი თვეობით იურიებენ, რასაც ცუდი შედეგი მოსდევს. იმ იდიმიანს, რომელიც დიდ ხანს იტარებს ქუჭვიინ საცვალს, უჩნდება სამოსელში სხვა და სხვა პარაზიტები, რომლებიც მას ისუ დღე დღე და ზრც დამე მოსვენების არ იძლევენ და ისნეულებენ კიდეც. — ეს კი, სწორედ, მრუტევებელ ცოდვის შეადგენს ქართველი კაცისას, და არივითარი სამუშაო არ მოიპოვება, რომ

ასეთი საზოგადო ჩვეულება გავამართლოთ!

შეიძლება ბევრმა ხალხის სიღარიბეზე მივითოთონ, მაგრამ, სიღარიბის გარდა, აქ ჩვეულებასაც დიდი ადგილი უჭირავს. ყოველმა იდამიანმა უნდა ეყადოს და ყოველი ღონე იხსიაროს, რომ ორი საცავი ჰქონდეს და, როცა ერთი აცვია და ატარებს, მეორე გაირეცხოს და გაასუფთაოს. ეს გარეცხა და გასუფთავება უფრო დედა-კაცების საქმეა. სხვა თუ ირა, წყალი მაინც ბევრი მოიპოვება ჩვენს კურათხეულ ქვეყანაში და, მაშიაძე, საცავის გარეცხა ძნელ საქმეს არ წარმოადგენს.

კაციარის მოსაშორებლიდ, თეთრეულის გამოცვლის ნაცვლიდ, ჩვენი ხალხი გახურებულ თორჩეში ინუ ანთებულ ცეცხლზე ბერტყს საცავის, რაც საზორეო სანახავს წარმოადგენს. ეს სამწუხარო მოვლენა, თითქმის, საზოგადოა სოფლებში, და არა ვგონებ ისეთი ქართველი იყოს, რომელიც იგი თავისი საკუთარი თვალით არ ეწახოს.

რაღა თქმა უნდა, ეს ნაელულევანება ჩვენი ხალხისა ძლიერ საძროებისა, მაგრამ კირს დამალვით თავიდამ ვერავინ მოიშორებს და მიუტილებლიდ შესაფერი წაშილი ეჭივრება. ვინ ჩამოთვლის, რავდენი სნეულება მოსდევს იდამიანისთვის ასეთ საძაგლო უსუფთაობას!

როგორც იყო ნათქომი ზემოთ, დიდებზე უფრო მომეტებული პატარებისა თვის ირის მავნებელი უსუფთაობა: ხელიდ შობილ ბავშვს დღეში ორჯერ ეჭივრება თფილ წყალში ბანაობა და შმინდა ჩვრებში გახვევა, მაგრამ ჩვენი უმეტარი სოფლელი დედები იმას ჯეროვან ყურადღებას არ იქცევენ; ერთხელ თუ გაბანეს ბალლი დღეში და გაიხვის საეჭვო სიწ-

მინდას ხვარში, ისიც დიდი ბედნიერება მაგრამ ეს მხოლოდ თავდაპირველია შემდეგ შობისა, ხოლო, როცა ყმაწვილი წამოიზრდება, სისუფთავეზე ზრუნვა სულ თან და თან კლებულობს და ბოლოს, როცა ყმაწვილი სიარულს იწყებს, მას ყურადღების აღარავინ იქცევს.

ეს არ უნახავს ჩვენს სოფლებში პატარი ბაგრებები, როცა ისინი ტიტლიკანა—უქუდოთ, ფეხშიშვლები და კუჭყიან პერანგის ამარა ქუჩებში დარბით. ვინც დაკირვებია, ადვილად შენიშვნავდა, რომ ხშირად მთელი სხეული მტვრითა და ტალახით იქვთ მოცულნი. დაწოლის დროსაც ხომ არავინ ზრუნავს მათ გაბანვაზე და კუჭყიან პერანგის გამოცვლაზე, მაგრამ აქვს კი მას ერთის მეტი საცავი?

ასეთი მოუვლელობისა და უსუფთაობის გამო მათ უჩნდებათ სხვა და სხვა გვარი სნეულება: სიქახლე, ქეცი (ბლიური), თვალებში წილები და სხვ., რომალებიც სამუდამოდ ასიხიჩებს მათ. ეხლა ხომ დამტკიცებულია, რომ ყოველი სნეულების ბაცილები და მიკრობები უსუფთაობისაგან ჰქნდებიან და მრავლდებიან. მაში რა საკირველია, რომ მრავალი ჩვენი სოფლელი ყმაწვილები უსუფთაობისა გამო მათი მსვეულებრივი გახდნენ.

ჩვენ რომ სტატისტიკი ცნობები გვერნდეს ხელში, მაშინ კარგად გვეცოდინებოდა, რავდენი ასი და ათასი სოფლელი ბავშვი იღუპება უსუფთაობისა გამო ჩვენში. მაგრამ ესთქვთ, რომ ყმაწვილი გადურისა უსუფთაობისაგან წარმომდგარ სხვა და სხვა გვირ სნეულებას და სოფლის სკოლაში შესვლა ელირსა. აქ ხომ უფრო გაუჭირებენ მას საქმეს და გაუმშარებენ სიცოცხლეს თან წყალილი უსუფთაობა და მისგან წარმომდგარი პარაზიტები. თუმც თეთონ არ გამოვიც-

ღიათ, წარმოიღვინეთ მაინც იმ საბრალო ყმაწვილების მდგომარეობა გაკვეთილების ღროს, რომლებსაც პარაზიტები მოსვენებას არ აძლევენ! რაც გინდა სარნტერესო გაკვეთილი იქმნეს, ყმაწვილი იძულებულია ანგარიში გაუწიოს იმ დაუპატიუებელ სტუმრებს, რომლებიც მას აწუხებენ. განა შესაძლებელია ასეთ საშინელ მდგომარეობაში მოწაფეებ ბეჯითად ყური დაუგდოს გაკვეთილს! არც წერის ღროს არიან უკეთეს მდგომარეობაში ის მოწაფეები, რომლებსაც კენარები აწუხებენ.

ასეთ საბწუხარო მოვლენას ყველა შეაწევდა ჩვენს სკოლებში, ვინც კი მასწავლებლად ყოფილა, ანუ ოვალ-ყური უდევნებია საბრალო ბავშვებისთვის გაკვეთილების ღროს. მოწაფეთა ასეთი მდგომარეობა, თქმა აღარ უნდა, ძლიერ აბრკოლებს მათ წარმატებას სწავლაში და ამისთვის საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ და როგორმე თავიდამ ავიშოროთ.

გ. წყალტუბელი.

ბავშვის ფიზიკური აღზრდა^{*}

ცხეულის გამიგრებას (გაწრთობას) შეუძლია ბავშვს მიანიჭოს ვანის სისაღე და დაირგარის მომავალში გაცივების მიერ წარმოშობილ და გადამდებ სწეულებათაგან. ზარარა ბავშვის სწეულის გამაგრება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ხშირად დაჭიუვათ საღს, წმინდა და თბილი ჭარბზე. ამისთვის ძლიერ შესაფერია ზაფხული, შემდგრიგ გაზაფხული და შემთღვევა. ზამთარში ბავშვის სწეულის გამაგრების დაწება შეუძლებულია. ორი ღრო, როდესაც ბავშვები უფრო ხშირად ესაღმებიან წუთისთვიულსა: ზაფხული და ზამთარი. ზაფხულობით ბავშვები იხოცებიან მუცელის ფასარათობით და ზამთრობით კი—სასუნთქი თრგანობის აგადმეოვნებით და სხვა და სხვა ასოებათაგან. ზაფხულობით (უფრო კი ქალაქებში) ღარიბ მშობლებს ექთნებათ ძლიერ ბევრი ბავშვი; მდიდართა ბავშვებს კი სიგვდილი ზამთრობით უფრო ემტრება. ამტკიცებენ, რომ მდიდართა შეიღუბი უფრო სათეაზი არიან... კლებთა შორის კი ღაცებია გონივრული თქმულება: „ბავშ-

ვები და ინდოურები სითბოში უნდა გყავდეთო... მაგრამ არც მდიდარს და არც ღარიბს: მშობლებს არ ესმისთ საფსებია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი ბავშვის სწეულის გამაგრების შესახებ... მათ არ აქვთ ცოდნა იმისი, რაც ესდენ საყურადღებო საცხოვრებისო საკითხად ითვლება... არა აქვთ ცოდნა იმისი, თუ რაა მავნებელი და რაა სხსარგებლო მისი საყვარელი პატარა არა სებისათვის, სწორედ ისე, როგორც არ ირის მავნებლებია და სარგებლებია ბევრი საჭმელოსა და სასმელისა... უმაღლესი საკითხების შესახებ, ფილტრული იდუმაც კი, გესაუბრებიან გარაცებით მშობლები,—მაგრამ იმის თაობაზე, რაც მას და მის შვილს სიცოცხლეს მოუსწრავების, არა იციან რა... ჰიგიენის ცოდნა ქართველს საზოგადოებაშიც დღემდის მეტ ბარგად მიაჩნდათ და თითო

*) იხ. წიგნები პლატენისა, რეკლამისა, კლაუსტრონისა, სეინისა და 250 მსელე ი ვეგეტარიანობას და სხვ.

თორლა წერილებს, ქართულს დროგამზებით გამოცემებში დაბეჭდილია, საქართველო მეცნიერებების და ჰიგიენის სხვა და სხვა საკითხის შესახებ ცოტა მითხველი მოჰქმებოდა...

პირველი და უმთავრესი საშუალება ბავშვთა (და დაღაც) სხეულის გასამაგრებლად არის საღს, წმინდა, მფავბალით სავსე ჰაერზე ყოფნა... თუ დიდი სიცხვა, ბავშვი იმ დროს გრილი ადგილს უნდა გადაიეცან. ტანისამოსიც დროს ბესაფერი უნდა ჰქნდეს ბავშვისა. ზაფხულადით სასრგებლოა თხელის, ჰერის. ადგილად გამტარებელს ტანისამოსის და ახეთსავე ქვეშსაგებსა ეხმარობდეთ...

ამას გარდა სხეულის გასამაგრებლ საუკეთესო საშუალებად თავიდება კანის ჯერაც კანი შეფლა მობანვის და აბაზინის საშუალებით... კანის ჯერაცი მოფლა ჩვენ გვაძლევს საშუალებას თავიდმ ავიშროოთ ავადმუოფლის გამოშვევ მიზეზთა მთელი გროვა და განვიგურნოთ მრავალ სიუღლებათაგან. ფალერებთან, კუტიას და საწლევებთან ერთად კანი მეტად დიდ მინიშნელოვანი თრგანია, რომლის მეოქებით ჩვენ შევითვისებთ ისეთის შესადგენელ საწილებს, რომელიც აუცილებლად საჭიროი არიან ჩვენის სიუღლისათვის, და აგრეთვე სეულიდამ გიშროებით ისეთის ჩივთების, რომელიც უპყვე მოხმარებულ იქმნება და კანის სისაღლისათვის მავნებელი არიან. მაგრამ ჩვენ სავლებად და ას სრულად არ ვზრუნავთ ჩვენის განისათვის. მკურნალი გუვეელან უკიდოდა: „რამდენიმე ათასი აღამიანი, რომელააც მინდობილი აქვთ ცხენების მოვლა, უფრო მეტს ზრუნავენ ცხენთა კანის მოვლისათვის, ვიდრე თავისი საკუთარი კანისთვის!“

როგორც ვიცია, ახდად შებილებს ამანებენ 28° წეალში (რეამიურით) და ახეთსავე წეალში განაგრძობენ მის ბანაობას შემდეგ შეც. ზამთრობით ბავშვი უნდა ამანონ კარგა-

თბილს თათხში 4—5 წეთის განმავლობაში და შემდეგ შეასვანოს თბილს ზეწარში. ტანი უნდა გაუწმინდა ფრთხილად და არა ტნის შენაფრებით. ასეთი ბანაობის საგანია შეინხს ბავშვის სიუღლი სუფთად... დიდს ხასს ბავშვის განერება თბილს წეალში მაგისტერია მისთვის: თბილი წეალი სიუღლის ადუნებს... როცა ბავშვი მთიზრდება, საქმარა მას სიეუღლი ჩამობასთან თბილის წეალი. უნდა ეცვალ ამ დროს ბავშვი არ გაცვლეს. თუ ბავშვი შემოდგრძის ზე დაიძალა, გაზაფხულზე ის 8—10 თვის იქნება... გაზაფხულზე მის საბანელად შეიძლება იხმაროს 24°-იანი წეალი (რეამიურით) მხრდლად $1\frac{1}{2}$ და 2 წეთის განმავლობაში; ბესაძლოა 22°-იანი წეალიც იხმარონ. თუ ბავშვი აბაზიაში ცხვირს აცემინებს, წეალი მისთვის შეუფერებელია... მაგრამ სუსტის ბავშვებს ამ უკანასკნელი ზოშის წეალი არ მოჰქმდებათ და მათივების 24°-იანი წეალი უნდა იხმარონ... უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი ბანვა ბავშვს შარტო თუ გასწენდს, გაასუითავების; გამაგრებით კი მისს სხეულს ვერ გამაგრებს... როდესაც ბავშვი ფეხზე სიარულს დაიწევებს, მაშინ შეგვიძლია მისი სიეუღლის გასამაგრებლად ცივი წყლის ხმარებას შიგმართოთ.

სიეუღლის გასამაგრებლად საჭიროა ცივი წელით მოგებათ ბავშვს სიეუღლის ცალებ ნაწილები: ერთს დღეს მოგებანთ ხელები მავნებილამ მხრებამდის; მეორე დღეს — პირის სახე (თუ თვალები სტეინა, თბილი წეალია საჭირო); მესამეს — კისერი, პეფი, ზურგი და ლუმები; მეთოხე დღეს — გული და მუგელი და შემდეგ იმავე წესით უნდა თავიდმ დავიწეროთ... შემდეგ ხელები და პირი ფრედ დღეს უნდა დაგდანოთ.

ცივი წელის სარგებლობის უამს სიფრთხილე მეტად საჭიროა. ის ძლიერ ადძრავს ნერგებს... ცივი წეალი საშიში არაა, თუ მას სარგებლობენ ქაშის კვირის და ას რვა კვირის

განმავლობაში. ცნობილია, რომ ცივი წელი უნდა სხეულს ართმევს სითბოს. ხშირად სითბოს წარმეტება კი ზოგიერთ ადამიანებს მეტად დასუსტებს. კანის მუდმივი რეცეპტა მას წართმებს იმ კონიანს საცეცხლოს, რომელიც მას აძლევს სიმბილუს და მოქნილობას, რასაც უფრთ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი წესიერობის და მიმდებისათვის, ვიდრე წყალს.

ბავშვის ცანის დასახათ უნდა გიხმართო შინ ნადგომი წყალი თბილი წელის შეუკეთება... ბანების დროს სითრთხილით უნდა ვიქტერდეთ: ბავშვი არ უნდა გავაცილოთ, გვლი, მუცელი და ზურგი არ შეიძლება დავბანთ ბავშვის საღილის გათავებისთანავე... ბანება მისი შეიძლება, საღილის გათავების შემდეგ 2—3 საათი რომ გავა. ყოველ დღე ბანება მაინც და მაინც საჭირო არა. სჯობია დღე გამომშებით ბანება. უკიდურეს შემთხვევაში გვირაში თრჯერ მაინც უნდა ვაბანოთ ბავშვი. 4—5 წლის ბავშვის ბანება უფრთ თამაშად შეიძლება. უნდა გავაგროვთ მოზრდიანი ტაშტი ან აბაზანი ცივი წელით და გავდგათ მზეზე, სანამ წყალი არ გათბება და ეს სითბო არ მიაღწია. 18—20-მდის. ძლიერ კარგი იქნება მოგახდინოთ ტანის დაბაზვა ჭარუტე... ბანათის შემდეგ ტანის შეწმენდის შესახებ ზოგიც იმ აზრის არის, რომ ის (შეწმენდა) საჭირო არაა (გნეიიში) და ზოგიც იმ შეწმენდის მომზრენი არია... კევლის შემთხვევაში ტანის შეწმენდა უნდა მოხდეს გაკვრით, ისე რომ სისველე კანს არ უნდა მოჰქონდეს... ამის შემდეგ ბავშვის უნდა ჩაცვა საჩქროდ და წება მისცე თავისუფლად ისტუნის და ირბინოს ჭარუტე. ცუდი ამინდის წამს უნდა ვაბანოთ. ბავშვი თავსში, და გაგრით შეწმენდის შემდეგ, ჩაცვამთ და გამოძრაოთ თავში არ ავარდეს; 2) ბანათის შემდეგ კერძნები შემდეგ ბანათის შემდეგ გარდა არ უნდა დარჩნები; 3) თუ კარგი გამოძრობის შემდეგ, ვიდრე საში საათი არ გავა; 4) ხეთი წელი საცმელი უნდა იღებე მდინარის ბირას, სანამ გაიხდოდე; 5) საჩქროდ უნდა გაიხადო და ჩავარდე წყალში; 6) თუ გახურებული ხარ ან მავა ჩქარის გაცემის, დაისვენე 10—15 წელი და შემდეგ შეუდეგი ბანათის; 7) უნდა იბანავთ 10—15 წელის განმავლობაში; სუსტები და მარღვები ამღილები. ხეთი წელის შეტა არ უნდა დარჩნები წყალში; 8. ბანათის დროს საჭიროა მორიათბა, გულზე ხელის წასმა, თავის ცივი წელით დასველება, რომ სისხლი თავში არ ავარდეს; 9) ბანათის შემდეგ კერძნები შემდეგ შემთხვევაში ფეხები და ხელები, შემდეგ მუცელი, გული და თავი; 10) სანამ ტანი არ გათბება ბანათის შემდეგ, უნდა წინდა ჭარუტე მორიათბა; 11) თუ ჭანასადი ხარ, შეკიძებია იბანავთ საკმაოდ ცივ წყალშიც... ჭალებმა არ უნდა იბანონ მსილოდ იმ დროს, როდესაც დედათა წესი აქვთ... სხვა შემთხვევებში კი მათგისისაც ძლიერ საჭიროა ბანათია და სხეულის გამსაგრებები... ჩვენებური ქადაგი უფრთ კი თბილი წელის ეტანებია; არა მათ მაინც და მაინც სხეულს არ გაუსტორებს...

16-ისა... 10—12 წლიდამ ბავშვს შეუძლია ვაჟი იქნება თუ ქალი, სულ ერთია, პირდაპირ მდინარეშიც იბანონ დღეში ერთხელ და არა თრჯერ, როგორც ზოგიერთი ურჩევენ, ისე კი რომ ექვსი კვირის შემდეგ ტანი დასვენონ თრი-საში გვირთ... მდინარეში ბანათის დროს აუცილებლად საჭიროა შევასრულობა ზოგიერთი წესი, რომელიც უცოდინარობა სშირად ხდება უბედურებათა და სიკვდილის მიზეზადაც.

აი ეს წესები: 1) ბანათის უნდა დაიწყო 16-ისას წყალში; 2) საბანაოსებნ უნდა წახვიდე ნელის ნაბიჯით; 3) არ ვარგა უზომოზე ბანათია და არც გამოძრობის შემდეგ, ვიდრე საში საათი არ გავა; 4) ხეთი წელი საცმელი უნდა იღებე მდინარის ბირას, სანამ გაიხდოდე; 5) საჩქროდ უნდა გაიხადო და ჩავარდე წყალში; 6) თუ გახურებული ხარ ან მავა ჩქარის გაცემის, დაისვენე 10—15 წელი და შემდეგ შეუდეგი ბანათის; 7) უნდა იბანავთ 10—15 წელის განმავლობაში; სუსტები და მარღვები ამღილები. ხეთი წელის შეტა არ უნდა დარჩნები წყალში; 8. ბანათის დროს საჭიროა მორიათბა, გულზე ხელის წასმა, თავის ცივი წელით დასველება, რომ სისხლი თავში არ ავარდეს; 9) ბანათის შემდეგ კერძნები შემდეგ შემთხვევაში ფეხები და ხელები, შემდეგ მუცელი, გული და თავი; 10) სანამ ტანი არ გათბება ბანათის შემდეგ, უნდა წინდა ჭარუტე მორიათბა; 11) თუ ჭანასადი ხარ, შეკიძებია იბანავთ საკმაოდ ცივ წყალშიც... ჭალებმა არ უნდა იბანონ მსილოდ იმ დროს, როდესაც დედათა წესი აქვთ... სხვა შემთხვევებში კი მათგისისაც ძლიერ საჭიროა ბანათია და სხეულის გამსაგრებები... ჩვენებური ქადაგი უფრთ კი თბილი წელის ეტანებია; არა მათ მაინც და მაინც სხეულს არ გაუსტორებს...

ბავშვის სხეულის გასამაგრებლად ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხშიშველა სის

რელს. ფეხების შესახებ ძლიერ დიდი შეცდომა ტრიალებს საზოგადოებაში. ხშირად უჩივიან ფეხების სიცივეს და გაცივებას, რომელსაც ფეხთა დასველება გამოიწვევს. მშობლები სცდილობენ, რაც შეიძლება მეტს სითბოში ჭრინდეს ბავშვს ფეხები. ამისათვის სპარობენ მატელის წინდებს, თბილს წალებს, რეზინის თბილს კაფლშებს, საწივეებს (გამაშებს) და სხვა... ამისადა მიუხედავად ბავშვებს ხშირად უცივდებათ ფეხები და ავად ხდებან... არაუერი არ შევლის ისე ბავშვის სხეულის გამაგრებას, როგორც დღისნობით ფეხშიშველა სიარული. ჩრდილოეთ გერმანია (და საქართველოშიც) ბავშვები დადაინ ყამთარ-ზაფხულ უფეხსაცემელოდ... მაგრამ რა ჯანსაღია არიან! მდიდარ შემთხვების ბავშვებმა სითბოს დროს მაინც შეიძლება ჩაიცვან ქალამნები (სანდალები), რომელიც ფეხის გულზე და ზედა ნაწილზე ჰაერს თავისუფლად უშვებენ, არ აჩენენ ხორც შეტებს, ხელს არ უშლათ ფეხების თავისუფლად ზრდას... ამისთანა ფეხსაცმელთან ერთად წინდები საჭირო აღარ არის... ზაფხულში შეიძლება იხმარონ ბავშვებმა ქალამნებს გარდა აბრეშუმის ან ტილოს მორჩილი წულები და ფეხებზე წინდები არ ჩაიცვან. ასეთს ფეხსაცმელს სპარობენ ქალები და ბავშვები ბრაზილიაში, რომელიც ამის გამო ჯანის სისაღით ცნობილია არიან... მაგრამ არაფერი არ შეედრება შიშველ ფეხებით სიარულს... ასეთი სიარული უნდა დაიწეოს ზაფხულობით და უდიდეს დღე გრძელდებოდეს პირველ ხასაღარა უშერეს 15—20 წუთისა. გისაც ასეთი სიარული არ შეუძლია, ას კარგს იღვამს, თუ წინდების ამარა ივლის. მინდორზე ან იარაგზე და შეეხევა ცივი წულით ფეხების ბანგს თანადათანობით (ჯერ მოთბოთ და მერე ცივი წელით). დიდი შიშვნელობა აქვს ბავშვის სხეულის გასამაგრებლად საზრდოებას (კეგბას)... ბავშვის სხეულისთვის. აუცილებლად

საჭიროა ცილით მდიდარი ნივთიერებანი. მაგრამ არც ერთი საკითხი ისე უალაბდ არ ესმის კაცობრიობას, როგორც საკითხი საზრდოების შესახებ... ამ საკითხის გადაწყვეტის შემს ხელმძღვანელობენ გარდმოცემებით და მამაკაცები ზერელი შეხედულებით,—სულ ერთა მეტინიერულია ეს შეხედულება თუ არა მეცნიერულია:

მოვუსმინთ ამ საკითხის შესახებ შესანიშნავს ბირებს. ეველინი ამბობს: „წევეგათა და დებული საშება: ხორცის ჭამა, ალკოგოლის (სპირტის) ხმარება და თუთუნის წევა, მათთან შეერთებულ ვნებებს: გარეუნი-ლებას და ხორციელ ნაეროფანებასთან ერთად — არ ხდის შესძლებლად ბეღნიერ ცხოვრებას და ამცირებს ღვთის ძეებს ბირუტებობაში დაის“... თუ ხორცულს საჭმელს ბავშვს სრულიად არ მისცემენ, ეს უფრო კარგი იქნება, რადგან ის მეცნიერის ეკეს ჭაზრით არა არც უბუნებრივესი და არც აუცილებლად საჭირო საზრდელი ადამიანისთვის.

ბავშვები, რესსოს ჟაზრით, გულცივად ეპურობიან ხორცს და ისინი უპირატესობას აღევენ მწერნილს, რძინს საჭმელს, ხილს, შურს და სხვა... მით უფრო მავნებელია ხორცულების საჭმელი, რომ ის შეიცავს ისეთს საწილებს, რომელთაც საჭმლის მომნელებულ თრგანოებით ვერ ხარშვენ და რომელიც ცუდად მოქმედებენ ნერვებზე: ესრედ წილებულის შერძის სიმძაფის სახით. ექიმი კინგსთოლრდი ამბობს: „ხორცული, როგორც ალკოგოლიც ძლიერად და საჩქაროდ მოქმედებს ნერვებზე: ამასთასავე იხარჯება არა თუ მარტო საჭმლის შემაგრინელი ნაწილები, — არამედ თრგანიზმის ეფექტებიც. თუ ეს ასეა, მამასადამე ხორცულის ხმარება რამდენადმე ხელს შეუწეობს ცხოვრების ძაღის შემცირებას და შეამოკლებს სიცოცხლის ბუნებრივის სიხანგრძლივეს. ამასთასავე ხორცული, რომელიც აღძრავს ნერვებს, ხელს შეუწეობს კუშაძღრობის და თავ-

დაუჭირდობის განვითარებას და აგრეთვე მაგრა სასმელების ხმარებას".

პლუტიანი ამბობს: „ხორციელის ხმარება საზიზდარია არა თუ მსთლოდ ჩვენი ფიზიკური ბუნებისათვის, არამედ სხვა მსრითაც. წევა და ჰაზროვნების ნიჭი ჩლუნგდებიან გაძლიერისა და სიმსუქნის გამო; ხორციელი საჭმელი და ღვიძლ შეიძლება სხეულს აძლევადნ სიმკრიფეს; მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება კი გამოიწვევს ჭიშის შესუსტებას". ხორციელი საჭმელის ხმარება იწვევს კუჭის და ნაწლევების შინაგან გარსის ანთებას; ხორციელის მხმარებელთა შორის სშირია აჯადმეულოვანი: ხურვება, ფიზიტვების ანთება, ნერვების სწერებანი. ხშირი შემთხვევაა, რომ ხორციელის და მაგრამ სასმელები უარესობით მოჩჩენილან ნერვებით მიმოედ დასწერულებული (პროფ. ჩიჟი). საკუთავი შირულებები ხშირად აჯად არიან ჭურექით, და ამის გამო საშიშია მათი ხორცის საჭმელად ხმარება, თუმცა შეწყვა და მთხარშვა რამდენადმე ხორცს უკნებლად ხდის. ამას გარდა ზაფხულობით ხორცი შეტად მაღლე ფუჭდება: ლაპბის წარმოება მასში მაღლე იწევება. ასეთი ხორცის ხმარება საშიშიც არის. ერთი სიტევით, ექიმის კინგსფორდის სიტევით, ხორცი მაგნებელია: ა) იმის გამო, რომ მასში მოიპოვებიან აჯადმეულოვანი წარმომშების სხეულები, ან მათი თესლები. მრავალი ექიმი დარწმუნდა, რომ ხურვების და ბევრი სხვა სწრულების ბუდე — სჩნდება დამპალ ხორციდამ, რომელსაც ადამიანი სჭიამს; ბ) როდესაც ხორცი ეგუთვის აჯადმეულოვს შირულებს; გ) როდესაც დაელური პირულება დასწერულებული იქ სიცოცხლის დროს რომელი შემიანი ნივთიერებით და დ) როდესაც ხმარობენ ძველს ხორცის თითქმის დამპალს. ამის გამო საკუთავს სჭიელდა უნდა ჩაითვალის უოუელივე ის, რაც არა ხორციელია. ადამიანს შეუძლია დაცვას ჯანის სისაღისთვის საჭირო

ზომიერება მსთლოდ ის შემთხვევაში, თუ ის ხორცით არ იკვებება და ან ძლიერ ცოტა ხორცს სჭამს. კარნარო-კი უწოდებს ზომიერებას სამგზის კურთხეულს... ის მისი ჭაზრით, განაგრძობს ადამიანის დღებს და აძლევს მას საშუალებას ჯეროვნად განავრთა-რონ თვისი გრძების ნიჭინი... არა ხორციელი (ფქვილეული, ხილი, მწვანილი და სხვ.) საჭმელი უფრო შესაბამება ადამიანის მოთხოვნილებათა და ასეთი საჭმელი უფრო ზედ გამოწვირილია მისი ხელების, შირის და კუჭის აგებულებზე... (ლინნეი). გულელანდი ამბობს: „მსთლოდ მარტივი და არა ხელოვუნერი საზრდოება ხელს უწყობს ჯანის სისაღეს და ხანგრძლივის ცხოვრებას, მაშინ რთადესაც შერეული და უხვი საზრდოება ამოკებებს ჩვენს სიცოცხლეს. გრეხემის სიტევით, შედარებით ანატომია ამტკიცებს, რომ ბუნებაშ შექმნა ადამიანი ხოლის (ნაყოფის) მჭაბუქა ასებად და უჩვენს მას ისაზრდოვოს ხილეულობით, მარცვლებით და ფქვილიანი. მცენარეებით... ლიბიხის სიტევით, მცენარეულობას და სხვათა შორის პური იმდენივე რეინა აქვს (რომელიც საჭირო ჩვენი სისაღისთვის), რამდენიც ხარის ან სხვა პირულების ხორცსა... კარგათ ვიცოთ, რომ სარი ღონიერია, და ის-ვი მცენარეულობით იკვებება (ბიუტფონი). ამას გარდა უველაზე უფრო ძლიერი, ჯავის ამტკინი და სასარგებლო ცხოველები. იკვებებიან მცენარეულობით და არა ხორციელობით. (კანგსიფორდი) შესანიშნავი ფილოსოფიური პითაკოლი იკვებებოდა მსთლოდ პურით, თაფლით; არ სფამდა ღვიძოს; უველა მწვანილეულობა. თევზის იშვიათად სჭამდა... უხორცულ აღამიანს შეუძლია იცხოვროს და დიდს ხანსაც იცოცხლოს... ღელაშიწაზე ბევრი ხალხია, რომელიც ხორცით არ იკვებება. გილიცის შეკიდრი და იტალიელი მუშები იკვებებიან მსთლოდ მცენარეულობით და ძლიერ ჯანსაღ

ნი არია. უკანასკენელნი ცნობილნი არიან თვით-სა ჯავის ამტანობითაც. ჩვენი დამუშავება უზომოება. ჩვენ ძლიერ ბევრს ვჭიამთ. აფილო დღო მაგალითად ტრაპშისტები (ბერგბი) იქინია დაუში სჭამენ მხოლოდ ერთხელ ნაშეად-ტეგის 2^{1/2}, საათზე. ჯან სადნია არიან. სჭა-მენ შეტს, კატოფილს, მწვანილს... არ სჭა-მენ არც ხორცის, არც კვერცხს და არც თევზა-ს... სწენ ვაშლის წყლის დვინოს. საღილის დასასრულს სჭამენ ხილს. სეკრესის ქარები არა ცნობილი ტრაპშისტია შორის; არც ჭვეთის დაცემა (ყადარ), არც წყალმანვი, არც კუ (კიბო), არც შირიმი, არც შაქრის ავადმუშოთბა (ტევურტი) — მათ არ იციან. არც არავითარი საშიში სენი ჯერ შათს მონასტერ-ში არ შესულა. შესანიშნავი მქადაგებელი ბურლალუ ღრმა სიბერემდის ძლიერ ჯანსა-დი იქთ. ერთხელ მკურნალმა ჰქითხა მას, თუ როგორ ცხოვრებას ეწევა. — „მე მხო-ლოდ ერთხელ ვპატ დღე და ღამეში! — მიუგო მან! — „ნურავის ეტყვი ამას! — მიუ-გო სიცილით ექიმშა — თორეშ ჩვენ, ექიმებს არავითარი შემოსავალი აღარ გვექნება!“ გასაგირალი არა ყოვლისავე ამის შემდეგ ექიმი ჯავსონის სამართლიანი გაფრთხილება: „ასლით თქვენს ბავშვს შესექანი ხორცი, მარილი, პირპილი და სანელებელი, რომელ-ნიც იხმარებიან ხორცის მისამზადებლად, აძ-ალით მას ადმიტვრელი სასმეულები, როგორც უავა და ჩაია, ხანდასან მდარე ლურჯი და დვი-ნო და სისხლის გასურებული მდგრმარეობის გამო, რომელიც შეზავებულია ამგვარი სასმეულით, თქვენმა ბავშვის უგვევების უგვევები... ამის გამო, თუ ხორ-ცი აუცილებლად უნდა სჭამი, სჭამე ძლიერ ცოტა, ხანდახან, ორჯერ-სამჯერ კვირაში. უფრო ის აჯობებს, თუ მას სრულიადაც არ სჭამ.“

ბავშვებისათვის საუკეთესო საჭმელად თვე-ჯება ქატო ნარევი ფქვილი, ხილეულობა, კვერცხი, ეგელი, მაწონი, რძე, ლობით და მისი მსგავსი თესლეულობა და სხვ. ხილეუ-ლობა აუმჯობესებს სისხლას შემადგენელობას და იძლევა თხელს, ადვილად მომდინარე სისხლსა... მისი საშუალებით ადგილად მუშა-ობს შარდის შემამზადებელი თრგანოები. სი-დამბლე, წვეთის დაცემა, თირკმელების და ფვიძლის აზება, ხეკრესის ქარები — ხშირი სტუმარია მათი, ვინც ხორცის ბევრს სჭამს. სისხლის მატარებელი ჭარლების გადაგვარება. (перерождение) რომელიც იწვევს უცარს სიკედილს, არ ემართებათ მათ, ვინც ხორცე-ულობით არ იკვებება... ამის გამო, თუ ხორ-ცი აუცილებლად უნდა სჭამი, სჭამე ძლიერ ცოტა, ხანდახან, ორჯერ-სამჯერ კვირაში. უფრო ის აჯობებს, თუ მას სრულიადაც არ სჭამ.

წესიერი ძილიც საუკეთესო საშუალებაა ბავშვის სხეულის გასამაგრებლად. ბავშვმა იმ-დენი უნდა იძინოს, რომელიც სურს... სჯობს ბავშვი ადრე იძინებდეს პირდაპირ ლოგინში ჩაწერლის შემდეგ ზღაპრების უთქმებად... ბავშვებს როცა ვაღვიძებით, ფრთხილად უნდა ვიგოთ. გაღვიძების უამს ბავშვს უნდა ვეაღერ-სებოდეთ, არ ვტრივდეთ და არ უნდა უვევირო-დეთ... წინააღმდეგს შემთხვევაში ბავშვს დას-ტემდება შიში, რაც მისთვის კარგი. წინამდვა-რი არ იქნება ცხოვრებაში...“

დასასრულ, ნე ღავივიწევებთ, რომ სადს სსეულში არ თუ მხოლოდ საღი სულია, არა-მედ საღი ჩებაც (voluntas)...“

ილ. ფერაძე.



შინაური მიმოხილვა

ფოტა რამ ტფილისის დასაწესის სკოლებზე

პირველი ნაბიჯი ჩვენი დედა-ქალაქის თვით მმართველობამ განათლების გზაზე მაშინ გადადგა, როდესაც სახელოსნო სასწავლებლის შეგირდთა საჭირო კონტინგეტისათვის დაარსა პირველ დაწყებითი სკოლები.

ამ მიზნით 1881 წელს 1 ენკუნისთვეს ქალაქის სხვა და სხვა უბნებში გაიხსნა შვიდი სასწავლებელი: ორი ქართველებისათვის, ორი რუსებისათვის და სამი სომხებისათვის. ეს ის დრო იყო, როდესაც ტფილის მოთავბდა ა. ს. მატინოვი, თუმცა იგი ინტენსიურ მონაწილეობას იღებდა ამ სკოლების რიგიანათ მოწყობაში, რადგან იმ დროს ჯერ მაგალითიც არსად იყო მოქლე კევკასიაში, რომ ქალაქს საკუთრივ დასაწყისი სკოლები ჰქონოდა, მაგრამ მას ჰყავდა დიდის ხალისით და ენერგიით ხავს მდივნი პ. ა. იზმაილოვი, რომელიც, სული და გული იყო ქალაქის ყოველ-გვარ საქმეებისა, განსაკუთრებით კი მოყვარული, ქალაქის დასაწყის სკოლებისა. თვითონაც მასწავლებლად ნამყოფი იყო, კარგად ესმოდა როგორ უნდა ეზრუნა სკოლებისთვის, იგი არა ზოგავდა დროს და ცდილობდა რიგიანათ მოწყობ სასკოლო საქმეები.

იმ თავითვე ქალაქის სკოლებს მიაწყდა ულარიბესი მუშა—ხელოსნების შვილები, რადგან სწავლა სრულიად უფასო იყო და ამასთანავე თვითეულ სკოლას ათ-ათი თუმანი ეძლეოდა ქალაქისაგან სახელმძღვანელო-სასწავლო ნივთების მუქთად დასარიგებლად. ეს დებულება, სამწუხაროდ, შემდეგში ამოკვეთეს. სწორეთ იმ

1881 წელს— გაზაფხულზე, ყოფილმა მზრუნველმა იანოვსკიმ გამოსცა თავისი სასწავლო გეგმა დასაწყისი სკოლებისათვის, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ბოლოს თვითონვე უარ ჰყო. მაშინ სასკოლო კომიტეტის წევრად (ეხლანდელ კომისიის) ირიცხებოდა განსვენებული ს. მესხი და მასთან ერთად პ. ა. იზმაილოვი ხშირად ეკითხებოდნენ რჩევას ჩვენს ცნობილ მხურვან პედაგოგს ი. ს. გოგებაშვილს, რომელიც მათთან ერთად გამოცდის დროს სკოლებშიაც დაიარებოდა.

ჯერ-ჯერობით სწავლა ახლად გახსნილ სკოლებში სწარმოებდა ამ რიგათ: დილით რვა საათიდგან თორმეტამდის მასწავლებელი—იგივე მმართველი სკოლისა მეცადინეობდა ორს უფროსს განყოფილებასთან და ორი საათიდგან ნასალილევს ორს საათს ასწავლიდა პირველ განყოფილების მოწაფეთ. საღვთო სჯულს და გალობასაც იგივე ასწავლიდა, რადგან ჯერ კიდევ საქმე მოუწყობელი იყო. თუმცა დიდი ჯაფა აღვათ მაშინდელს ახლად მოწვეულ მასწავლებლებს, მაგრამ სამაგიეროთ თვითონვე კმაყოფილნი იყვნენ თავისი ნაშრომის საუკეთესო შედეგებით. სწავლება დედა-ენის საშუალებით სწარმოებდა. პედაგოგიურად დაყენებულმა საქმემ ის გამოიწვია, რომ მაშინ დელი შეგირდები უფრო იდვილად შედიოდნენ სწავლის განსაგრძობად არამც თუ სახელოსნო სასწავლებლებში, არამც სხვა სასწავლებლებშიც კარგათ იჭერდენ გამოცდას. ამ ნაირად გასტანა სკოლების გარემოებამ, კიდრე იანოვსკიმ სასტიკი

ბრძოლა არ ასტეხა ქალაქის თვით მმართველობასთან. მას სურდა ამ სკოლებში ცველა საგნები რუსულ ენაზე ესწავლებინათ, რაიცა აშკარად ეწინააღმდეგებოდა სამოსწავლო გეგმას, ამისათვის თვითონაც და მისი ხელ-ქვეითებიც ხშირებირაც დაიარებოდნენ სარევიზიოდ და ჩასჩიჩინებდენ მუქარით მასწავლებლებს, რომ სულ რუსულად ესწავლებინათ. როდესაც სენატში საქმე განასაჩივრეს, იზმაილოვი, უკვე ქალაქის თავად ყოფილი, გაემგზავრა პეტერბურგს სკოლების საქმის დასაცავად, მაგრამ მოულოდნელიც იქ გარდაიცვალა. ბოლოს სენატმა საქმე მზრუნველის სასარგებლოდ გადასწყვიტა და დარჩა ეს სკოლები ობლად. ანტიპედაგოგიურ წარმოებით სკოლის საქმე უკან-უკან წავიდა. საბჭომ კარგა ხანი ახალი სკოლები აღარ გახსნა, მხოლოდ 1895 წლიდგან ქალაქი ხსნის ახალ სკოლებს, აუმჯობესებს სკოლების მდგომარეობას იმით, რომ თითოეულს სამ განყოფილებას ცალკე მასწავლებელს უნიშნავს, ასე რომ სწავლა სადილობამდის თავდება. რადგანაც ქალაქის სკოლებში სხვა და სხვა ტომის ბავშვებს იღებდენ, რასაკეირველია, ამით ქალაქის სკოლებმა სრულიად დაჰკარგეს უწინდელი ეროვნული ხასიათი. ამ შერეულს სკოლებში სწავლა სულ რუსულ ენაზე სწარმოებდა. პირველ განყოფილების ბავშვებს, როგორც ავლიბარში ან მამადავითის სკოლაში ბევრჯელ იმიკთანა მასწავლებელი ჰყავდათ, რომელთაც ბავშვების ენა მათ არ ესმოდათ და მათი ენა ბავშვებს. დამყარდა მუნჯური მეთოდი. ამნაირს გაუგებრობას და ლევიცკის სახელმძღვანელოს ბოლო მოეღო მხოლოდ 1905 წელს. აქ წყალი კალაპოტში ჩადგა. ძველი გეგმა მეორეთ დაკანონდა. ქალაქის მოითხოვა

ვ. ს. მიქელაძის ს. კომისიის თავმჯდომარობის დროს აღილობრივი მცხოვრებთა ბავშვებისათვის ოთხი წლის კურსი სამის მაგივრათ,*) რათა სამოსწავლო გეგმაში გატარებული პროგრამა უფრო საფუძვლიანად იყოს გავლილი, აი წარსული—მოკლეთ მოკრილი, ჩვენი სამოქალაში. სკოლებისა.

ამ ფამად ქალაქი თავის საკუთარი ხარჯით (160000 მ.) ინახავს 29 სკოლას, ზოგან განცალკევებულად, ზოგან ორთოს ერთად. მოსწავლეთა რიცხვი აღის 4000 მდე ვაჟი და ქალი, ბევრგან არეულნი, ბევრგან სქესებად დაყოფილნი, ამათ უძღვება ასამდის მასწავლებელი; საღვთო სჯულის სწავლება ჩაბარებული აქვთ სასულიერო წოდების პირთ, გარდა 1-ლი ვერის სკოლებისა, სადაც პირადი მნიშვნელობის გამო ამ საგანს სკოლის გამგე ქალი ასწავლის. საზოგადოთ მასწავლებელთა გუნდში ქალები შეადგენენ გადაქარებებულ უმეტესობას. თვით სამოსწავლო კომისიაში არსებობს ისეთი ტენციენცია, რომ უპირატესობას მასში. ქალების კანდიდატურას აძლევენ, თუნდაც კარგი მომზადებული მასწავლებელი მამაკაცი თხოვულობდეს ალაგს.

აღსანიშნავი მოვლენაა, რომ ქალაქის საბჭოში არც ერთი ხმოსანთაგანი ნამდვილებდაგოგათ არ ჩაითვლება. მართალია ურევია ერთი ორი მასწავლებელი, რომ-

*) პირველი აზრი ქადაქის სკოლების თახოზიანად გადაკეთებისა ექუთვნის ჩვენს საზოგადო მოღვწეს ნ. ზ. ცხვედაძეს, რომელიც 1889—1892 წლებში ქადაქის ხმისნად იყო არჩეული; მისი იმ დროინდელი ანგარიში ქადაქის დასწევისა სკოლების შესახებ დარს შესანიშნავია ქადაქის სკოლების ისტორიაშა.

ოებიც ასწავლიან გიმნაზიებში, მაგრამ მთ დასაწყისი სკოლებისა კი არა იყიან რა. ამას რასაკვირელია, ესაჭიროება სპეციალური ცოდნა. ეს პირნი სამოსწავლო კომისიაშიაც არიან არჩეულნი, მაგრამ ნახევარჯელ სხდომებს არც კი ესწრებიან. ასე რომ ბურთი და მოედანი ისევ ექიმ-ბაშებს რჩებათ, ესენი კი საითაც მოინდომებენ, იქით გამოაბმენ ხოლმე სკოლას კუდს.

1905 წელმა ერთი ფრიად კარგი საქმე შესძინა მასწავლებლებს, სახელდობრ ის, რომ მათ შეუძლიათ გამართონ საზოგადო კრება, აღმრან პედაგოგიური საკითხები, აირჩიონ კანდიდატები და სხვა. მაგრამ სამოს. კომისია უყურადღებოთ სტოკებს, რაც უნდა გადაწყვიტოს მასწავლებელთა საზოგადო კრებამ; პირიქით, ხშირად მასწავლებელთა კრების აზრი სამოსწავლო კომისიას სასაკილოდაც მიაჩნია; პედაგოგიურ ალლოს მოკლებულნი, კომისიის წევრები იმასაც არაფრათ აგდებენ, რომ ქართველ მასწავლებელთაგან წამყუენებული საკითხი, თუ რატომ უნდა იყოს სომხებსა და რუსებისათვის ათ-ათი სკოლა და ქართველებისათვის კი მარტო ნ, მაშინ როდესაც აუარებელი ქართველი ყმაწვილები რჩებიან ყოველ წლივ სკოლის გარეთ უადგილობის გამო? ამას ის არა სასურველი შედეგი მოჰყვა, რომ ზოგიერთმა მეტის მეტათ ქართველ ბავშვების მოყვარულ რუსის მასწავლებლებლებმა გაუღეს თავიანთი სკოლის კარი და არამკითხეთ ასწავლან რუსის ბავშვებისან ერთად. აბა ახლა ვინ არის, რომ საკუთარის თვალსაზრისით შეხედოს ამ უწესოებას? ვინ არის პატრონი მიაკციოს ყურადღება ან იმასაც, რომ ერთად ერთი ავლაბრის ქართული სკოლის სადგურში დაბინავეს ბავშვთა მხრუნველო-

ბის საზოგადოებისა, ვითომდა სკოლა, სადაც იყვანენ რუსის ყმაწვილებთან ერთად ქართველ ყმაწვილებსაც, ასწავლიან სადილს შემდეგ და საბრალოდ გონებას უმახინჯებენ თავდაპირველადვე. უცხოენით, განა ქალაქის თვით მმართველობა მოვალე არ არის დაიცვას წმინდათ თავისი მოვალეობა? ყველა ეს კარგათ მოქსენება სამოსწავლო კომისიას, მაგრამ—მაგარი ის არის, რომ განსვენებულ იზმაილოვისთანა სკოლებისათვის თავგამოდებული, აღარავინ გამოჩნდა დღევანდელ ტფილისის თვითმმართებლობაში, ამისთანა მოვლენა, იქნება, ერთი მხრით, იმითი აისხნება, რომ სრული უთანხმოება სუფევს სექციის წევრთა და დელეგატთა შორის. იმის მაგივრათ რომ მტკიცედ დაიცვან საზოგადო მასწავლებელთა კრების გადაწყვეტილებანი, მთელს დროს ერთმანეთში შუღლსა და ინტრიგებს ანდომებენ!

ვერც საუკეთესო სახელმძღვანელოების ხმარებაში დაუმყარებით ერთობა. აქაც დიდი არეულობა და უთანხმოება სუფევს მაგალითად: ზოგნი ქართულ სკოლების მმართველნი რუსული ენის შესასწავლად სკოლაში ხმარობენ ი. ს. გოგებაშვილის „რუსეთ სლოვოს“ ორსავე ნაწილს, ზოგნი-კი კორხანიდის სახელმძღვანელოს, ზოგნიც „კრასნოე სოლნიშკოს“ და სხვა და სხვა. თვით ამ სახელმძღვანელოების არევ დარევა და შეუკნებლობა იმ კეშმარიტის აზრისა, რომ ქართველ ბავშვს ესაჭიროება უცხო ენის შესასწავლა, პედაგოგიურად შემუშავებული სპეციალური სახელმძღვანელო, რომელიც შეუმსუბუქებს მათ მძიმე ტვირთს და არა მუნჯურ მეთოდზე შედგენილი წიგნები, რაც დასაგმობია ყველა ღირსეულ მასწავლებლის მიერ, ნათელს ჰყოფს ჩვენს

აზრს, რომ სამოსწავლო კომისიაში და ქალაქის მასწავლებლებშიაც კეშმარიტი პედაგოგიური აზრები ფარნით საძებარია. იგივე უთანხმოება არსებობს მასწავლებელთა შორის ქართულ ენის სახელმძღვანელოების შესახებაც, ღმერთმა უწყის ზოგი რას ხმარობს და ზოგი რას სახელმძღვანელოდ. აქ მასწავლებელი, როგორც მოქმედიანება, ისე იქცევა, ზოგან ერთის მაგიერ თრ სამ სახელმძღვანელოს ნახავთ, საიდანაც სწავლება უსისტემოდ სწარმოებს და სხ.

ნივთიერად მასწავლებლები არ არიან უზრუნველ ყოფილნი. ძველად შემოსულ სკოლის მმართველს ისევ ის ჯამაგირი ეძლევა, რაც ამ 30 წლის წინათ ეძლეოდა: ცალი ფული არ მომატებიათ. პირიქით კიდევაც დაუკლეს: — ამ ერთი წლის წინად გამოვიდა ახალი კანონი, რომლის ძალით უკერენ 6% საპეჩიო კასისათვის. საზოგადოთ სკოლის გამე მასწავლებელს აქვს ბინა, შეშა, განათება და ჰყავს მსახური გარდა ამისა აქვთ 75 თუმანი, წლიური ჯამაგირი, მათი თანაშემწენი მარტო 60 თუმანს იღებენ წლიურად. გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან ბათუმისა და ბაქოს თვითმმართველების სკოლების მასწავლებელნი.

რაღა უნდა ვიფიქროთ ამისთანა ჯამას გირის შემაყურებლებზე, როდესაც ამისთანა სიძირიეა ჩამოვარდნილი? ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ მომეტებული ნაწილი მათგანი ხმარობს ყოველ ღონისძიებას სკოლის გარედ იშოვნოს რაიმე დამატებითი სამუშაო. მერე მოქანცულ მოწყვეტილი კვლავ შეუდგეს თავის გაკვეთილებს. აღნიშნული ჭანორმალური გარემოებანი შესაძლებელია ყოველ მხრივ გასწორდეს მაშინ, თუ მომავალი ქალა-

ქის არჩევანები სიმართლის გზაზედ გაივლის და ხმოსნებათ, არა ერთი დასაწყის სკოლების მცოდნე და დამფასებელი პირნი იქნებიან არჩეულნი, რადგან ამ შემთხვევაში ტფილისი არც ისე დარიბია ამნაირი მოქალაქეებითა.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ ტფილისის ქალაქის თვით მმართველობის ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ სწორედ ამ წლის პირველ ენკენის-თვეს სრულდება ოც-და ათი წლის თავი ჩვენს დედა ქალაქში დასაწყისი სკოლების დაარსებიდან. სასურველია რითომე აღინიშნოს ეს დრო: ღრმა პატივის-ცემით მოიხსენიოს წარსულნი მოღვაწენი ქალაქის სკოლებისა და სავსებით გაითვალისწინონ ის ნაკლი, რაც დღესაც დაღად აზის ქალაქის დასაწყისს სკოლებს და მტკიცედ შეუდგენ სკოლებში პედაგოგიური აზრების გატარებას, ურომლისოდ ვერც ერთი სკოლა ვერ მიაღწევს თავისს დანიშნულებას.

ყველამ ვიცით თუ რა ძნელია მასწავლებლობა საზოგადოდ და კერძოთ დასაწყისს სკოლებში. იშვიათი ენერგიის პატრონი მასწავლებელი ატარებს ამ მძრმე ტვრითს დიდხანს, უმეტესობა იძულებულია ან პროფესია გამოიცავლოს, ან უდროოდ გამოესალმოს წუთისოფელს. ის მასწავლებელი, რომელსაც 30 წელი უმსახურნია ქალაქის სკოლებში და დღესაც ეწევა ამ მძრმე ტვრითს, ღირსია ქალაქის თვითმმართველობის მიერ განსაკუთრებული ყურადღებისა და წაქეზებისა. ჩვენდა სასიამოვნოდ ტფილისის დასაწყისს სკოლაში არის ერთი მაინც ისეთი მასწავლებელი, რომელიც ცოცხალი მოწამეა იმისი, თუ როგორ ამაღლდა ქალაქის დასაწყისი სკოლები და როგორ დაეცა. გან.

მცირე შენიშვნა

(წერილი ხონიძან)

ჩ იდი ხანია ვადევნებ თვალყურს
ჩვენს ბედშავს ქვეყანას, მისს სულის კვე-
თებას და მიველ იმ დასკვნამდის, რომ
ჩვენ სოლიდარობა და მამულისადმი სიყ-
ვარული ძალიან ცოტა გვაქვს. მასთანვე
ბაქიაობა, სიტყვების რასარუხი გაუგებარ
საგანზე, სიზარბაცე, გატაცება ყოველგვარ
სოციალურ უკიდურესს მოძღვრებებით,
როდესაც ჩვენს ხალხს ბლილები სჭამს,
წერა-კითხვა 75% არ იცის, ათასგარი
ცრუ მორწმუნებებია და უაზრო ჩვეუ-
ლებანი მას ისედაც გალატაცებულს მა-
ტერიალურად, ზნეობრივად მუსარსა ავ-
ლებენ, ჩვენი ეგრედ წოდებული ინტე-
ლიგენციის მომეტებული ნაწილი არში-
ულბაში, ლოთობაში და ქუჩების ტკეპ-
ნაში ატარებს ქვირფასს დროს. განა
უფიქრია ერთხელ მაინც, რას უქადის
მას მეოცე საუკუნე? გარწმუნებთ არა,
ის ცხოვრობს აწყოთი, რევენს არ ეს-
მის და გაუგებარია მისთვის, რომ ამ წუ-
თის შემდეგ აწყო წარსულს ეკუთვნის,
მისი ფიზიკური და ფსიხიური ორგანიზა-
ცია მთლიათ ეკუთვნის წარსულს, რომლის
არა გაეგება რა და რომელსაც ის აფურ-
თხებს. ვისაც თავისი ცოლშვილი არ
უყვარს იგი სხვისას შეიყვარებს? ვისაც
ღვიძლი დედა არ უყვარს იგი სხვის დე-
დას ვერ სცემს პატივს! ვისაც მამის პა-
ტივი არა აქვს, არც მამათ ივარებს, არც
სხვისი მამის სსოფება და პატივი ექმნება.
ვინც ის არე-მარე, „ცა ფირუზ ხმელეთ
ზურმუხთი“ ქვეყანა, რომელიც მან პირ-
ველადიხილა სიყრმეშიდ, ვერ შეისწავლა
ვერ შეიყვარა და არ მოსწონს.. ის მოკლე-
ბულია ყოველ გრძნობას, გატაცებას ლა-
მაზის სურათით, სანახვით, ესტეტიკას.

ყოველ მცენარეს, ყოველ ცხოველს
თავისი საკუთარი ნიადაგი აქვს, სადაც

ის ხარობს, იზრდება, უკეთ, ვიდრე სხვა-
გან, იმიტომ რომ საუკუნოების განმავ-
ლობაში მის გარშემო ბუნება მოქმედობ-
და მასზე და მისი ორგანიზმიც მოწყო-
იმ რიგათ, რომ ყოველი მავნე გავლენა
ვერას ავნებს მას. კაციც ექვემდებარება ამ
ბუნების კანონს, როგორც ერთი ცხო-
ველთავანი. ავილოთ მაგალითდ: ნახევარი
ნაწილი საქართველოდგან გაყვანილი
ჯარისკაცებისა კვდება რუსეთში ფილტვებ-
ის და ნაწლევების ავადმყოფობით, სუ-
ნი ჰავის და შეუჩვეველ საჭმელის წყალო-
ბით წარმოიდგინეთ რომ ჩვენს პრესსაში
ამაზე კრინტსაც არა სძრავენ. ჯან ლო-
ნით სავსე ახალგაზრდობა ნახევრობით
იღუპება, ეს მთლიად განადგურებას გვი-
ქადის და კაცი ხმას არ იღებს!

მაშასადამე, ყოველი ქართველი, რო-
მელსაც არც თავის ტერიტორია უყ-
ვარს, არც ენა, არც თავის წარსული,
ის არის უმეცარი, მტერი ქვეყნისა, შეჩ-
ვენებული და განდევნილი უნდა იქმნეს
ქართველ საზოგადოებისაგან. პოლიტიკა-
ნობით გაეღენთილმა აღზრდამ ახალთაო-
ბისამ, დამყარებულმა არა საღ პედაგო-
გიურს იღებზე, არამედ გარუსების და
გადაგვარების მისწრაფებაზე ჩვენი ამშე-
ნებელ ბატონებისამ მოიტანა ჩვენს თავ-
ზედ ეს უბედურება, ეხლა ბუნდოვანად,
შორიდგან რაღაცა რმელი ბჟუტავს, ასპა-
რეზზე გამოდიან მამულისშვილნი, გადა-
გვარების წინააღმდეგ მებრძოლნი, მებრ-
ძოლთა რიცხვი მატულობს თანდათან,
ხალხიც თანდათან მიეშურება ეროვნული
თვით-შეგნების გზისკენ ჭ იგნებს კიდეც,
რომ სამშობლო ნიადაზე აღზრდა არის
მხოლოდ და მხოლოდ მისი მხსნელი,
რომ მგელმა ან მგლის ფერმა ძაღლმა არ
შექამოს იგი.

უცხოამის

ცკოლის შემდეგ განათლება. მეოჯახეობის სკოლები. დასაწყისი სკოლების ინსპექტორი ჭ. ორტეზში (საფრანგეთში) საზოგადოების და მასწავლებლების ყურადღებას აქცევს ფრიად სასაჩვენებლო და სასურველ საგანზე—დასაწყისს სკოლებში კურს დასრულებულ ქალთათვის მეოჯახობის სკოლების გამართვაზე.

ამ სკოლების მიზანს შეადგენს მოამზადონ ახალგაზდა ქალები, ჯერ როგორც სასაჩვენებლო თანაშემწე დედებისა ოჯახში და შემდეგ, როგორც დიასახლისი, რომელსაც თავისის მხრუნველობით და ცოდნით შეუძლია ოჯახის მოწყობა ყველასათვის სასიამოვნოდ.

დედა-კაცის როლი ოჯახში თან და თან როგორც ამიტომაც საჭიროა ახალგაზდა ქალების მომზადება პატარაობიდანვე, რომ მათ ბოლოს თავიანთ დედობრივს და ოჯახის მოვალეობას აზრიანად შეუდგნენ, წინდაწინვე ისწავლონ მუდმივის ვარჯიშობით და მაგალითებზე როგორ უნდა აწარმოვონ იჯახის მეურნეობა, რა მოვალეობა აწევს მას ოჯახში, შეიგნონ ამ მოვალეობის აზრი, შეიყარონ ყველა სამჯახო სამუშაო, რაც ბედნიერადა იღის ოჯახურს ცხოვრებას.

მეოჯახობის მოწყობით, სკოლის გავლენა მოწაფე ქალებზე უფრო ხანგრძლივი შეიქმნება, მოწაფეთა და მასწავლებელ ქალთა შორისაც უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდება, ჩამოვარდება საერთო ინტერესი თავისა და სკოლის შორის, მასწავლებლის ავტორიტეტიც ამაღლდება, სასკოლო განათლებასაც, რომებსაც პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება, უკეთ

დააფასებენ: და სკოლაში წესიერად მოსიარულეთა რიცხვიც გამრავლდება. ბოლოს მეოჯახობის სკოლების გამართვას დიდი სოციალური მნიშვნელობაც აქვს. მაგალითად ბერძნში, თუმცა ჰავა რბილია, მაგრამ ბავშვები ხშირად იხოცებიან და ზოგიერთ სოფელში გულმკერდის ავალმყოფობით მრავალი ახალგაზდა ესალმება წუთისოფელს. ამ აუარებელი ავალმყოფობის მიზეზია: ჰიგიენის უცოდინარობა, მავნე სადგომები, ცუდი საზრდოობა, ლოთობის სიხშირე. მეოჯახობის სკოლებს ამ მხრით დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, რადგანაც იქ შეიძენენ საჭირო ცოდნას ჰიგიენიდან, როგორ უნდა მოუარონ ახლად დაბადებულს ჩავილ ბავშვებს, შეიძენენ ცოდნას წესიერ საზრდოობისა და ოჯახში სისუსათვის მნიშვნელობის შესახებ:

მეორე მხრით ამისთანა თავაზი, სადაც სიმხიარულეა, კარგი მოწყობილობაა, ქმარიც დიხანს დარჩება და არ გახდება სამიკიტნოების ხშირი სტუმარი: რაკი კმაყოფილი იქნება ცხოვრების საუკეთესოდ მოწყობისა, იგი არ გაშორდება თავისს სამშობლოს და არ გაეშურება დიდ ქალაქებისკენ, სადაც დიდი საფრთხე მოელის.

ამ სახით მეოჯახეობის სკოლას დღეს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ორტეზში წარსულ ზამთარს გახსნეს ასეთი სკოლა სანიმუშოდ და ჩინებული შედეგიც მოჰყვა მას.

წმინდა წიგნური განათლება. ამ წლის ინგლისურ ეურნალის The journal of Education-ის იანვრის ნომერში დასტამბულია წერილი, რომელიც უეპელია

აღტაცებაში მოიყვანდა მონტენს, რუსსოს და სპეცსერს. უმთავრესი აზრი ამ სტატიისა იმაში გამოიხატება, რომ საჭირო არ არის დიდი ხნობით წიგნებში ჩაკირაციება სწავლის შესაძენად, საკლასო ოთახი ყველაფერს არ წარმოადგენს. საჭიროა გამოყენება ლაბორატორიების, სახელოსნოების, გეოლოგიური, ბოტანიკური და გეოგრაფიულის ექსკურსიების და სასკოლო ბაღებისა. ზოგი მასწავლებლები ამტკიცებენ, რომ გაკვეთილი გაკვეთილადვე რჩება თუ მისგან ბავშვები სიამოვნებასა გრძნობენ და სუფთა ჰაერზე იმყოფებიან. კუნთების გრძნობას, თუ საზღვარს არ გადაცილდა, დიდი სარგებლობა მოაქვს გონებით მუშაობაშიაც.

საშუალო განათლება მუშებისათვის. გერმანიის საოცარ ეკონომიკურს პროგრესში იმდენი მნიშვნელობა მაღალ ტენიკურს სასწავლებლებს არ აქვს, რამდენიც აუარებელ სკოლებს, გამართულს მაკომერციო განათლების გასაგრძობად. ამ სკოლებში შეღიან დასაწყისს სკოლებში კურს დამთავრებული ქალ-ვაჟები; თითქმის ყველა ქს სასწავლებლები კერძოა, ისინი უმთავრესად აღორძინდენ „კომერციული განათლების განვითარების კავშირისა“ და აგრეთვე სავაჭრო პალატებისა და მუნიციპალიტეტების მოერ. მასაი სწრაფი ზრდა პმოწმობს, რომ ის ემსახურება მ'მრომელ კლასის არსებითს მოთხოვნილებას; ჯერ კიდევ 1895 წ. გერმანიაში ამისთანა სკოლა იყო 133, 1908 წელს კი 650, მარტი პრუსიაში ასეთი სკოლა იყო 1907 წ. 357, 43,000 მოწაფით (ამ ანგარიშში არ შედის 1505 ტეხნიკური სასწავლებელი, რომელშიც 200,000 მოწაფე ითვლება).

თითქმის ყველა ქს სასწავლებლები მთავრობის მხრით დამოუკიდებელია;

უსახსრობის გამო მთავრობას მათი შენახვა არ შეუძლია, მაგრამ ყოველის მხრით თანაუგრძნებობს მათ; 1900 წ. მთავრობა დაეხმარა სავალდებულო სწავლების კანონის გამოცემით, რომლის ძალით ყველა ქალი და ვაჟი 14—18 წლადის, ვინც ადგილობრივს სავაჭრო ფირმებში მსახურებს, ვალდებულია იაროს „Kaufm. Fortbildungsschule“-ში.

ყველა წვრილ-წვრილ ნოქრებისათვის სკოლის შემდეგ სავალდებულო სწავლება პირველად გერმანიაში შეიგნეს და ამ შეგნებამ იმდენად მკიდრად გაიდგა ფესვები, რომ 650 სკოლიდან 356-ში სწავლება სავალდებულო გახდა.

სწავლებას რომ სარგებლობა მოეტანა. ის სწარმოებდა საღამოობით კი არა, როცა ყმაწვილები დაღლილი იყენებდნების მუშაობით, არამედ აღრე დილილობით 7—9 საათამდის და იმ დროს, როცა საქმიანობა შეიუჩებულია ე. ი. 12—2 საათამდის. პატრონების ინტერესებიც, ამ სახით, არ იჩღვევა.

სწავლებასაც პრაქტიკული ხასიათი აქვს: საანგარიშო წიგნების წარმოება, ბუხაცლტერია, სტენოგრაფია, მანქანებზე წერა და სხვა სპეციალი საგნები, რომელითაც ემატება კიდევ საზოგადო განათლებაც. ყველა ცოდნა, რასაც საშუალო სასწავლებელში იღებენ, საჭიროა ბურომელ ხალხისთვისაც: ცოდნა მოქალაქების მოვალეობისა და უფლებისა; შემის დამოკიდებულება კაპიტალთან, პრაქტიკულად გამოყენება ახლად დიდებულ აღმოჩენილისა ფიზიკიდან, ქიმიიდან, ბუნების მეტყველებიდან, ეკონომიკური დამკიდებულება და მდგომარეობა გერმანიისა სხვა ქვეყნებთან შედარებით, ახლი მიმდინარეობა ლიტერატურაში და ხელოვნებაში—ყველა ამას ასწავლიან

მოწაფებებს. მათვის დაარსებულია შესაფერისი ბიბლიოტეკები, ხელმძღვანელობას უწევენ კვირაობით კითხვაში, ჰმართავენ შათვის ექსკურსიებს, სასარგებლო გასართობებს და სხ.

საკითხი საშუალო სკოლების შესახებ გერმანიაში. ამ უკანასკელ ხანებში გერმანიის მწერლობაში ხელ ახლად აღიძრა იმის შესახებ თუ რომელ განათლებას უნდა მიეცეს უპირატესობა საისტო-რიო-ფილოლოგიურს, თუ საბუნებისმეტყველო—მეცნიერულს. ამ კამათის დროს ყველაზე უფრო საყურადღებოდ ხდება ცნობილი მეცნიერის ოსტვალდის სტატია, დაბეჭილი 1908 წლებში; ამ სტატიაში ცნობილი მეცნიერი თან და თანმით არკვევს ყოველგვარ საგნების უარმყოფელობითს მნიშვნელობას, რაც დაფუძნებულია ენების შესწავლაზე.

ოსტვალდის აზრით ყველა ბუნებრივად შეკეცილი ენა ყოვლად უწინარეს სრულიად არ არის ის კანონ-საზომი, რასაც ჩვენ შევხდებით ბუნების მოვლენებში, საქმე გვაძვს შემთხვევით განუსაზღვრელ უფლებებთან. თუ კი რამე მიზეზობრივი კავშირი არსებობს ჩვენი მეტყველების განვითარებისა და შეცვლის პროცესებში, იმის დამყარებას იმ უსრულ და არა ყოველთვის სარწმუნო ფაქტებზე, რაც ამ უამაღ ფილოლოგიას ხელთ აქვს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს საშუალო სკოლებში. ესლანდელ წესს ენის სწავლებისას, როცა მოწაფები ასოციატიურად იხსომებენ, და სწავლობენ სიტყვათა მნიშვნელობას, შეუძლია მხოლოდ ჩააქროს მოწაფები ლოლიკურად აზროვნების ნიკი, ნიკი მოვლენათა მიზეზობრივის კავშირის შეგნებისა. ამის გამო უნების შესწავლას არა თუ აქვს რაიმე დებულებითი განათლების ღირებულება, პირიქით წარმოადგენს აშარად უარყოფის სიღიდეს. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ მე-XIX საუკუნის გამოჩენილ ბუნების მეტყველ-

თა უმრავლესობა (როგორც მიღერი, გელმგონცი და ლიბიი) უკანასკნელ მოწაფებად ითვლებოდნენ საშუალო სკოლებში. აქედან რომ გამოვყოთ დედა ენა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ერთად ერთი იარაღი ადამიანის კულტურის შესაძენად საზოგადოდ, ოსტვალდის შესძლებლად მიაჩინა ახალი ენების შესწავლა, როგორც აუცილებელის ბოროტებისა. „რომ განიცადო სხვა ერების კულტურული საუნჯე, უნდა იცოდე იმ ღობეზე გადაძრომა, რომლითაც ერთი ერი განუალებელი მეორესაგან“. ცხადია, რომ ამ ცოდნას არ აქვს განმანათლებელი მნიშვნელობა და მისი მიღწევა არასოდეს არ შეადგენს უმთავრესს მიზანს სკოლაში სწავლებისას. ძველი ენების სწავლება საშუალო სკოლაში ოსტვალდის მიაჩინა სტულიად უსარგებლოდ და მავნებლადაც, როგორც დრო მოჭმული ნაშთი საშუალო საუკუნოებისა, როცა ლათინური ითვლებოდა ერთად ერთ წყაროდ ცოდნის შესაძენად.

ოსტვალდის აზრს ბევრი მოწინააღმდეგ აღმოუჩნდა, განსაკუთრებით ფილოლოგები ამტკიცებდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიძველეს ჩვენი ეხლანდელი კულტურის შესწავლაში; უჩვენებდნენ, რომ ძველი ენების შესწავლა არ განისაზღვრება მარტო შეხსიერების მუშაობით, არამედ მას თან ახლავს ჭკუა-გონების გარჯიშობაც, ლოლიკური აზროვნების განვითარებაც, მიჩვევით რომ გააჩიონ შინაარსი ფორმისაგან. სრული სამართლიანი მოთხოვნილებაა, რასაც ოსტვალდი უყენებს სწავლებას, როგორც დამზუკიდებელ სამეცნიერო მსჯელობის განვითარებას და სხ. რაც მოითხოვს რეფორმებს არა მარტო საისტორიო-ფილოლო-გიურში, არამედ საბუნებისმეტყველო შეცნიერებაშიაც.

ბიბლიოგრაფია

სამშობლო ქვეყნის სარკე. საქმიწვია-
ლო მთხოვნობები ივანე ელიაშვილისა.
1911 წ. ფასი 30 კატ.

ეს წიგნი, როგორც სათაურიდანაც სჩანს, შეიცავს წევიდმეტამდის საბუნებისმეტეჭელო
მთხოვნობას ზღაპრულად გადმოცემულს, რაც
შატარებისათვის უფრო სახალისოა და მიმ-
ზიდველი. წიგნი გამოცემულია ავტორის მიერ
ჩინებულს ქართლზე, გარგად დასურათებული.
ესაც კარგია და მეცნიერებული საწილიც მთხო-
ობისა სისწორით არის გამოცემული. წიგნი
ძლიერ იაფია. სჩანს ავტორს თავის წიგნზე ის
იტის დაუდვია, რაც თვითონ დაჯდომა; მაშას-
დამე ავტორს სრულად არ აქვს ქომეტრიუ-
ლი მიზანი. მისი სურვილია ამ წიგნის
მკრთხველები მოიპოვოს და მით სელმძღვანე-
ლობა გაუწიოს ჩეხეს ნოტის თარბას საშობ-
ლო ქვეყნის ბუნების შესწავლაში. სულით და
გულით გულებოთ ავტორის სურვილს ჩეხეს
აზრისაც და ვისურევებით, რომ ეს კარგი წიგნი
გავრცელებული იყოს ჩეხების ფასებში და
შატარა უმატებილებში, რომელთაც იგი ჰქონი-
ლია სასურველ სარგებლობას მოუტანს. ამ
გვარი შინაარსის წიგნის ასეთი შეგნირი
ტამოცემა ჩეხები ჯერ პირველი მაგალითია
და ავტორისაც გვსურვებოთ კვლავ განეკრძალ
თვისი საეთვიერი შრომა.

ლევ ტოლსტოი მთხოვნობები, ამს.
„ცისკონი“ სახალხო გამოცემა № 1. ფასი
ერთი შაური.

დიდად სასიამოვნოა, რომ კაი სხიო მიძი-
ნებული „ცისკონის ამხანაგობას გამოიხიზდე-
ბა დატეს“. იგი უპირ შეუდგა იაფ ფასიან
სახალხო წიგნების გამოცემას. ერთი მათგანია

ეს შატარა წიგნია, რომლის სათაურიც ზე-
მო ამოგვერეთ. ამ წიგნის მთხოვნებულია
წინასიტევათბის გარდა, ლევ ტოლსტოის
მოგლე ბიოგრაფია სურათით და ხეთამდის
მისი შატარა მთხოვნობები. უპეტესი იქნებო-
და, რომ გამოცემების წინასიტევათბის შემ-
დებ, საცა ტოლსტოის სურათია, იქვე მიუ-
კლებია მისი ბიოგრაფია და შემდებ მისივე
მთხოვნობები. წიგნის კი სურათის შემდებ
ვკითხულობთ შატარა მთხოვნობას „მშეიღო-
ბიანობის მოეფარულები“, შემდებ ლევ ტოლს-
ტოის ბიოგრაფიას და სხვა მისი მთხოვნო-
ბების. ეს მთხოვნობი ეველა შინაარსიანი,
შესლოდ კორპუსულები შეცდომები ბლობად
მთიპოვება და ქართული მართლწერაც სოგან
კოჭლობს, მაგალითად „შეწავლები“ (გვ.
10 და 11) სწავლების მაგიურ, „პრის უმ-
ფრისი“ (გვ. 10), უსათუდო „ჯარის უფ-
როსი“ უნდა იყოს. „მდვითისა“ (გვ. 25,
26, 28) უნდა იყოს „დვითისა“ „დმერთისა“.
ამას გარდა ამ მთხოვნობაში „ცოდნათა მონა-
ნიება“ (თუ მონანება?) ძლიერ სშირად არის
სახმარი კაშირი და, თითქმის უელა ახალი
სტრიქნი და აზრიც ამ კავშირით იწყება,
რაც, მართალია, სახარების მიძახვას გვაგო-
ნებს, მაგრამ კითხვას და აზრის შეგნებას. ეს
უხერხებად ნახმარი და შეტად ამძიშებს.

შეტად სიმპატიური განხრახევა იაფ-ფასიან
სახალხო წიგნების ბეჭდება, რაც განუქრახევს
განასლებულ „ცისკონის“ ამხანაგობას და ჩეხებ
გვსურვებოთ მას ამ ნიადაგზე სრულს წარმა-
ტებას.

ლევ ტოლსტოი-გამომცემელი

ლ. დ. ბოცვაძე.

ျေဘျဲ့လွှဲလွှဲ၍၏ စာမြန်မာစံပါဒ၊ နှင့် စာမြန်မာစံပါဒ

(წელიწადი მეორე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული.

ს უ რ ი ა თ ე ბ ი ა ნ ი ჩ ი მ ი ტ ე ბ ა

ლამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით, ოოგონის ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ლირს
8 მან. 50 კაპუ ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ურთი თვით—80 კ.

Ըստ Հոմերոսի պատմական յրատք Շառնո, Համարդյան Հոմերոս (Հայութ) 7 կազցոյին աջրացուած գամուսալու դասու 40 յաձ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის
2 მან. და 1 ივნისისთვის 1 მან. 50 კაპ.

ନୃତ୍ୟକ୍ଷେତ୍ର ପୋତ ୨୦୮ ୨୦୭ ଲେଖ.

Тифлісь, редакція „Сахалхо газети“.

ନେଇବୁକ୍ରିଓର-ଗାମିମପ୍ରେମ୍ଭେଲିନ ଏ. ପ୍ରାଣିଭଲ୍ଲାଶ୍ଵିଳୀ.

რედაქციულისაგან

თანამშრომლებს რედაქტია ჰოხოვს დასაბეჭდი მასალა მოაწოდონ
ერთს გვერდზე დაწერილი გარკვეულის ხელით. ვერავითმრ მიწერ-მოწე-
რას დაუბეჭდავ წერილების შესახებ რედაქტია ვერ იკისრებს; დაუბეჭდა-
ვი წერილები რედაქტიაში ინხება და ავტორებს შეუძლიათ თავისის
ხარჯით მოიკითხოს უკანვე თუ ნებავთ. სისოფლო ამკითხველოებს და
სახალხო მასწავლებლებს ხმ წლის და წარსული წლის ნომრები გაგზა-
ნით დაეთმობათ სამ მანეთად.

Открыта подписка на 1911 г.

на еженедельную общественно-педагогическую газету

ШКОЛА И ЖИЗНЬ

съ ежемѣсячными приложеніями.

Въ книжкахъ приложенийъ, которыя за годъ составятъ около 80 печатныхъ листовъ, будутъ помѣщаться цѣльныя произведения русскихъ и иностранныхъ авторовъ, старая классическая, или выдающіяся новѣйшія, или касающіяся наиболѣе интересныхъ вопросовъ текущаго времени. Три книжки приложенийъ будутъ посвящены памяти Л. Н. Толстого, Н. И. Пирогова и работамъ извѣстнаго нѣмецкаго педагога Кершенштейнера. Въ числѣ приложенийъ—три сборника, специально посвященные нашей низшей, средней и высшей школѣ.

Подписьная цена: на годъ на 6 м. на 3 м.

Съ доставкой и пересыпкой въ города имперіи 6 р.: 3 р. 2 р.

Подписка принимается: въ Главной Конторѣ, Петербургъ, Кабинетская, № 18.

Издатели: Н. В. Мышковъ и Г. А. Фамльборкъ.

ამ წლის 25 მარტიდან გამოდის ქ. ქუთაისში უფეხ-დღიური ქართული გაზეთი

„ЗМІСТ ВОВД“

რედაქციის აღრესი: ალექსანდრეს ქუჩაზ თევდორაძის სახლი. ხელმოსაწყ-
რი ფული უნდა გამოიგზავნოს კი ॥ ქუთაისს. რედაქციის სახელზე. გაზითის
ფასი შირველი პშეილიძან წლის დამლევამდე 5 მან. და 10 შატრი. თვილე-
რი—ლობი გადაწილდა.

ତିରତା ବ୍ୟାପକ ପାଇଁ ଜାମାନା

აღრესის - გამოცვლა: ქუთაისისა ; ქუთაისზე — ორი შაური, დანარჩენ შემო-
ხვევებში — ორი აბჭიბა.

3 5 6 3 6 3 8 7 3 0 6 3 5 6 0

ଶିର୍ଷାଫୁଲ ପଢ଼ିରେଣ୍ଡର୍ କ୍ରେଟିନ୍‌ଫର୍ମ ନିରମି ମୋହର, ଜ୍ୟୋତିଶ୍‌କ୍ଲାଇଫ୍ ଏଣ୍ଡର୍ ମୋହର.

Ես գուշակու ցեղանդը յօս եսծո մեհատո

ନ୍ୟାଯାକ୍ରମବିଧିପତ୍ର ଓ ନ୍ୟାଯାକ୍ରମବିଧିପତ୍ର ଅନୁଷ୍ଠାନିକ ଦେଖାଣ୍ଡା

ახელი წევნი იძულობებული გილორის.

የክፍያዎን የዚህን ስርዓት በዚህ ደንብ እንደሚከተሉ ይገልጻል